

კულტურათაშორისი კომუნიკაციები
INTERCULTURAL COMMUNICATIONS
МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ

INTERCULTURAL RELATIONS SOCIETY

ISSN 1512-4363

*საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა
International scientific periodical edition
Международное научно-периодическое издание*

კულტურათაშორისი კომუნიკაციები

INTERCULTURAL COMMUNICATIONS

МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ



№33

**თბილისი – Tbilisi – Тбилиси
2020**

UDC (უკ) 008 (100)

კ-897

მთავარი რედაქტორი ინდირა ძაგანია

Editor-in-chief Indira Dzagania
Главный редактор Индира Дзагания

რედაქტორები

ლირა გაბუნია
ოლღა პეტრიაშვილი
მარინე ტურავა
ირინე ჯობავა
ირმა ზაქარაია

Editors
Lira Gabunia
Olga Petriashvili
Marina Turava
Irina Jobava
Irma Zakaraia

Редакторы
Ли́ра Габу́ния
Ольга Пётриашвили
Марина Турава
Ирина Джобава
Ирма Закарая

კომპიუტერული რედაქტირება

რობერტ მესხი

Computer Editing
Robert Meskhi

Компьютерное редактирование
Роберт Месхи

პასუხისმგებელი მდივანი

ლიანა გვასალია

Executive Secretary
Liana Gvasalia

Ответственный секретарь
Лиана Гвасалия

სარედაქციო საბჭო

ვეინ ჯეიკობი (აშშ), იან კე (ჩინეთი), ბილალ დინდარი (თურქეთი), ირადა ჰუსეინოვა (აზერბაიჯანი), ენდრიუ ჰარისი (დიდი ბრიტანეთი), მარია კორნელია ბარლიბა (რუმინეთი), დორის ფეგელი (ავსტრია), სვეტლანა ტერ-მინასოვა (რუსეთი), ნილაკში სურენარაიანი (ინდოეთი), გიორგი პოპა (მოლდავეთი), ილონა მანელიდუ (საბერძნეთი), ილიას უსთუნერი (თურქეთი), ანა აგრანატი (ისრაელი), ლალა ახმედოვა (აზერბაიჯანი), აიტენ მუსტაფაევა (აზერბაიჯანი), დავით ვოციანიძე (საქართველო), ლეონიდე ჯახაია (საქართველო), მიხეილ ბოგუცკი (პოლონეთი), ირენა კუდლინსკა (პოლონეთი), ირინა კუდლინსკა (პოლონეთი), ვილემ ჰენდრიკ დე ბოფორტი (ნიდერლანდების სამეფო), ვენტა კოცერე (ლატვია), ჟანა ტოლისბაევა (ყაზახეთი), მერი მადარშახი (საფრანგეთი), რობერტო რიჩი (იტალია), იორდან ლიუტსკანოვი (ბულგარეთი), ჩქმალ მაკილი-ალიევი (შვედეთი), ირინა ანდრიუშენკო (უკრაინა), მარია დიმასი (საბერძნეთი), რიტსუკო ინოუე (იაპონია), ალა საინენკო (მოლდავეთი), მანუელ ფილიპე დე კოსტა (პორტუგალია), რომან დიაკონი (ლატვია), რეგინა კარველინე (ლიტუანია), ალექსანდრე გრუშა (ბელორუსია), მარია ჟუნკალ გუტიერეს მანგადო (ესპანეთი), გიორგი აგოსტონი (უნგრეთი), ენრიკე კერო ხორვილია (ესპანეთი).

Editorial Board

Wayne Jacoby (USA), Yang Ke (China), Billal Dindar (Turkey), Irada Huseynova (Azerbaijan), Andrew Harris (Great Britain), Maria Cornelia Barliba (Romania), Doris Fögel (Austria), Svetlana Ter-Minasova (Russia), Neelakshi Suryanarayan (India), Gheorghe Popa (Moldova), Ilona Manelidu (Greece), Ilyas Ustunyer (Turkey), Ann Agranat (Israel), Lala Akhmedova (Azerbaijan), Ayten Mustafaeva (Azerbaijan), David Gotsiridze (Georgia), Leonid Jakhaia (Georgia), Mikhael Bogutski (Poland), Irena Kudlinska (Poland), Irina Matyash (Ukraine), Willem Hendrik de Beaufort (the Netherlands), Venta Kotsere (Latvia), Jhana Tolisbaeva (Kazakhstan), Mehri Madarshahi (France), Roberto Righi (Italy), Yordan Lyutskanov (Bulgarian), Kamal Makili-Aliyev (Sweden), Irina Andriushenko (Ukraine), Maria Dimasi (Greece), Ritsuko Inoue (Japan), Ala Sainenco (Moldova), Manuel Filipe da Costa (Portugal), Roman Dyakon (Latvia), Regina Karveliune (Lithuania), Alexander Grusha (Belarus), Maria Juncal Gutierrez Mangado (Spain), Gyorgy Agoston (Hungary), Enrique Quero Gervilla (Spain).

Редакционный совет

Вэйн Джекоби (США), Ян Кэ (Китай), Билял Диндар (Турция), Ирада Гусейнова (Азербайджан), Эндрю Харрис (Великобритания), Мария Корнелия Барлиба (Румыния), Дорис Фегель (Австрия), Светлана Тер-Минасова (Россия), Нилакши Сурьянараян (Индия), Георгий Попа (Молдова), Илона Манелиду (Греция), Ильяс Устуньер (Турция), Анна Агранат (Израиль), Лала Ахмедова (Азербайджан), айтен Мустафаева (Азербайджан), Давид Гоциридзе (Грузия), Леонид Джаях (Грузия), Михаил Богутский (Польша), Ирэн Кудлинска (Польша), Ирина Матяш (Украина), Виллем Хендрик де Бофорт (Нидерланды), Вента Коцере (Латвия), Жанна Тольсбаева (Казахстан), Мери Мадаршахи (Франция), Роберто Ричи (Италия), Йордан Люцканов (Болгария), Кямал Макили-Алиев (Швеция), Ирина Андриушенко (Украина), Мария Димаси (Греция), Ритсуко Иноуэ (Япония), Алла Сайненко (Молдова), Мануэль Филипе де Коста (Португалия), Роман Дьякон (Латвия), Регина Карвелине (Литва), Александр Груша (Белоруссия), Мария Хункал Гутierrez Мангадо (Испания), Гиорги Агостон (Венгрия), Энрике Керо Хорвилия (Испания).

EAN 9771512 43 6007

შორენა შავრეშიანი
(საქართველო)

**ისტორიულ-მნათვრული პასაჟი აკა მორჩილაძის ტრილოგიის
მეორე ტომიდან „გაქრები მადათოვზე“**

XX საუკუნის 90-იან წლებში ქართულ სალიტერატურო სივრცეში გაჩნდა ნაწარმოებები, რომლებშიც ისტორია გამოყენებულია თანამედროვეობის საჭირობორტო პრობლემების გადასაჭრელად; „თუ ტრადიციული ისტორიული რომანის ავტორები ისტორიოგრაფიისათვის ცნობილ გმირებს, ავთენტიკურ პიროვნებებს ანიჭებენ უპირატესობას, მათზე აგებენ თხრობას, არატრადიციული ისტორიული რომანის ავტორები ავთენტიკური პიროვნებების გვერდით (ხშირად კი, მათ გარეშე) ქმნიან ფიქტიურ პერსონაჟებს, როგორც მთავარს, ასევე მეორეხარისხოვანს; ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს რომანის კომპოზიციის აგებაზეც, რომელსაც განსაზღვრავს რომელიმე შერჩეული ადამიანური ბედი“ [4, 31]. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია აკა მორჩილაძე, რომლის შემოქმედებაში ვხვდებით ისტორიულ პიროვნებებს, ისტორიულ ფაქტებს, პერსონაჟებს და სიტუაციებს სხვა მხატვრული ნაწარმოებებიდან, თუმცა არა უცვლელად, არამედ მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში გამოვლილსა და შეცვლილს. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ გავანალიზებთ აკა მორჩილაძის ტრილოგიის მეორე ნაწილს – „გაქრები მადათოვზე“ – რომელშიც წარმოდგენილია პერსონაჟები ტრილოგიის პირველი ნაწილიდან – „გადაფრენა მადათოვზე და უკან“, ჭაბუა ამირეჯიბის რომანიდან „დათა თუთაშხია“ და სხვ. ამავდროულად, ნაწარმოებში შექმნილია გასული საუკუნის დასაწყისის ისტორიული ანტურაჟი, რაც მეტ დამაჯერებლობას სძენს ავტორისეულ ნარატივს.

რომანი „გაქრები მადათოვზე“, ქრონოტოპის თვალსაზრისით, 1909 წლის საქართველოს მიემართება. ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დიდი ვნებათაღელვაა ატეხილი. ერთი ცის ქვეშ მყოფი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები (ქართველები, სომხები...) ცდილობენ არსებული რეალობის შეცვლას; თითოეულ მათგანს საკუთარი წვლილის შეტანა სურს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ახალ ეტაპზე გადასასვლელად. ნაწარმოებში, ძირითადად, ოქტომბრის რევოლუციამდელი ამბებია გადმოცემული: საიდუმლო შეკრებები, საიდუმლო სამაღავეები, საიდუმლო სტამბები, აკრძალული წიგნების თარგმნა, დაჭერა-დაპატიმრება-გაციმბირება და სხვ.

რომანის სიუჟეტური ღერძი აგებულია ილია იმერლიშვილის მიერ შემოტანილი პორნოლიტერატურის ამბავზე, რომლის თარგმნასა და გავრცელებაში მონაწილეობას იღებენ აკაკი იოსელიანი, გრიგოლ ყორღანოვი, ქართველი თავადი საგინაშვილ-საგინოვი, ერზრუმელი აზნაური და სხვები. რაც შეეხება ქალაქს, ის ისევ ძველებურად და „მადათოვიანად“ არის წარმოდგენილი: „კარგადაც მივიღებენ, გავიმასპინძლებიან, თეატრში დაგაპატიუებენ და ოპერას მოვასმენინებენ, თუ დაგ-

ჭირდება – კარგადაც დაგმაღავენ, მხოლოდ ფრთხილად უნდა იყო, აღმოსავლური აკრძალული სიყვარულის წიგნი არ ჩაგივარდეს ხელში და არ გიპოვონ, თორემ, თვით ყველაზე დიდი პროტექტორი, სომეხი არამაც კი, ვერ გიშველით. კნეინა არადელ-იმხნელსაც უნდა ერიდოთ, როგორ მომხიბვლელადაც არ უნდა მოგეწევენოთ“ [3].

რომანის მოქმედება თეატრში იწყება; მოზრდილი მუცლის გამო ღილებშეუკრავ ქილევტში გამოწყობილი კაცი (რომელშიც ადვილად ამოიცნობა გრიგოლ ყორღანოვი) ვეღარ გაუძლებს ოფენბახის არიას, ცოლს დარბაზში მიატოვებს და ბუფეტში გადაინაცვლებს, სადაც ორ მასავით თავშეფარებულ მაყურებელს გადაეყრება. ერთ-ერთი მათგანი რეცენზენტი აღმოჩნდება, ხოლო მეორე – ევროპის მრავალ ქვეყანაში ნამყოფი, ბრგე და ახოვანი ერზრუმელი აზნაური: „მგზავრი ვარ მე ასე დამანათლა განგებამ. ერზრუმელი აზნაური ვარ მე ისე, დაბადებით და წარმოშობით. შევეკარი ფუთა ერთ დღეს და იმის მერე დაგდივარ ქვეყანაზე. ვუსმენ ხალხს და ვფიქრობ ჩემსას“ [5, 14]. ერზრუმელი აზნაურიც შეთქმულია და გრიგოლ ყორღანოვსაც, მისდაუნებურად, ჩართავს შეთქმულებაში, რადგან თარგმნილი პორნოლიტერატურის ჩაბარების მისამართს გაანდობს საიდუმლოდ გადაცემული კონვერტით.

ზემოაღნიშნული რემინისცენციულად გადაგვამისამართებს ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიასთან“; კერძოდ, რომანის იმ ეპიზოდებთან, რომელიც ვეჭილ ირაკლი ხურციძესა და ერზრუმელ აზნაურად, არზნევ მუსკიად, მონათლულ დათა თუთაშხიას ეძღვნება. რომანის თანახმად, არზნევ მუსკია ირაკლი ხურციძეს (რომელსაც სახელიც კარგი ჰქონდა და შემოსავალიც) იმ მიზნით დაუკავშირდა, რათა გასცნობოდა ქალაქის ელიტარულ საზოგადოებას, რომელშიც ხურციძე ტრიალებდა. ირაკლი ხურციძე, თავადაც ღირსეული ადამიანი, მაშინვე მოიხიბლა ერზრუმელი აზნაურის პიროვნებით და მასთან ერთად გატარებულ ოციოდე დღეს ღრმა მოხუცებულობამდე სიამოვნებით იგონებდა. ირაკლი ხურციძე და არზნევ მუსკია დღისით ერთად იყვნენ, ხოლო ღამით ერზრუმელი აზნაური სასტუმრო „ვეტცელში“ მიდიოდა. ერთხელაც, ირაკლი ხურციძესთან ვახშმის მზადებისას, მათ მოულოდნელად ჟანდარმერიის უფროსი, გრაფი სეგედი, ეწვიათ. გრაფმა ვახშამზე თავი დაიპატიჟა და სასიამოვნო თანამეინახეობაც გაუწია მასპინძლებს. სწორედ, მან გააცნო ღაზი აზნაურის ნამდვილი ვინაობა ირაკლი ხურციძეს. გრაფს გასაკვირად დარჩა დათა თუთაშხიასა და მისი მამიდაშვილის, მუშნი ზარანდიას, მსგავსება. გამომშვიდობებისას მან დათა თუთაშხიას დაუბარა, რომ საღამოს მუშნი ზარანდია სასტუმრო „ვეტცელში“ დაელოდებოდა... [1].

რომანში „გაქრები მადათოვზე“ ვიქტორ ბაიარდმა გრიგოლ ყორღანოვს სწორედ ამ ეპიზოდზე გაუმახვილა ყურადღება. დათა თუთაშხია, ერზრუმელ აზნაურად – „ტუსკია თუ ნუსკიად“ – გარდასახული, ირაკლი ხურციძესთან ერთად ატარებდა დროს, ბინად კი, სასტუმრო „ვეტცელში“ რჩებოდა. მასზე თვალთვალი ჰქონდა პოლიციას დაწესებული, რადგან თვლიდნენ, რომ შესაძლოა ის რევოლუციონერი ან საიდუმლო წიგნის შემომტანი და გამავრცელებელი ყოფილიყო. პოლიციამ დაადგინა, რომ სინამდვილეში იგი ერთი ჩვეულებრივი „აბრაგი“ იყო და დადიოდა ოპერაში, დროს ატარებდა, ქეიფობდა და ეარშიყებოდა ღამაზე ქალებს. ბაიარდს არც ის გამოჰპარვია მხედველობიდან, თუ როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ბიძაშვილ-მამიდაშვილი – მუშნი ზარანდია და ზემოხსენებული აბრაგი. მუშნი ზა-

რანდიას შემდეგ ერზრუმელი აზნაური თვით უანადრმერიის უფროსმა, გრაფმა სეგედმა, მონახსულა.

აღსანიშნავია, რომ ორივე რომანში მოქმედება ერთსა და იმავე ეპოქაში იშლება; ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ფონიც, თითქმის, იდენტურია; სიუჟეტური სიტუაციაც ერთმანეთს ჩამოჰგავს. „გაქრები მადათოვს“ სიუჟეტური განვითარებისთვის სჭირდება ისეთი მხატვრული პერსონაჟები, როგორებიც არიან: იღუმალებით მოცული ლაზი აზნაური, ირაკლი ხურციძე, გრაფი სეგედი და მუშნი ზარანდია. ეს პერსონაჟები აკა მორჩილადის ნაწარმოებში სრულიად ბუნებრივად გადმოდიან სხვა ავტორის – ჭაბუა ამირეჯიბის – რომანიდან. ისინი მოქმედებენ, იღებენ გადაწყვეტილებებს, მონაწილეობენ ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში... ავტორის მინიშნებები მცირე მოცულობისაა; იგი, შესაძლოა, ორიოდ სიტყვით, რამდენიმე წინადადებით ან აბზაცით შემოიფარგლოს, მაგრამ ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკითხველი რემინისცენციულად დაუკავშირდეს „დათა თუთაშხიადან“ შესაბამის ეპიზოდებს, პერსონაჟებს, ამონარიდებს და ა.შ. აქვე ყურადღებას გავამახვილებდით კიდევ ერთ დეტალზე, რომელიც აკა მორჩილადეს „დათა თუთაშხიადან“ გადმოაქვს; ეს არის დათას საუბრის მანერა, წინადადებების სინტაქსური წყობა, რომელიც მეტწილად, პირველი პირის ნაცვალსახელით – „მე“-თი სრულდება; მაგ., „არ წამოვალ მე“ [1, 33]; „აწი წავალ მე“ [1, 195]; „საგანგებოდ ჩემთვის ნუ მოიგონებთ ნურაფერს, მირჩევია მე“ [1, 195] და სხვ. აკა მორჩილადესთანაც თვალშისაცემია საუბრის ეს სტილი; მაგ., „ავსტრიაში ვიყავი მე“ [5, 9]; „იტალიას ვამბობ ახლა მე“ [1, 10]; „სახეზე მახსოვრობა კარგი მაქვს მე“ და ა.შ. [1, 16].

აკა მორჩილადის რომანში საკამოდ ვრცელი ადგილი ეთმობა ქართველი თავადიშვილის, საგინაშვილ-საგინოვის თემას. ნაწარმოების თანახმად, საგინაშვილების (რომლებიც ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში) ადგილსამყოფელი გახლდათ სოფელი ჩხიკეთა. კაპიტანი საგინოვი მრავალ ბრძოლასა და „აფიცრულ გარჩევაში“ იყო გამობრძმედილი, მაგრამ სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ სმას მიჰყო ხელი და გალოთდა. მისი საცხოვრებელი კარმიდამო უნებლიეთ, ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის“ მთავარი გმირის, ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარს მოაგონებს მკითხველს: აბლაბუდებით დაქსელილი ჭერი, კუთხეებში დაყრილი წლობით დაგროვილი ნაგავი, ნაზამთრალი ნახშირით გამოვსებული ბუხარი, სანახევროდ ძირს დაგდებული ფარდა, მაგიდაზე დაყრილი ცარიელი ბოთლები, აბაჟურზე გამოყვანილი ისრები და გულები (როგორც ჩანს, ვიდაცეებს მოცალეობის ჟამს ევარჯიშათ...). საგინაშვილის კარმიდამოს აღწერა რემინისცენციულად მიემართება ლუარსაბის სახლ-კარს, რომელსაც, ილიას თანახმადაც, ალაგ-ალაგ ამოცვენილი აგურის იატაკი ჰქონდა (ამიტომ, მიმსვლელი ყურადღებით უნდა ყოფილიყო, რომ ფეხი ან კისერი არ მოეტეხა). ლუარსაბის სასტუმრო ოთახიც ჩაბნელებული იყო, რადგან ფანჯარაზე მინის ნაცვლად ვიდაც ჭკუათმყოფელს გაქონილი ქაღალდი გაეკრა, რომელიც მოწყენილობის განსაქარვებლად თუ მხატვრული ოსტატობის საჩვენებლად ნემსით დაეჩხვლიტათ და ზედ ხელოვნების სხვადასხვა ნიმუში – ჯვარი, გული თუ აფორიზმები ამოეტვიფრათ [6, 2].

კიდევ ერთი ნიშანდობლივი პერსონაჟი, რომელიც ორივე რომანში გვხვდება – მოსამსახურეა. ილია ჭავჭავაძე დაუნდობელია „ჩითმერდინით დარბეული, გულდა-

ჩაგრული გოგოს“ – ჭუჭყისა და მურისაგან გაშავებული ლამაზისეულის დახასიათებისას, რომელსაც თავზე შემოხვეული დაფლეთილი ჩითმერდინიდან ბლუჯა-ბლუჯად მოუჩანს წილები და ტილები; მოუვლელობისგან ფეხები აქვს გაშავებული და ქუსლები დახეთქილი [6, 19].

საგინაშვილის „ლამაზისეული“ – ტიხონია, რომელსაც არ უყვარს სისუფთავე, მუდამ ჭუჭყიანი დაიარება გაქონილი კამზოლითა და ტალახიანი რუსული ჩექმებით. თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ არსებითი განსხვავება თავად საგინაშვილსა და თავად თათქარიძეს შორის ის არის, რომ საგინაშვილმა სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ დაიწყო ამგვარი არასწორი წესით ცხოვრება, ხოლო ლუარსაბის მთელი ცხოვრება არასწორი და ფუჭი იყო.

ნიშანდობლივია, რომ საგინაშვილს ლიტერატურაშიც ეძებნება პროტოტიპი და საქართველოს ისტორიაშიც. ლევან ბერაიას თანახმად, რომელიც თავის მხრივ, ამირა არაბ სალილს იმოწმებს, საგინაშვილების შთამომავალნი „... არიან სპარსთა მთავრის, საგად წოდებულისა, რომელიცა საგ მთავარი დაადგინა სალილ არაბმან, ამირად წოდებულმან. ესე საგ დაადგინა ტფლისსა შინა გამგედ წელსა ქრისტეს აქეთ 787-სა დროსა აშოტ მეფისასა და მერე ამა საგისა დაშთომილნი შთამომავლობანი იწოდნენ საგინაშვილებად თავადად მეფეთაგან და არიან ორად: 1) სომხითსა შინა მოსახლენი, 2) კახეთსა შინა“ [2]. გარდა თავადებისა, საგინაშვილებს ყმები და აზნაურებიც ერიათ. თავად საგინაშვილებს მამულებიც ჰქონდათ ჩხიკვეთში, ვარდისუბანში, ენაგეთში, კოდაში და სხვ. ამგვარად, აკა მორჩილაძე ისტორიულ სინამდვილეს მიჰყვება, როდესაც საგინაშვილს ალაპარაკებს თავის წინაპრებზე, თავადურ წარმომავლობაზე და ადგილ-მამულებზე ჩხიკვეთაში. არც საგინაშვილის რუსულ არმიაში სამსახურია გასაკვირი; იმ დროისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, რადგან ქართველ თავად-აზნაურთა გარკვეულ ნაწილს პატარაობიდანვე ამზადებდნენ სამხედრო კარიერისთვის რუსეთის ქალაქებში და შემდეგ – რუსეთის იმპერიის სხვადასხვა გარნიზონებში ანაწილებდნენ. ამ მხრივ, გამონაკლისი არც საგინაშვილი იყო.

საგინაშვილი სიმბოლურად ასრულებს სიცოცხლეს; მას არაერთხელ გაუხსენებია ბაზალეთის ტბის ლეგენდა, რომელშიც მისი წინაპარი ეგულებოდა. სწორედ, ბაზალეთის ტბაში დაიხრჩო თავადი საგინაშვილი თავის განუშორებელ საგვარეულო ხმალთან ერთად. ვინ იცის, იქნებ იგი იმ წინაპრის სანახავად წავიდა, რომელიც ტბის ფსკერზე ეგულებოდა; იქნებ, თავად იყო ის სახელოვანი ვაჟკაცი, რომელსაც ერის მხსნელი ყრმა უნდა ამოეყვანა წყლიდან...

აკა მორჩილაძე არ არის ისტორიულ ფაქტს მიჯაჭვული ავტორი. მას სჭირდება ისტორიული ფაქტი, მოვლენა, პიროვნება, რათა ახლებურად წარმოაჩინოს იგი. მადათოვის კუნძული ტრილოგიის მეორე ნაწილში ისე ხშირად არ ფიგურირებს, როგორც პირველში – „გადაფრენა მადათოვზე და უკან“. განხილულ რომანში მადათოვი აკაკი იოსელიანის მიერ თარგმნილი წიგნის გადაცემის ადგილია; მაგრამ წიგნი ქრება, რაც ემუქრება მადათოვის კუნძულსაც. ამავე ბედს გაიზიარებენ რომანის პერსონაჟებიც (საგინაშვილი, არადელ-იშხნელი, აკაკი იოსელიანი). ავტორისეული კონცეფციაც ამ პასაჟებში იკითხება: ქვეყნად არაფერია უცვლელი; კუნძულებიც კი, ქრებიან; ქრებიან/იცვლებიან ადამიანები და მათთან ერთად, ტრადიციები, იდეოლოგიები, მრწამსი... ქვეყნის ძველი სახე იცვლება ახლით.

ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი ჭ., „დათა თუთაშხია“, თბ., 2011.
2. ბერაია ლ., საგინაშვილი, <https://nobility.pro/ge/statia/822-saginishvili.html>
3. კევერადე, ვეშაპის ხახაში გამქრალი მადათოვი, 2014.
<https://kejeradze.wordpress.com/2014/01/25/madatovi/#comments>
4. მირესაშვილი მ., ისტორიული რომანის უანრული თავისებურებანი (XX საუკუნის II ნახევარი), თბ., 2005.
5. მორჩილაძე ა., „გაქრები მადათოვზე“, 2014.
6. ჭავჭავაძე ი., „კაცია ადამიანი?!“ თბ., 2015.

Shorena Shavreshiani

***Historical-artistic passage from the second cycle of Aka Morchiladze's trilogy
“Disappearance on Madatov”***

Summary

In the end of the 20th century, Georgian writers created works in which history is used to solve modern problems. Along with famous historical personalities we can see real and unreal stories. Aka Morchiladze is distinguished in this respect. In his work, we find historical personalities, historical facts, characters and situations from other authors' works, though not unchanged forms, but revealed and modified in the writer's artistic lab. In the second part of Aka Morchiladze's trilogy “Disappearance on Madatov Island” we can find characters from the first part of the trilogy “Flight over Madatov and Back”, Chabua Amirejibi's “Data Tutashkhia” and others. The work is full of artistic and historical elements. The novel is set in 1909 and tells the story of pre-revolutionary events: secret hideouts, secret factories, a secret printing house, translating forbidden books, arresting and so on.

Шорена Шаврешiani

***Историко-художественный отрывок из второго цикла трилогии
Ака Морчиладзе «Исчезнешь на Мадатове»***

Резюме

В 90-х годах XX века появились грузинские литературные произведения, в которых история используется для решения современных проблем. Наряду со знаменитыми историческими личностями мы сталкиваемся с реальными и нереальными историями. В работах автора мы находим исторических личностей, исторические факты, персонажей и ситуации из других художественных произведений, хотя не без изменений, но выявленных и измененных в художественной лаборатории писателя. Во второй части трилогии Ака Морчиладзе «Исчезнешь на Мадатове» мы видим персонажей из первой части трилогии «Пролетите над Мадатовым и обратно», Чабуа Амиреджиби из «Дата Туташхия» и другие. В произведении много художественных и исторических элементов. В романе «Исчезнешь на Мадатове» рассказывается история дореволюционного периода: тайные собрания, тайные школы, тайные фабрики, перевод запрещенных книг, уловка-арест-преследование и многое другое. Ака Морчиладзе не является автором связанного исторического факта. Ему нужен исторический факт, событие, личность, чтобы представить его по-новому.

კობა წურწუშია
(საქართველო)

„კლოუნის თვალთახედვა“ – ეპოქის ამსახველი ორმანი

ჰაინრიხ ბიოლი (1917-1985) პოსტმოდერნისტული გერმანული ლიტერატურის წარმომადგენელია. მან სათავე დაუდო ახალი ფსიქოლოგიური პროზის პოეტიკას, განავითარა და განავრცო XX საუკუნის გერმანული პროზა. განსხვავებული სტილი, ხედვები, ესთეტიკა და საფიქრალი შემოიტანა ლიტერატურაში. ამავე დროს, ჰაინრიხ ბიოლი „დაკარგული თაობის“ მწერალია, რომელმაც დიდი ფსიქოლოგიური სიღრმით აღწერა ომის შემდგომი გერმანიის სავალალო ყოფა. მეტიც, მწერალი ჰემინგუეისა და რემარკის მსგავსად ხშირად ომის ეპიცენტრიდან გვესაუბრება. სამართლიანად ითქვას: „თუ ბიოლი მწერალი გახდა, ამაში გარკვეული „წვლილი“ ომსაც მიუძღვის. მისი ყველა მოთხრობა, ყველა რომანი დაწერილია ომზე... მათში ვხედავთ ომით გამოწვეულ შემზარავ შედეგებს“ [6, 5].

1972 წელს ჰაინრიხ ბიოლს ნობელის პრემია გადაეცა „მისი ეპოქის ფართოდ აღქმისა და ოსტატური დახასიათებისთვის“ [4, 124]. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ გერმანელი მწერლებიდან თომას მანი იყო პირველი, რომელმაც 1929 წელს ნობელის პრემია მოიპოვა, შემდეგი იყო ჰაინრიხ ბიოლი. მიუხედავად ამისა, მწერლის ირგვლივ იყო ბევრი დაუმსახურებელი კრიტიკა. ჰაინრიხ ბიოლის პოლიტიკურმა აქტივობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მაშინდელ გერმანიაში. მან ხმა მაშინ აღიმალდა, როდესაც „დუმილი“ ბევრისთვის გადარჩენას ნიშნავდა. ის მთელი ცხოვრება უსამართლო და დამანგრეველი რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა. მწერალს ყველაზე მეტად კომფორმისტულ საზოგადოებაში არსებობა უჭირდა. მისი ერთ-ერთი პერსონაჟი ხმამაღლა აცხადებს: „დუმილი კარგი იარაღია!“ მაგრამ არა ჰაინრიხ ბიოლისთვის! ჰაინრიხ ბიოლი „იმ გერმანელი მწერლების რიგში ჩადგა, რომლებმაც თავიანთი შემოქმედება ომისა და გერმანული მილიტარიზმის მხილებას მიუძღვნეს“ [3, 264]. დიახ, ჰაინრიხ ბიოლი შეუპოვრად იბრძოდა ფაშიზმის, მილიტარიზმის, ანტისემიტიზმის და ორად გახლენილი გერმანიის წინააღმდეგ. ის შეურიგებელი იყო იმ ყველაფრისადმი, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. ცხადია, ბიოლი ნონკონფორმისტი, გაბედული და რეჟიმთან დაპირისპირებული მწერალი გახლდათ.

ჰაინრიხ ბიოლი მკითხველს ღიად ესაუბრება თავის ლიტერატურულ გამომგებზე, გავლენებსა და ესთეტიკურ ღირებულებებზე: „თანამედროვე ხელოვნებაში გამოეყოფ სელინჯერს, ფელინს და ყველა მას, ვინც ცდილობს თანამედროვე ტექნიკის სამყაროში გადაარჩინოს ადამიანის სული. ჩემს თავსაც იმ ადამიანთა რიგში ვამყოფებ“, – განაცხადა მწერალმა 1966 წელს ქართველ სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრისას, როდესაც თბილისს სტუმრად პირველად ეწვია [8, 3]. აღსანიშნავია ისიც, რომ ჰაინრიხ ბიოლს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ქართველ გერმანისტებთან. მათ შორის, ნოდარ კაკაბაძესა და რეზო ყარაღაშილთან (1972 წელს ჰაინრიხ ბიოლი მეორედ ეწვია საქართველოს).

მწერალი ყველგან გვიყვება ნაომარ და დაბომბილ გერმანიაზე, რომანებსა და მოთხრობებში, პუბლიცისტურ წერილებში, ესეებში. ომს სამყაროსთვის მოაქვს მძიმე სულიერი შედეგები. ომისაგან მიყენებული დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდება, რომ ადამიანებს ეწყებათ ეგზისტენციალური შიშები, უჩნდებათ „გაქცევის“

სურვილი. ადამიანებს კიდევ უფრო შეერყათ რწმენა, როდესაც „შიტყვეს“ „ღმერთი მოკვდა“. ასეთ სამყაროში კი ყველაფერი დასაშვებია: ომი, ძალადობა, სოციალური, პოლიტიკური თუ რელიგიური ჩაგვრა. ადამიანმა დაკარგა თავისი პირვანდელი სახე (ღვთის ხატება და მსგავსება, დაბ.1:26). ის გახდა მოძალადე, ჯალათი, მანქანა. „ბელადების“ საუკუნემ (XX საუკუნე ხომ ბელადების საუკუნე იყო!) ადამიანს დაუხშო ზეცისაკენ მიმავალი გზა. რისი იმედი დარჩათ „მიწაზე“ დარჩენილებს? „კოსმიური რყევები“ ისევ გრძელდება. ნიჰილიზმის ტყვეობიდან ადამიანები ვერ გამოდიან. პათოლოგიური მიდრეკილებანი და სხვა მრავალი „სენი“ ისევ ემუქრება სამყაროს. ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმულ სიტყვაში ჰაინრიხ ბიოლმა სვედიანად განაცხადა: „ახალ სამყაროს სულ უფრო და უფრო მოეძალა გაუცხოება“ [4, 124].

რომანი „კლოუნის თვალთახედვა“ („The Clown“, 1963 წელი) ომის შემდგომ პერიოდს ასახავს. შეიძლება ითქვას, ბიოლის ლიტერატურული ხედვები სრულად ამ რომანში გამოვლინდა. მეტიც, ჰერმენევტიკის მეთოდის გამოყენებით საშუალება გვეძლევა სიღრმისეულად განვიხილოთ ტექსტი (ჰერმენევტიკა ტექსტის გაგების, განმარტების, ინტერპრეტაციის საუკეთესო საშუალებაა). ცხადია, ტექსტი შეიცავს ბევრ ინფორმაციას, სიმბოლოებს, მეტაფორებსა და მინიშნებებს. მეტიც, ტექსტის „არქიტექტურა“ მოწმობს, რომ ბიოლის რომანის კონცეპტები ანტიკური და აღორძინების ეპოქიდან იღებს სათავეს. ამავე დროს, ესაა ომისშემდგომი პოსტმოდერნისტული რომანი. მწერალმა ამხილა ომისშემდგომი გერმანია ცრუ ფასეულობებით, კომფორმისტული საზოგადოების ანტიჰუმანიზმი და ანტირელიგიურობა. რომანში ეპოქის ხასიათი გამოკვეთილია. რომანის მთავარი გმირი ეპოქის ხასიათს გამოსატყავს. ამავე დროს, რომანში ცხადადაა ნაჩვენები ნაციისტური გერმანიის განწირულობა.

ომმა დიდი დარტყმა მიაყენა გერმანელ ხალხს სულიერი და კულტურული თვალსაზრისით. რომანში ხშირად წავაწყდებით ასეთ ფრაზას; „რა საშინელი იყო ნაციისტების ბატონობის ხანა“, „ჰიტლერიუგენდი“ [2, 186-187]. ჰიტლერიუგენდი იყო ნაციისტური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთა. მისი ფუძემდებელი იყო ადოლფ ჰიტლერი. ორგანიზაცია 1926 წელს ოფიციალურად დაფუძნდა. ყავისფერ უნიფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდები მეორე მსოფლიო ომში აქტიურად იყვნენ ჩაბმული. ისინი სასტიკად უსწორდებოდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს და პირნათლად ასრულებდნენ ფიურერის დავალებას. ხელისუფლებასთან დაახლოებული ადამიანები ურცხვად ჰყიდნენ მორალურ პრინციპებს. მეტიც, საზოგადოების ერთ ნაწილს გამოუმუშავდა „გარემოსთან შეგუების უნარი“, მაგრამ არა ჰაინრიხ ბიოლს! ომისშემდგომ გერმანიაში არსებობა სულისშემძვრელი იყო. „ნორმალურ“ საზოგადოებას კი ამ ყველაფრის მიმართ პროტესტი არ გააჩნდა.

„კლოუნის თვალთახედვა“ გერმანული რომანის განვითარების ახალ ეტაპს წარმოადგენს. რომანი პირობითად შეიძლება „საოჯახო რომანების“ ციკლს მივაკუთვნოთ, მაგრამ თავისი შინაარსობრივი „სიმძიმის“ გამო „ოჯახურ“ სივრცეს სცილდება. დიახ, ეს არაა საოჯახო-საყოფაცხოვრებო ჟანრის რომანი, მასში ეპოქის ხასიათი და სიმბოლოები გამოკვეთილია. თუმცა მასში „ოჯახური ციკლის“ რომანების ნარატივის პოვნაც არაა რთული. შეიძლება ითქვას, ბიოლის ეს რომანი არის დიდი ნარატივი კომპლექსისა („ხმაური და მძვინვარება“) და ჯორდახებისა („მდიდარი, ღარიბი“). ჯორდახებისა და კომპლექსების ოჯახური ღირებულება ეწი-

რება „მაენე“ საზოგადოებრივ წესებს, ამპარტავნობას, ცრუ ღირებულებებს. ამ მხრივ შნირების ოჯახშიც არაა სანიმუშო წესრიგი. აქაც ყველაფერი ხმაურობს და მძინვარებს.

ღიას, ოჯახურ გარემოს სცილდება კომპსონების, ჯორდახებისა და შნირების ოჯახური დრამა. ეს ჰერმეტიული ოჯახური გარემო მკითხველისაგან მეტ გააზრებას მოითხოვს. უილიამ ფოლკნერმა კომოსონების ოჯახის მაგალითზე გვიჩვენა XX საუკუნის დასაწყისის ამერიკის უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკური გარემო. ირვინ შოც თავისი პერსონაჟებით იმ დამთრგუნველ გარემოზე გვესაუბრება, სადაც პიროვნების ტრაგედია გარდაუვალია. ცხადია, ეს ოჯახური მეტასტაზები ფართო ხასიათისაა. სამართლიანად ითქვა: „რომანი ცალკეული ადამიანების ბედში მთელ ქვეყანას ირეკლავს“ [7, 109]. ჰაინრიხ ბიოლმა თავისი რომანით ეპოქის მტკივნეული საკითხების ჩვენება და გააზრება დაისახა მიზნად.

გაუცხოებულ საზოგადოებას ეწირებიან ბიოლის პერსონაჟებიც. რომანში უმძიმეს ოჯახურ გარემოს ვეცნობით. შნირების შვილების ყოფა სავალალო და ტრაგიკულია. მეტიც, ომის სუსხი ყველაზე მეტად შნირების ოჯახს შეეხო. ჰენრიეტა, ჯერ კიდევ 16 წლის არასრულწლოვანი გოგონა, ომში მოხალისედ მიდის. მანამდე ის ჩოვბურთის საუკეთესო მოთამაშედ ითვლებოდა. სახლიდან მის „გაქცევას“ ხელი არავინ შეუშალა. მშობლები გოგონას ომში შემდეგი სიტყვებით აცილებენ: „აბა შენ იცი!“ ოჯახმა გოგონა საზარბაზნე ხორცად გაიმეტა. შნირების მეორე შვილი რჯულშეცვლილი ლეო, რომელიც სემინარიაში თეოლოგიას „გულმოდგინედ“ სწავლობდა, მშობლებისთვის „ურჩი“ შვილია. ჰანსიც, რომანის მთავარი გმირი, მშობლებისთვის არასოდეს ყოფილა „დამჯერე შვილი“. ის სახლიდან გაიქცევა და ნებაყოფლობით უარს აცხადებს სიმდიდრესა და კეთილდღეობაზე (შნირები ნახშირის მაგნატები არიან. ნახშირის აქციების დიდი ნაწილი მათი ოჯახის ორი თაობის ხელში იყო) და უკიდურეს მატერიალურ და სულიერ გაჭირვებას განიცდის. ოჯახის მამას საყვარელი პყავდა ოპერის მომღერალი ქალი და ორმაგ ცხოვრებას ეწეოდა. შნირების დედა კი საოცარ სიძუნწეს იჩენდა ჭუჭყიანი მილიონებისადმი, რომელსაც ზედ დაჰკანკალებდა. ასეთია შნირების ოჯახური გარემო.

რომანის მთავარ გმირს კომუნიკაცია აქვს ბონთან. ეს შემთხვევითი როდია. ბონი ორად გახლენილი გერმანიის სიმბოლოა. ბონში „მოგზაურობა“ რომანის ძლიერი „ჩანართია“. ესაა ეგზისტენციალური სივრცე, რომელსაც მწერალი საგანგებოდ ქმნის. ამავე დროს, მწერალი მიმართავს „ცნობიერების ნაკადის“ კომპოზიციურ ელემენტებს. სწორედ „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკის მეშვეობით გმირი მოგზაურობს ბონში. ბონი არის ერთგვარი ავანსცენა, სადაც უწყვეტლივ, შავთეთრი კადრებით მოვლენები ვითარდება. შეიძლება ითქვას, ეს „მოგზაურობა“ რომანის უმთავრესი ღერძია. ბონი არის ერთგვარი თავშესაფარი გმირისთვის.

„კლოუნი გახლავართ, ოფიციალურად პროფესიონალი კომიკოსი მსახიობი მქვია, არც ერთ ეკლესიას არ ვუხედი ხარკს, ვარ ოცდაშვიდი წლის... პირადად მერელიგიას ზურგი ვაქციე, ეკლესიაშიც კი არ დავდივარ და ლიტურგიულ ტექსტებსა და მელოდიებს სამკურნალო მიზნით ვიყენებ... მაქვს ტელეფონით სუნის აღქმის მისტიკური უნარი. ერთი საშინელი სენიც მაწუხებს – მონოგამიისადმი მიდრეკილება“, – ეს რომანის მთავარი გმირის „შინაგანი მონოლოგია“ [2, 6]. ის საზოგადოების თვალში გაუცხოებული, საკუთარ თავში ჩაკეტილი და რწმენა

შერყეული ხელოვანია. მეტი, ის „დაფდაწვევტილი მარიონეცია“, რომელსაც ეჯავრება საკუთარი თავი და საკუთარი პროფესია.

ჰანს შნირი ოჯახიდან გაიქცევა. ეს მისი სამოქალაქო და პოლიტიკური პროტესტია. ეს მისი ნების გამოხატულებაა. მაგრამ ამგვარი „აქტივობა“ უფრო გააზრებულ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს. არ ჩანს ჰანსის პოლიტიკური „ზრდა“. ის ვაგზლის კიბეზე აპირებს ჩამოჯდეს და გროშებისათვის დაუკრას, თუმცა ესეც პროტესტის ფორმაა. მისი „რევოლუციური ნაბიჯები“ აქ წყდება, კიბეზე. მისი „ენერგია“ აქ წყვეტს არსებობას, მაგრამ ადამიანის ნებისმიერი მოქმედება ადრე თუ გვიან აისახება საზოგადოებაზე.

ჰანს შნირი პოლიტიკური „აქტივობისათვის“ ისჯება, როგორც „უძღები შვილი“ და ოჯახი მას ფინანსურ დახმარებას უწყვეტს. გავისხენოთ რომანიდან ის სცენები, თუ როგორ ჯამბაზობს და ჟონგლიორობს ჰანსი მამასთან, რათა მისგან მცირედი ფინანსური დახმარება მიიღოს, მაგრამ ამოდ. ჰანს მაშინაც არ გამოპარვია მამის ეშმაკური ღიმილი, როდესაც სახლიდან აცილებდა. დედას კი უხარია კიდევ მისი მარცხი და ტელეფონით მწარე ირონიით ეუბნება: „გავიგეთ შენი ამბავი... ისევ ცუდ დღეში ყოფილხარ“ [2, 30]. ასეთია ის ოჯახური გარემო, საიდანაც მთავარი გმირი გაქცევას ცდილობს.

გარემო – „მამის სახლი“ გმირისთვის არაა სიმშვიდის გარანტი. ეს სახლი არაა თავშესაფარი „ძე შეცთომილისთვის“, არამედ ესაა უსახლკარობისა და უსამართლობის სიმბოლო. მას მამის ოჯახში არსებობა უჭირს. „კვლავ გამახსენდა, როგორ იძუნწეს ჩემმა მშობლებმა, როცა მე და მარი ბონიდან გავიქცეთ. მამამ მომწერა, მორალური მოსაზრებების გამო ვერაფრით დაგეხმარებითო...“ [2, 152]. დიახ, ყალბ მორალურ მოსაზრებებს ეწირებიან შნირების შვილები, თავისთავად მარი და ჰანსი და არამარტო ისინი.

ჰანსისთვის მარი იყო იმედი, ხელჩასაჭიდი, ცხოვრებასთან დამაკავშირებელი მთავარი რგოლი. მიუხედავად ამისა, ის მაინც არ აპირებს მარისთან ოფიციალურ ქორწინებაში იყოს. ეს მისი პროტესტის ფორმაა. ამით ის უპირისპირდება ყალბი ეთიკური და ზნეობრივი პრინციპებით „დაავადებულ“ საზოგადოებას. ამ „უკანონო“ ქორწინებას „ზნეობით სავსე“ საზოგადოება ბოიკოტს უცხადებს. ფილისტერული საზოგადოება ვერ ეგუება ქალისა და კაცის თანაცხოვრებას საქორწილო ხელშეკრულების გარეშე. მათ ურთიერთობას ისიც ამძიმებს, რომ მეუღლეებს შვილი არ ჰყავთ. რომანში ბავშვის თემას დიდი ადგილი ეთმობა. ჰანს ყველაზე მეტად ეძვირფასება ბავშვის სამყარო. მისი ფაქიზი სული ვერ უძლებს მეშინურ საზოგადოებას. უყურებს ფილმებს, რომლებიც მხოლოდ ექვს წლამდე ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. ერთგან აღნიშნავს: „საკმაოდ კარგად მეხერხება ბავშვის არსებობის ღირებულების გადმოცემა. ბავშვისთვის ხომ ბანალურიც კი მნიშვნელოვანია. ბავშვი მარტოა, გაურბის წესრიგს, იგი ტრაგიკული არსებაა“ [2, 98]. ჰანსისთვის პატარა დის ჰენრიეტას სიკვდილი მოურჩენელი სულიერი ტრავმაა.

რომანში მწარე სარკაზმითაა მხილებულია კათოლიკური ეკლესიის ღვთისმოსაობა. ცხადია, რეჟიმის პირობებში ეკლესიას უჭირს. ეკლესიაც „წმინდა“ სამღვდელეობასთან ჩამდგარია რეჟიმის იდეოლოგიის სამსახურში. „ჩვენი ძველი, სიკეთით სავსე, ღვთისმოსაობა ქალაქი“, – ვკითხულობთ ერთგან რომანში, მაგრამ ეს მხოლოდ სიყალბე და სიცრუე იყო. ეს ის სიკეთით სავსე ქალაქი იყო, რომელიც სრულიად მშვიდად ხვდება ჭორფლიანი პატარა ბიჭის ტრაგიკულ სიკვდილს (ბიჭს

შემთხვევით ხელში ყუმბარა აუფეთქდება). უბედურ შემთხვევას ქალაქი ასე ხვდება: „საბედნიეროდ, გეორგი ობოლი იყო“ [2, 23]. დიას, აფსურდული იყო ბონის მკვიდრთა რელიგიური შემწყნარებლობა და ჰუმანიზმი. მორალურად და ზნეობრივად მერყევი საზოგადოება ისევ უტიფრად თვალთმაქცობდა, ისევ ფარისევლურ პოლიტიკას აწარმოებდა. სამოქალაქო და საეკლესიო კანონები უხეშად ეჯახებოდნენ ერთმანეთს. კომიზმითა და გროტესკით გაჯერებული რეალობის მიღმა საშინელი ცხოვრებისეული სინამდვილე ისადგურებდა. რელიგია იყო ერთგვარი საფარი, რომლის მიღმა გულგრილობა, სიძულვილი და მლიქვნელობა ისადგურებდა. „გულნამცეცა“ და „პატარა კაცუნებით“ გაივსო ბონი. და არამარტო ბონი. „სულის სიღატაკე“ ყველგან იგრძნობოდა. ბიოლის სატირა რელიგიისადმი მეტად მკაცრი და უღმობელია. ამ რომანით მწერალმა გამოააშკარავა ომისშემდგომი გერმანია ცრუ რელიგიური ფასეულობებით და „რუხი კარდინალებით“.

ადამიანის თავისუფლება აბსოლუტურია. ჰანსი არჩევანს აკეთებს მოქმედებასა და უმოქმედობას შორის. ჩნდება კითხვა, რამდენად სწორია ჰანსის „მოქმედება?“ ის მაინც აკეთებს არჩევანს (ხდება ცირკის კლოუნი) და ეს მისი არჩევანი უფრო გაქცევას უდრიდა, ვინემ მოქმედებას. ის არ აპირებს რაიმე ვალდებულება იკისროს საზოგადოების წინაშე, რადგან თვლის, რომ მოქმედებას არანაირი აზრი არ აქვს. ის აპოლიტიკოსია. საზოგადოების მართვაში მონაწილეობას არ ღებულობს. თითქოს ირჩევს იოლ გზას – კლოუნის პროფესიას და მთელი რომანის მანძილზე კლოუნის ნიღაბს ამოფარებული გვიყვება უმძიმე რეალობაზე. რეალობა კი მეტისმეტად უნუგეშო იყო ომისშემდგომ გერმანიაში. ის ხან პიერო და ხან არლეკინია! ისიც უნდა ითქვას, რომ მისი გამოსვლები არ ყოფილა წმინდა არტისტული, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ მის გამოსვლებში ცხოვრება ბოლოქრობდა და ტორტმანობდა. კლოუნი თავის „უსიტყვო“ თეატრალურ წარმოდგენებს ღრმა აზრითა და შესტებით გადმოსცემდა. ის კარგად თამაშობდა ცხოვრებას.

როგორც აღვნიშნეთ, მწერალი მიმართავს ანტიკურ თემებს, ანტიკური კომედიის ნიღბებსა და აქსესუარებს. შეიძლება ითქვას, ბიოლის პერსონაჟს შორეულმა ანტიკურმა კომედიათა მოუმიზადა ნიადაგი. როგორც ცნობილია, ანტიკური კომედიის დანიშნულება იყო კომიკური ხერხების მოშველიებით გაეშუქებინა ათენის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება, ომისა და ზავის საკითხები. ანტიკური კომედია მუდამ დემოსის ნებას გამოხატავდა. „შემკვეთი“ ყოველთვის დემოსი იყო. ანტიკური კომედიის მაყურებელს საშუალება ეძლეოდა სიღრმისეულად გაეცნობიერებინა მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესები. ამგვარი ფუნქცია აკისრია ჰანსის ბიოლის პერსონაჟს. ამდენად, კლოუნის მხატვრულ სახეს მოეპოვება ღრმა ფესვები, რომელსაც ანტიკური კომედიის სანახაობამდე მივყავართ. კლოუნის უდარდელი სახე მხოლოდ მისტიფიკაციაა. მისი მხატვრული ორაზროვნება ფიქრისკენ ეწევა მაყურებელს. ის გამოხატავს ყველა ადამიანში ჩადებული პროტესტის მუხტს. ამდენად, კლოუნის მხატვრულ სახეს ფარავს ანტიკური კომედიის ნიღბები. კლოუნის არქეტიპი ანტიკური კომედიის წიაღში იშვა.

ამავე დროს, ჰანსის ბიოლის რომანში გამოკვეთილია რენესანსული პარადიგმები და რემინისცენციები. „სიცილს“ ამოეფარა დიდი ჰუმანიستي ფრანსუა რაბლე. რაბლეს სიცილს (ჰიპერბოლებს) ღრმა სიბრძნე ფარავს. ძველ სამყაროსთან საბრძოლველად რაბლემ სიცილი აირჩია. მწერალი მოხერხებულად აკრიტიკებს

ძველ ეპოქას. ჰუმანისტი რაბლეს მიზანს სიცილით აღწევს. „გარგანტუა და პანტაგრუელი“ სიცილით გამჟღავნებული ღრმა კრიტიკა იყო. ცენზურა მხოლოდ მოგვიანებით ჩაწვდა რაბლეს სიცილს. კათოლიკურმა ეკლესიამ წიგნი მაშინათვე აკრძალა. ცხადია, რაბლემ ძველ ეპოქასთან საბრძოლველად ყველაზე მოქნილი საშუალება – სიცილი, იუმორი, გროტესკი, კომიზმის ფორმა მოიმარჯვა. საგანმანათლებლო ლიტერატურამ კიდევ უფრო განავრცო ეს ხერხი. იქმნებოდა აუარებელი პოლიტიკური პამფლეტები, ეპიგრამები, სატირული ნაწარმოებები, პიესები.

და კიდევ, უმთავრესი. ბიოლის რომანში შექსპირის მასხარაც გაიელვებს. შეიძლება ითქვას, ბიოლის კლოუნი ენათესავება შექსპირის მასხარას „მეფე ლირიდან“. შექსპირის მასხარა არაა რიგითი თეატრალური თოჯინა. ის მასხარაზე მეტია! რომელიც თეატრალურ ნიღაბსაა ამოფარებული. მან თავისი მამხილებელი სიტყვებით უნდა გადაარჩინოს არა მარტო ჭირვეული მეფე-მონარქი, არამედ ბრიტანეთის სამეფო. შექსპირმა მას უმთავრესი მისია დააკისრა. გონებადაბინდული მეფის გონზე მოყვანა და მოვლენების გაანალიზება. ანალოგიურად შეიძლება ითქვას ბიოლის კლოუნზე. ბიოლმა კლოუნის ლიტერატურული პროგრეტის შექმნით დაავადებული ეპოქის მხილება დაისახა მიზნად. მეფე ლირს მოსწონს ხუმარას „მოსწრებული და მაშხამიანი სიტყვები“. გონს მოსულ მეფე ლირს აღმოხდება: „მწარედ მომდო ამ გესლიანმა მასხარამ“ (თარგმანი ი. მანახელის და ი. ჭავჭავაძის). მკითხველი ამ „პარალელებს“ უთუოდ ყურადღებას მიაქცევს. ბიოლმა თავისი „თეატრალური პერსონაჟით“ მწარედ ამხილა თავისი დროინდელი გერმანიის პოლიტიკური და კულტურული გარემო. ასეთია ბიოლის რომანის სააზროვნო პარადიგმა.

კლოუნის რეტროსპექტული მხატვრული სახე აფსურდის ნიშნებსაც შეიცავს. ისიც შემთხვევითი არაა, რომ რომანში მეორდება ბეკეტისა და იონესკოს სახელეუბნი. კლოუნის აზრით, აფსურდულია სამყარო. ერთგან ამბობს კიდევ: „ყველაზე მეტად ყოველდღიური ცხოვრების აბსურდულობის წარმოდგენა მეხერხებოდაო“ [2, 97]. ასეც იყო! კლოუნი თავისი „უსიტყვო“ გამოსვლებით „ანტიკომუნიკაციას“ მიმართავს. ამით ის ცდილობს გამოაფხიზლოს და დააფიქროს მაყურებელი, მაგრამ ამაოდ. ბეკეტისა და იონესკოს პიესებში სიტყვები დუმილითაა „ჩანაცვლებული“. პერსონაჟთა მეტყველება დაშლილი და დანაწევრებულია. მოკლე და ნაწყვეტ ფრაზებს მოსდევს უსაშველო „დუმილი“, პაუზა, მიმიკები და ჟესტები, რომლებიც ზოგჯერ სიტყვაზე უფრო ძლიერია. ამ თვალსაზრისით, ბიოლის კლოუნს ბევრი საერთო აქვს ბეკეტისა და იონესკოს პერსონაჟებთან.

ჰანს შნირი პოლიტიკური რეჟიმის მსხვერპლია. მას კომფორმისტულ საზოგადოებაში არსებობა უჭირს. რომანში გერმანული ისტებლიშმენტის ძალა გამოკვეთილია. კლოუნის მშობლებიც პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაწილი არიან. სწორედ ეს აღელვებს რომანის მთავარ გმირს და სახლიდან გარბის. ცხადია, გასულ საუკუნეში მომხდარი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული კრიზისი გამოკვეთილია რომანში. ამავე დროს, რომანში მკვეთრად დაპირისპირებული ხელოვნება და ცხოვრება.

სამართლიანად ითქვა: „კომიკურ ფანტაზიას, ცხოვრების წიაღში შობილს და ახლოს მდგარს ხელოვნებასთან, ნამდვილად აქვს სათქმელი ცხოვრებაზეც და ხელოვნებაზეც“. და იქვე, ანრი ბერგსონი ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ სიცილის მიზანია „გამოდგენოს ზედაპირზე უწესრიგობის ელემენტები“ [1, 8-116]. სიცილს

გამზიარებელი სჭირდება. მისი ექო უეჭველად შედეგის მომტანია. გამოაფხიზლებს ადამიანებს, სოციალურ ჯგუფებს. ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, სიცილით სიმართლის თქმა სასარგებლო როლს ასრულებდა.

ამ აზრისა იყო ილია ჭავჭავაძეც. ილია თვლიდა, რომ სცენას, მსახიობს, თეატრს შეუძლია საზოგადოების გაკეთილშობილება და გამოფხიზლება. მეტიც, თეატრი ის ადგილია, სადაც გულიანად იცინიან და ტირიან კიდევ, რათა დააფიქროს საზოგადოება: „თეატრი ბევრს შემთხვევაში მარტო ხელოვნების მსახური არ არის. ადგილი, დრო და გარემოება მას ზოგჯერ სხვა სამსახურსაც კისრად სდებს და ამ მხრით თეატრი დაუფასებელი რამ არის და ჩვენ არ ვიცით სხვა მასებრ უბარი საშუალება, რომელიც ეგრე სასწრაფოდ და პირდაპირ მოქმედებდეს ადამიანის უკეთესთა გრძნობათა გამოფხიზლებასა და მოძრაობაზე“ [9, 241].

დასასრულს დავსძენთ, რომ დიდი სიღრმის ლიტერატურული ტექსტები ყოველთვის იყო პოლიტიკური გზავნილის მატარებელი. ჰაინრიხ ბიოლის კლოუნი ეპოქის მხატვრული სახეა. მისი მიზანია ეპოქის უწესრიგობა ზედაპირზე გამოდევნოს. მას მასხარაობით სურს დაავადებული ქვეყნის გამოფხიზლება. ამ რომანით მწერალმა ხმა აღიმადლა გერმანიაში უსამართლო და დამანგრეველი რეჟიმის წინააღმდეგ. ომისშემდგომი გერმანიის სულიერი კრიზისი აღბეჭდილია რომანში. მთავარ გმირს ეწყება არა შემოქმედებითი კრიზისი, არამედ თვით გერმანიაა კრიზისულ და დამთრგუნველ მდგომარეობაში. როგორც აღვნიშნეთ, რომანში ანტიკური და რენესანსული რემინისცენციები ძლიერი ნაკადია. ბიოლის კლოუნის მხატვრული სახე „კულტურული მესხიერების“ წიაღში იშვა. ასეთია ჩვენ მიერ დანახული ტექსტი და ეპოქა, ის სოციალური და პოლიტიკური საკითხები, რომლებიც ასე მწვავედ იდგა გასული საუკუნის გერმანიაში და რომლებიც ასე მწვავედ აღელვებდა ჰაინრიხ ბიოლს. ომის ნანგრევებისაგან გაიწმინდა სამყარო! (ან ჯერ კიდევ ისევ იწმინდება!) თუმცა, დღეს სამყარო და, ზოგადად, ადამიანი სხვა საფრთხეების წინაშე დგას.

ლიტერატურა:

1. ბერგსონი ა., სიცილი, თარგმანი ანზორ აბუანდაძის, თბ., 2014.
2. ბიოლი ჰ., კლოუნის თვალთახედვა, თარგმანი ნ. ამაშუკელის, თბ., 2012.
3. ბიოლი ჰ., უკაცო სახლი, თარგმანი და ბოლოსიტყვა თ. პატარაიასი, თბ., 1987.
4. ბიოლი ჰ., პოეზიის გონებაში წვდომის მცდელობა. წიგნში: ლექციები წაკითხული ნობელის პრემიის მიღებისას ლიტერატურაში, 1961-1985, თარგმანი ნ. გოგოლაშვილის, თბ., 2011.
5. ბიოლი ჰ., ლიტერატურული მონობის ხუნდები. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1969, 22 აგვისტო, N34.
6. ბიოლი ჰ., და არ უთქვამს არც ერთი სიტყვა, მოთხრობები. წინასიტყვაობა და თარგმანი ნ. რუხაძის, თბ., 1964.
7. კაკაბაძე ნ., თანამედროვე დასავლური რომანი და მისი პოეტიკა. წიგნში: პორტრეტები და სილუეტები, თბ., 1971.
8. ყარალაშვილი რ., ჰაინრიხ ბიოლი სტუმრად ქართველ სტუდენტებთან. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 1966, 28 ოქტომბერი, N32.
9. ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული, ტომი V, კრიტიკა, თბ., 1991.

Koba Tsurtsumia
“The Clown” – the novel reflecting epoch
Summary

Heinrich Boll (1917-1985) is the representative of German postmodern literature. He established poetry in the new psychological prose; developed and enlarged the 20th century German prose. At the same time, Heinrich Boll is considered as the writer of the “Lost Generation”, who described the deplorable existence of post-war Germany with great psychological depth.

The novel “The Clown” (1963) depicts the post-war period. One might say that Boll's literary views were fully revealed in this novel. Obviously, the text contains a lot of information, symbols, metaphors, and indications. Heinrich Boll aimed to show the painful issues of the era: he raised his voice against the unjust and destructive regime in Germany.

Коба Цурцумия
«Глазами Клоуна» – роман отражающий эпоху
Резюме

Генрих Бёлль (1917-1985) – является представителем постмодернистской немецкой литературы. Он положил начало поэзии новой психологической прозы, разработал и расширил немецкую прозу XX века. В то же время, Генрих Бёлль является писателем «потерянного поколения», который с большой психологической глубиной описал плачевное положение послевоенной Германии.

В романе «Глазами клоуна» (1963) изображен послевоенный период. Можно сказать, что литературные видения Бёлля были полностью раскрыты в этом романе. Очевидно, что текст содержит много информации, символов, метафор и намеков. Этим романом Генрих Бёлль наметил перед собой цель – показать наиболее болезненные проблемы эпохи, повышая голос против несправедливого и разрушительного режима в Германии.

Ливия Которча
(Румыния)

КАМАЛ АБДУЛЛА: ОТ ЗАКОНА КРОВИ К ЗАКОНУ ЛЮБВИ

*Душа, кто вдохнул в тебя этот порыв?
Кто в сердце родил трепетанье тревог?
О, птица! Своим языком говори-Понятен
мне тайн сокровенный намек.*
Диван Шамса Табрэзи

*За каждым поворотом кровь или опасный крюк.
То как спираь, то как зигзаг, и так за кругом круг-
Он может оборваться вдруг, но после нас стезя!
Кудаже все-таки ведет нас этот путь?*
Камал Абдулла, «Дружба народов», 2008, №12

В румынскую культуру вошло уже немало произведений из исламского культурного пространства. Они обогатили наше представление о творчестве, о котором теперь никак не можем думать исключительно под знаком отличия и, тем более, со стороны экзотизма. На уровне всемирной литературы есть писатели из этого ареала культуры, которые знакомы читателям как великие мастера словесного творчества. Некоторые из них принесли своим национальным литературам всеобщее признание и значительные премии, доказывая этим, что, как и великие писатели христианского Запада, они принадлежат той элите мысли и чувства, через которую человечество наших дней спрашивает себя о своей дальнейшей судьбе и о своем назначении в мире. Образованные в разных жизненных и культурных традициях и разделенные временем и пространством, члены этой элиты передают, может быть, как никогда настойчивее, сообщения, которые, несмотря на их разные формы, встречаются в идее, что человек должен покинуть закон самосохранения насильем и открыть в себе искру добра, которое повсюду приписывается одновременно какому-то Божеству и сущности человека как такового. И нам кажется значительным тот факт, что везде действие этой искры добра не мыслится вне принятия изначально множественности миров и ответственности человека перед нею. Тем более данное действие не признается вне восприятия роли души в приложении во времени этой ответственности с конечной целью избежать нарушения космического равновесия и всеобщего спасения.

Вышеуказанные проблемы раскрываются, в разных тональностях и специфическим воображением, и в культурном ареале тысячелетних традиций и благородной изящности Ближнего Востока. В этом ареале живут иранские и тюркские народности Малой и Центральной Азии, процветающие при свете зороастризма и, потом, исламизма, изнутри комментированного суфизмом и институцией дервиша. Отсюда идет поэзия высоко оцененная и распространенная на разные языки мира, особенно в период романтизма, когда восточные мировоззрения и новые поэтики были не только открыты, но и глубоко были присвоены некоторыми великими западными писателями. Достаточно напомнить имена Гафеза, Руми, Рудаки, Саади или Каяма, чтобы понимать необычайное значение, которое принимала встреча культуры, о которой говорим здесь, с пространством всемирной куль-

туры. Не без значения был и интерес к нарративным формам, созданным восточным культурным ареалом, хотя из-за их очень подчеркнутой специфики только некоторые из них смогли перешагнуть свои географические границы. Но, когда это случилось, они оставили в культуре мира следы постоянные и богатого плодородия. Так случилось с нарративной поэмой персидско-тюркских культур *Шах намэ* Фирдуси и с арабскими сказками *Тысяча и одна ночь*, которые до их перевода на европейские языки (на французский, А. Галландом в 1704-1717, на английский, Р.Ф. Бартоном в 1885), долгое время распространялись и отшлифовались во всем восточном преисламском и исламском мире.

Казалось, что совершенство, достигнутое упомянутыми формами, иссякло источники нарративного исламского творчества. Такое впечатление заставило одного великого современного иранского прозаика, Садега Хедаята (1903-1952), перед своим самоубийством в ночь 8-9 апреля 1951г., обращаться к своим соотечественникам следующими словами: «А вы, остальные, дети атомной эры, почему вы остаётесь в анахронической литературе? Литература совсем изменилась. После Джойса наступил конец никчемной литературе. Есть литература до Джойса и после Джойса. И больше ничего». И, хотя Хедаят предостерегал насчет анахронизма литературы, к которой сам принадлежал, он знал очень хорошо, что в лучшем, что есть в его творчестве: *Исфахан, полмира, 1932, Светотень, 1933, Слепой филин, 1937* или *Бродячая собака, 1942*, он обязан именно этой литературе.

Естественно существующая разница между европейской и восточной литературами не воспринималась так трагично писателями, которые поднялись после автора *Слепого филина* из очага старой культуры и цивилизации преислама и ислама (очага, включающего Иран, Турцию, Афганистан, Азербайджан, Кыргызстан, Таджикистан, Казахстан, Дагестан). Стоит напомнить, что, без особых усилий, возродил старинную восточную форму, соединяющую нарративность и стих, кыргыз Чингиз Айтматов (1928-2008), который своими повестями и своим романом 1980 г. *И дольше века длится день* напомнил о ней мировой литературе. Но такая преемственность, которую блестяще реализовал в своей прозе Айтматов, не касалась так формы как таковой, как существенной составляющей своеобразности восточной культуры, которую он синтезировал следующими словами в предисловии к роману *И дольше века длится день* по случаю его появления на русском языке в 1981г.: «Нить человеческой памяти длится от Земли к Космосу».

Свободный от культурных комплексов и разрабатывая культурные и литературные проекты широкого охвата на фоне идеи мультикультурализма и общности всего человеческого творчества, наш современник, писатель из Азербайджана, Камал Абдулла (р. 1950) быстро утвердил себя в мировой литературе как писатель первой величины. Личность замечательной, всеобъемлющей сложности (поэт, прозаик, драматург, литературный критик, переводчик, эссеист, поэт, языковед славист и турколог), этот писатель воскрешает в культуре своей страны именно те явления, которые, казалось, заставили бы её быть далёкой от сегодняшней культуры мира: преисламскую и исламскую старину. При этом Камал Абдулла обращает особое внимание на книгу своего народа *Китаби Деде Коркуд*, которой посвящает ряд исследований и комментариев, среди которых: *Тайны Деде Коркуда, 1991, 1999, Приключения тайн, Недатированный журнал, 2005, От мифа к письму или Тайны Деде Коркуда, 2009, Введение в поэтику дастана Деде Коркуд, 2017*. Данные исследования и комментарии были переведены на Западе быстро и печатались повторными изданиями. Кроме этого, всеобщее признанный азербайджанский писатель и исследователь стал инициатором и содиректором всемирного проекта *Песня Нибелунгов и Китаби Деде Коркуд – Das*

Nibelungenlied und das Buch des Dede Rorkut, над которым работают несколько профессоров и исследователей Майнцского Университета имени «Йоганес Гуттенберг». Как активный участник этого проекта, Камал Абдулла выявляет в своих работах значительные аспекты восточной народной мудрости, морали и эстетики, которые находят себе выражение в памятнике *Дедэ Коркуд*, подчеркивая ту идейную и эстетическую специфику, которая не противопоставляется мышлению и эстетике Европы, а, наоборот, дополняет общую картину человеческой культуры. То, что привлекает особое его внимание, – это внутренний мистико-духовный размер преисламской и исламской культур, принятый им как постоянную составляющую не только мифов и фольклора, но и творчества великих личностей этих культур. Этот духовный размер обсессивно предлагается в заглавиях многих книг и исследований азербайджанского писателя в синтагме *тайна/тайны*.

К сверхвременной тайне восточных культур направлен не только глаз аналитика. После долгого и глубокого исследования и присвоения им ее смыслов и выражений, в этой тайне находит свой источник вдохновения и писатель, который подарил азербайджанской культуре три замечательных романа: *Неполная рукопись, 2004г., Долина кудесников, 2006г., И некого забыть..., 2011г.* Все эти произведения стали значительными не только для Азербайджана, но и для мировой литературы благодаря переводам на многие языки (во Франции – 2005, в России и Турции – 2006, в Польше – 2009, в Англии и Германии – 2013) и комментариям над ними, принадлежащим великим культурным личностям мира. “Un epica da sogno” – восхищенно восклицал итальянец Джюсеппе Аккончия в интервью, который получил от Камала Абдулла в декабре 2014 г. по случаю появления на итальянском языке его романа *Неполная рукопись*, в том же году признанного в Италии «романом года». За такое же произведение, которое высоко оценил и Умберто Эко, азербайджанский прозаик получает премию “Scanno“, лауреатами которой являются, между прочим, и Антонио Табуки, Марио Варгас Льяса или Жозе Сарамыаго. Таким же интенсивным вниманием на мировой сцене пользовался и роман *Долина кудесников*, изданный на итальянском языке в 2016 г., после того как он уже был переведен на турецкий и русский язык в 2010 или на французский – в 2014г. И, хотя роман *Неполная рукопись*, за довольно краткое время, был издан на французском языке несколько раз и был подробно комментирован некоторыми значительными иностранными литературными критиками, нас привлекла особенно его издательская и комментаторская судьба в Италии. Именно здесь встречи и беседы Умберто Эко и Камала Абдулла выявили эстетические риски и завоевания, ожидающие тех, кто срывает печать с давно погибших времен и культурных практик, чтобы окрестить их в водах нашего времени и чтобы раскрыть их тайные, постоянные смыслы.

მწერალი „პატარა პრინცი“ თხრობას შემდეგი სიტყვებით იწყებს: „ექვსი წლის ვიყავი, როდესაც ერთ დღეს წიგნში „ნამდვილი ამბები“, რომელიც უღრანი ტყის ცხოვრებას აღწერდა, განსაცვიფრებელ სურათს გადავაწყდი: მახრჩობელა გველი რაღაც ცხოველს ყლაპავდა [...] იმდენი ვეცადე, რომ ფერადი ფანქრებით ჩემი პირველი სურათი დაეხატე [...] ჩემს შედეგს დიდებს წამდაუწუმ თვალწინ ვუტრიალებდი და ვეკითხებოდი, ეშინოდათ თუ არა. „ქუდმა როგორ უნდა შეგვაშინოს?“ – უკვირდათ დიდებს. ჩემს სურათზე ქუდი კი არა, მახრჩობელა გველი ეხატა, რომელიც სპილოს ინელებდა. მაშინ გველი შიგნიდან დაეხატე, რათა დიდები ახლა მაინც მიმხვდარიყვნენ. მათ ხომ მუდამ ყველაფერი ხელისგულზე უნდა დაუდო [...] შიგნიდან და გარედან მახრჩობელა გველების ხატვას გიჟობს, გეოგრაფიას, ისტორიას, არითმეტიკასა და გრამატიკას მიხედო, მირჩიეს დიდებმა. აი, ასე დავასრულე ექვსი წლის ასაკში მხატვრის ბრწყინვალე კარიერა [...] მარცხით გაწბილებულს იმედი გადამეწურა“ [2, 9-10]. გვსურს, ამ ეპიზოდზე შევჩერდეთ და განვიხილოთ, რამდენად სწვდებიან დიდები – მშობლები, აღმზრდელები, პედაგოგები ბავშვის სულს, მის ფანტაზიებით სავსე სამყაროს; როგორ ხდება მათ მიერ პატარების „მოშინაურება?!“ დღესდღეობით ეს მეტად აქტუალური და მეტიც, მტკივნეული თემა

გახლავთ, რომლის უკან ათასობით პატარა ანტონიო, გოგონა თუ ბიჭი დგას – მარტოსული, იმედგაცრუებული და გაწბილებული. დღეს, უახლესი ტექნიკის მიღწევების საუკუნეში, ბავშვებში მრავლად იხინა თავი სულიერმა და ფსიქოლოგიურმა პრობლემებმა, ჩაკეტილობამ, რომლის ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ უფროსების პატარებთან არასწორი დამოკიდებულებაა. ამ თვალსაზრისით, „პატარა პრინცი“ ერთ-ერთ ძალზე საგულისხმო ფაქტს წარმოადგენს სწორედ ავტორის მიერ შინაგანი მოტივაციით (შეიძლება ითქვას, ერთგვარი თვითმოტივაციით) ბავშვობაში შესრულებული ნახატი – სპილოგადაყლაპული გველი და შემდეგ ის, თუ რატომ წყვეტს ხატვას ექვსი წლის ბიჭი ზრდასრულობამდე. აშკარაა, რომ პატარა კარგავს მოტივაციას, ითრგუნება და იკეტება თავის თავში. მისი ნახატი ვერ გაიგეს, ვერ აღიქვეს, მაშასადამე, ხატვა არ გამოსდის და არ უნდა დახატოს, – ასეთია ბავშვის პოზიცია. ლევან ბერძენიშვილის სიტყვები, როცა იგი ამბობს, რომ ექვსი წლის ეგზიუპერს „მთავარ ნახატში ვერ გაუგეს“ დიდებმა, ცხადყოფს მათ არამართებულ დამოკიდებულებას და არასწორ მიდგომას ბავშვის მიმართ: „უფროსებს აქვთ გარკვეული დეფექტი. ისინი ვერ ხვდებიან ვერაფერს... და ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი... აქ არის უფროსების კრიტიკა, არის ის უვერტიურა, ის შესავალი, რომლითაც იწყება ეს წიგნი... წიგნი გვაფრთხილებს, სულ თავიდანვე გვაფრთხილებს, რომ აქ ჩვენ რაღაცა არ გვესმის; ჩვენ – უფროსებს“ [6].

როცა მოზარდი კარგავს შინაგან მოტივაციას, ბუნებრივია, უქრება თვითშეფასების უნარიც. ბავშვი ფიქრობს: რაკი არ მოსწონთ, მაშასადამე, წარუმატებელია, სუსტია, არ გამოსდის, ჩამორჩენილია და ა.შ. ანტუანმაც, დამფრთხალმა და განაწყენებულმა იმით, რომ დიდებმა ვერ ამოიცნეს მთელი მისი გრძნობითა და შთაბეჭდილებებით შექმნილი ნახატი, საერთოდ შეწყვიტა ხატვა და დაემშვიდობა ფერად ფანქრებს. თუ ამ ეპიზოდს დღევანდელობასთან დავაკავშირებთ, ძალიან ბევრ ანტუანს ვიპოვით ჩვენ გარშემო. მასწავლებლებმა და ხშირ შემთხვევაში, მშობლებმაც არ იციან, როგორ ეკონტაქტონ პატარებს. თუმცა მასწავლებელთა პროფესიულ წრეებში ძალიან ბევრს საუბრობენ ბავშვთა მოტივაციის ხელშეწყობაზე, ამადლებასა და წახალისებაზე. მიუხედავად მრავალი ძალისხმევისა (სხვადასხვა ღონისძიებები, ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, სალონური საუბრები) საკითხი, ფაქტობრივად, გადაუჭრელია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ბავშვები უფროსებთან ხშირად „ომის მდგომარეობაში“ იმყოფებიან, რადგან ვერ წარმოაჩენენ საკუთარ თავს ისეთად, როგორებიც არიან სინამდვილეში და იმის მცდელობაში, რომ დაუახლოვდნენ, გაიცნონ, ემეგობრონ და „მოიშინაურონ“ დიდები, ბრძოლით იღლებიან და კარგავენ ყოველგვარ მოტივაციას როგორც სწავლის პროცესში, ასევე, მათთან ურთიერთობაშიც. არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ბავშვი ისჯება თავისი ღრმა აზროვნებისა და ინტერესთა მრავალფეროვნების გამო. უფროსებს ძალიან მარტივად ბეზრდებათ მოაზროვნე ბავშვებთან კონტაქტი ან ძალა არ შესწევთ და უბრალოდ ერიდებიან მათთან ურთიერთობას, რაც შემდგომში აისახება მოზარდების ფსიქოლოგიურ და ინტელექტუალურ განვითარებაზეც. ბავშვებს აკლიათ პედაგოგთა მხრიდან აღიარება, დადებითი ემოციების აღმძვრელი და წამახალისებელი სიტყვები, რომლებიც მათში გაზრდის სწავლის, ცოდნის შექმნის მოტივაციას და შემდეგ მისი გამოხატვისა და გამომჟღავნების სურვილს.

როცა ბავშვობის მოგონებებს ეხება და თითოეულ ჩვენგანში აცოცხლებს იმ სათუთ სამყაროს, ბავშვობა რომ ჰქვია, ეგზოტური მხოლოდ ზემოხსენებული ეპიზოდით არ შემოიფარგლება. ნაწარმოების მეორე თავში ავტორს აუჩქარებელი ნაბიჯებით შემოჰყავს მთავარი პერსონაჟი – პატარა პრინცი. უფრო ზუსტად, საპარის უდაბნოში, ადამიანებისგან ათასი მილის დაშორებით, გაფუჭებული თვითმფრინავის ძრავს ჩაკირკიტებულ მშიერ-მწყურვალ, ბურანში მყოფ მფრინავს (იგივე მწერალს) თავად უფლისწული გამოეცხადება განთიადისას და სუსტი ხმით ეტყვის: „ბატკანი დამიხატე... გეთაყვა“ [2, 12]. ამ ფრაზით გრძელდება ნაწარმოებში ის ერთ-ერთი მთავარი თემა, რასაც დიდებისა და პატარების ურთიერთობა და მათი გრძნობათა თანხვედრა ჰქვია.

მწერალი იხსენებს ექვსი წლის ასაკში შესრულებულ „ნომერ 1 ნახატს“ და კვლავ სპილოგადაყლაპულ მახრჩობელა გველს დაუხატავს პრინცს და ჰოი, საოცრებაჲ, უფლისწული ამოიცილობს ნახატს: „არა, არა, მე გველში სპილო არ მითხოვია [...] ბატკანი მინდა, რომელიც დიდხანს იცოცხლებს“ [2, 13-16]. ის, რასაც დიდები ვერ ჩასწვდნენ, ამოიცილო პრინციმა. მისთვის ბატკანი წარმოსახვითი კრავია, ხოლო მწერლისთვის – წარმოსახვითი ბავშვობა, რომელიც ყუთშია, სამნახვრეტიან ყუთში – ყრმობა, ახალგაზრდობა და სიბერე. ალეგორიული მინიშნებით, მან უნდა იარსებოს სწორედ იმდენ ხანს, რამდენი წელიც იცოცხლებს ადამიანი. პრინცის თხოვნა, დაუხატონ ბატკანი, ავტორს, რომელმაც 6 წლის ასაკში აკრძალა ხატვა და მარცხით გაწბილებულს 18 წლამდე (18 წლიდან იწყებს წერილების გაფორმებას ნახატებით; პეიზაჟებით, ცნობილ ადამიანთა ან გამოგონილი პერსონაჟების კარიკატურებით) აღარც უფიქრია, რამე დაეხატა, ოდნავ გააღიზიანებს კიდევ. მას შიშა უდაბნოში, სწყურია, თვითმფრინავი შესაკეთებელია და ამ დროს ბატკნის დახატვას სთხოვენ... აი, აქ, ამ მონაკვეთში, მწერალი მიგვანიშნებს, რომ დიდებმა უნდა ვისწავლოთ ემოციების მართვა და მოვუსმინოთ პატარებს, შევძლოთ მათი ინტერესების გათავისება და შესაბამისად, მათი სურვილების დაკმაყოფილება. სულ მალე ბიჭუნა მფრინავის გულის მონადირებს და მთელ მის ბავშვობას ხელისგულზე დაუდებს ისე, როგორც დიდებს სჩვევიათ და დიდებისთვისაა მისადები. მწერალი გაიცნობს უფლისწულს და შეიყვარებს; შეიყვარებს ასევე მთელი მსოფლიოც და ეს ზრდასრულებისათვის ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი წიგნი, უმეტეს გამოცემებში ავტორის მიერვე სათუთად შესრულებული ილუსტრაციებით, გახდება საკაცობრიო მნიშვნელობის ერთ-ერთი ის თხზულება, რომელიც მკითხველ საზოგადოებას, ლიტერატურათმცოდნეებს, მთარგმნელებს, ფსიქოლოგებს უამრავ საფიქრალს გაუჩენს. „არის წიგნები და არის წიგნთა წიგნები. და საერთაშორისო გამოკითხვებში ადრე, მე მახსოვს ჩემს ახალგაზრდობაში, ბიბლია იყო პირველი და მეორე ძალიან ხშირად იყო „პატარა პრინცი“, – აცხადებს ეგზოტურის ამ შედეგის მესამე ქართული თარგმანის ავტორი – გიორგი ეკიზაშვილი [3].

ანტუან დე სენტ-ეგზოტური „პატარა პრინცის“ პერსონაჟებს ჰყოფს დიდებად და პატარებად. რაც შეეხება კონკრეტულად მწერლისა და პრინცის დამოკიდებულებას, ისინი, ცხადია, ასაკით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, სამყაროსეული ხედვა კი ერთნაირი აქვთ. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეგზოტური, ისევე, როგორც უფლისწული, არის დიდიც და პატარაც, პატარაც და დიდიც. „პატარა პრინცის“ მიხედვით,

დიდები, ძირითადად, არიან დიქტატორები: ისინი ბრძანებებით მიმართავენ ბავშვებს [2, 40-41]. ყველაფერს თავდაყირა აყენებენ [2, 30]; „დიდები უცნაურები არიან“ [2, 46]; „ეს დიდები მართლაც რომ ძალიან უცნაურები არიან“ [2, 47]; ამპარტავნები არიან და „ბაობაბებად მოაქვთ თავი“ [2, 61]; „რიცხვებს აღმერთებენ“ [2, 61] და რაც ყველაზე მთავარია, დიდები პატარების წუხილს ვერ იგებენ [2, 98]. დიდებს მათი არ ესმით და ეს წარმოშობს გაუცხოებას. მაშასადამე, დიდები ნაკლებად მეოცნებენი არიან და ცხოვრებას უცქერენ მხოლოდ მატერიალისტური თვალთ.

როგორია თავად პატარა უფლისწული (ანუ იგივე ავტორის წარმოსახვითი ბავშვობა), ესოდენ ძვირფასი არა მხოლოდ მწერლისთვის ან მთარგმნელებისთვის, არამედ გულისხმიერი მკითხველისთვისაც? იგი უცებ აღწევს ადამიანის გულში. წკრიალა ხმით, რომელიც წიგნშიც კი იგრძნობა და შემოდის ჩვენში, სუფთა, ვერცხლისწყალივით ხალასი, მოწითალო თმით, გამორჩეული სამოსით, არისტოკრატი პრინცი. ელეგანტური, (ქარში გაწელილი ოქროსფერი შარფით). მას, დიდებისაგან განსხვავებით, საკუთარი თავის განსჯა შეუძლია [2, 45]. მისთვის უცხოა ეგოიზმი [2, 56] და ფილოსოფიურად საუბრობს [2, 83], სევდიანია და ამ სევდაში აქვს ჩატეული მთელი თავისი ფილოსოფია. პრინცი არის პატარა მკვლევარი [2, 56] და ეძებს ადამიანებს, მეგობრებს, რომელთაც უკავშირდებათ სიტყვა „მოშინაურება“, რასაც პერსონაჟი მელა „კავშირების გაბმას“ [2, 70] უწოდებს. პრინცს სჯერა, რომ „ყველა გზა ადამიანებისკენ მიდის“ [2, 67]. როცა პატარა პრინცის სულიერ სიმარტოვეს, ნორჩი ადამიანისთვის ამ სრულიად შეუფერებელ მდგომარეობას და მის მიერ ერთგული მეგობრების ძიებას განიხილავენ, ზოგიერთი ფსიქოლოგი საკმაოდ პრეტენზიულ დასკვნას აკეთებს: თითქოს თავის მარტოობასა და მარტოსულობაში პრინცმა სხვების დადანაშაულება დაიწყო [4]. ასევე, პრინცის სულიერ სიმარტოვეს ზოგჯერ, ალბათ, მაინც გადაჭარბებით ამსგავსებენ ავტორის მდგომარეობასაც; მიანიშნებენ რა, რომ ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი იყო დიდი ბავშვი, რომელმაც თავის თავზე დაწერა ნაწარმოები; მთავარ პერსონაჟში, ასე ვთქვათ, პატარა ეგზიუპერში კი მშობლების მხრიდან აღზრდაში დაშვებულ ბევრ შეცდომას ხედავენ და უარყოფით ფაქტად თვლიან დედაზე მის მიჯაჭვულობას.

ჩვენი აზრით, ეგზიუპერის პრინცი არავის ადანაშაულებს. უბრალოდ ცდილობს, ამოხსნას, რატომაა ასეთი რთული სამყარო, რომელშიც ის ცხოვრობს და რატომ არ ესმით დიდებს პატარების?! რატომ ავიწყდებათ, რომ ოდესღაც ისინიც ბავშვები იყვნენ. ეგზიუპერი ამ კითხვაზე გვპასუხობს: „დიდები საკუთარი ჭკუით ვერასოდეს ვერაფერს ხვდებიან, ბავშვები კი ამდენი ახსნა-განმარტებით იღლებიან“ [2, 10]. პატარა პრინცი ერთდროულად მარტივიცაა და რთულიც. ის არ არის მოწესრიგებული და თანმიმდევრული საკუთარ თავში (უამრავ კითხვას სვამს და მფრინავის პასუხებს არც უსმენს). დაახლოებით ასეთივე იყო ეგზიუპერიც. როდესაც ჩვენ ვეცნობით მის ბიოგრაფიას და ბავშვობის წლებს, ვხედავთ, რომ ანტონიო გასხვავებული ბავშვია. როგორც აღვნიშნეთ, დიდი მწერლის მეხსიერებაში ისე მტკივნეულად აღიბეჭდა ბავშვობისდროინდელი შემთხვევა ნახატის დაწუნებისა, რომ საერთოდ შეწყვიტა ხატვა. სამაგიეროდ საათობით იჯდა, უცქერდა ბუხრის ალს და ოცნებობდა; წერდა ლექსებს, უკრავდა ვიოლინოზე. უნებრივია, შეიძლის ეს მდგომარეობა მხედველობიდან არ გამორჩენია ყურადღებიან დედას და მისი მუდმივი მეთვალყურეობაც, ალბათ, მსგავსი სიტუაციებით იყო განპირობებული.

ნიჭიერი და ჭკვიანი ანტუანი არ გამოირჩეოდა სკოლაში სიბეჯითით, ნებისყოფით, თანმიმდევრულობით. ჯერ კიდევ მცირეწლოვანი, 10 წლის ანტუანი, რომელიც ძმასთან, ფრანსუასთან ერთად სწავლობს ნოტრ-დამის წმინდა ჯვრის სასწავლებელში (Institution Notre Dame de Sainte Croix), 1910 წლით დათარიღებულ წერილში თავისი სკოლის წლებს დაკარგულს უწოდებს [7]. ასეთ პატარა ასაკში მას უკვე აღარ აინტერესებს სასკოლო ცხოვრება და არანაირი მოტივაცია (რომელიც 6 წლის ასაკში, მისი „ნომერი 1 და ნომერი 2 ნახატების“ გამო ჩაუხშეს დიდებმა) და ინტერესი აღარ გააჩნია სკოლის მიმართ. როგორც ჩანს, დედისგან მოშორებით ყოფნაც თავისებურად აისახებოდა პატარა ანტუანზე და ვერ ეგუებოდა ჩარჩოებს, რაც სკოლისთვის იყო წესი და კანონი. არღვევდა სოციალურ ნორმებს, ჰქონდა პროტესტი და ვერ ეტეოდა ჩვეულებრივობაში. ყველაზე მეტად აინტერესებდა ტექნიკა და ტექნოლოგია, ცხოვრობდა არცთუ მარტივი ცხოვრებით და ყოველთვის დიდი გამოწვევების წინაშე აყენებდა თავის თავს. პროფესიის არჩევისას ბედი ხან ზღვაოსნობას დაუკავშირა (სახლვით ოფიცრობაზე ოცნებობდა), ხან არქიტექტურას; სამხატვრო აკადემიაშიც სწავლობდა და ბოლოს საჰაერო ძალებში გამოსცადა თავი. ჩაირიცხა კიდევ მოიერიშე მფრინავთა რიგებში. 22 წლის ანტუანმა მუშაობა დაიწყო საავიაციო კომპანიაში. შემდგომ მისი ცხოვრება დაძაბულად წარიმართა. შეასრულა მრავალი საშიში ფრენა, განიცადა საავიაციო კატასტროფები, მონაწილეობდა ესპანელ რესპუბლიკელთა ბრძოლაში, მძიმედ დაიჭრა და სიკვდილთან ბრძოლაც კი მოუხდა. მეგობრები იხსენებდნენ, რომ ის არ ერიდებოდა საფრთხეს, ყოველთვის მიდიოდა წინ უშიშრად, ყოველთვის მზად იყო, შეჭიდებოდა სირთულეებს. საბოლოოდ, მწერლობა და მფრინავობა აირჩია, რადგან მოსწონდა ის მძაფრი შეგრძნებები, რასაც ცაში, ღრუბლებთან ყოფნა იწვევს. წერს კიდევ პირად მიმოწერაში [7]:

- მე მომწონს ფრენა ქარიან ამინდში და თვითმფრინავით დუელი ქარიშხალთან.
- ვერ წარმოიდგენთ რა სიმშვიდეს და კმაყოფილებას გრძნობს ადამიანი მარტოდმარტო ოთხი ათასი მეტრის სიმაღლეზე, პირისპირ – თვითმფრინავის ძრავთან.

საკმაოდ პრობლემურად მიგვაჩნია ზოგიერთი ფსიქოლოგისეული „ახსნა“ იმისა, თუ როგორ ჩამოყალიბდა მწერალი პატარა პრინცის მსგავს „დიდ ბიჭად“. როცა ეგზიუპერი პატარა პრინცის მოძრაობას აღწერს პლანეტებზე და თითქოს ფეხდაფეხ მიჰყვება მას, გვასწავლის, როგორ შევეგებოთ და დავუგდოთ ყური პატარებს, რომლებიც უფროსებისკენ მეგობრობის სურვილით მიემართებიან ან თავიანთი შრომის ნაყოფს მიაღებენინებენ დიდებთან და გამამხნეველ სიტყვებს, წახალისებას ელიან. ამ დროს, ერთი შეხედვით, უწყინარი საქციელი, მოუზომლად ნათქვამი ერთი სიტყვაც კი მარადიულ იარად რჩება პატარების სულში და მათი შინაგანი კონფლიქტები, საკუთარ თავში ჩაკეტვა, წარუმატებლობის შეგრძნება მთელი ცხოვრების მანძილზე ხშირად აქედან იღებს სათავეს. მათ იქვე, სწორედ ამ დროს სჭირდებათ მშველელი, რომ არ გაუღრმავდეთ ეს სულიერი ტკივილი. ასე მაგალითად, ვინმე რომ ჩასწვდომოდა პატარა პრინცის (ბევრის აზრით, იმავე ანტუანის) მარტოსულობით გამოწვეულ ტკივილს, ეგრძნო იგი და შესძლებოდა, აერიდებინა ბიჭისთვის საკუთარი უსუსურობისა და არარაობის შეგრძნებით გა-

მოწვეული ტკივილი, ის, შესაძლებელია, გადარჩებოდა, კვლავაც ცოცხალი იქნებოდა და გამოსცდიდა ნამდვილ, ადამიანურ ბედნიერებას [4]. როდესაც ამდგვარ მინიშნებას აკეთებს, ფსიქოლოგ ოლგა ბელოგორცევას, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ეგზოპერის ბავშვობისა და სკოლის წლები, ურთიერთობა დედასთან, მეუღლესთან, სხვა ქალებთან და მისი დღემდე გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალება. რასაკვირველია, არის მსგავს მსჯელობაში მკაცრი სიმართლე. რომ ყველა ადამიანს და მით უფრო ბავშვს, სჭირდება მხსნელი, გადამრჩენი, ვინც კონკრეტულ მომენტში მის გვერდით იქნება.

1922 წელს ანტუანი, ახალგაზრდა სამხედრო მფრინავი, წერს დედას – მარი ბუაე დე ფონკოლომბს:

„დედიკო, წავიკითხე შენი გუშინდელი წერილი – განუზომლად თბილი და სინაზით სავსე. დე, როგორ მინდა, რომ ახლა შენ გვერდით ვიყო, როგორ მინდა იცოდე, რომ დღითი დღე უფრო და უფრო მეტად ვსწავლობ შენს სიყვარულს მშვიდი სადამოა, მაგრამ რატომღაც ნაღველი შემომამწვა – არკი ვიცი, რატომ. ავორში სტაჟირება რაღაც უსაშველოდ გაიწვია. ძალიან მჭირდება დასვენება და შენი გვერდით ყოფნა.

ისეთი უბედური ვარ, როცა ვიხსენებ, როგორ გაბრაზებდი და გატირებდი ხოლმე, რომ...

რას საქმიანობ, დე, არ ხატავ? მომწერე. შენს წერილებს ჩემთვის სიახლე მოაქვს და სიცოცხლის ხალისს მმატებს. საიდან მოგაქვს ასეთი გემრიელი და სასიამოვნო სიტყვები? წავიკითხავ და მერე მთელი დღე შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. დედა, ახლაც ისევე მჭირდება, როგორც ბავშვობაში. ზემდეგი, სამხედრო დისციპლინა, ტაქტიკის გაკვეთილები – ღმერთო, რა მშრალია და გამოფიტული ეს ყველაფერი! თვალწინ მიდგას, როგორ აწყობ ყვავილებს მისაღებ ოთახში და მძულს ეს ზემდეგები.

ვიცი, ჩემი საქციელის გამო ხშირად გეპარებოდა ეჭვი ჩემს სიყვარულში, მაგრამ, ნეტავ იცოდე, როგორ მიყვარხარ. შენ ხარ საუკეთესო, რაც და ვინც კი გამაჩნია ცხოვრებაში. პატარა ბიჭვიით მენატრება სახლი და შენთან საუბარი, მაგრამ მოკლებული ვარ ამ სიამოვნებას, შენს სინაზეს...

სევდისგან მეტირება...

ერთადერთი ხარ, ვისაც ჩემი ნუგეშისცემა შეუძლია. გახსოვს, ღე-მანში რომ ვცხოვრობდით, ერთხელ დასჯილი და აბღავლებული დავბრუნდი ქუჩიდან. მოვთქვამდი და ვერა და ვერ ვმშვიდდებოდი, მაგრამ საკემარისი იყო, გეკოცნა, რომ მაშინვე ყველაფერი გადამავიწვია.

შენ ჩემი თავშესაფარი იყავი, ძღვევამოსილი მცველი მასწავლებლებისა და მონაზონ-ზედამხედველებისგან. შენ გვერდით თავს ყოველთვის უსაფრთხოდ გვგრძნობდი და არავინ მყავდა შენ გარდა.

და ეს დიდებული იყო.

ახლაც ასეა: მარტო შენთან შემიძლია მეუდრო ნავსაყუდელის პოვნა, მხოლოდ შენ იცი ყველაფერი ამქვეყნად, მხოლოდ შენ მავიწყებ ყველაფერს და, ნებსით თუ უნებლიეთ, თავს კვლავაც პატარა ბიჭად მაგრძნობინებ.

კარგად იყავი, დე. უამრავი საქმე მაქვს...

ხვალ ჩვენი სახლის მიმართულებით მაქვს 50-კილომეტრიანი გამოფრენა და წარმოვიდგენ, თითქოს შინისკენ, შენკენ მოვიჩქარი.

გოცნი. შენი დიდი ბიჭი ანტუანი“ [5].

მაშინ ჯერ კიდევ 22 წლის ახალგაზრდა მფრინავი სახლიდან შორს მსახურობდა. ძალიან ენატრებოდა დედა და სთხოვდა მას, ხშირად გაეგზავნა წერილები. წერილებში კარგად ჩანს დედა-შვილის საოცარი სიახლოვე და სულიერი მეგობრობა. მაშინაც კი, როცა მისი ძმა ფრანსუა-მისთვის არა მხოლოდ ძმა, არამედ მეგობარიც – გარდაიცვალა, დედა გახდა ანტუანისთვის მშობელიც, მეგობარიც და მესაიდუმლეც. სწორედ დედასთან მეგობრულმა ურთიერთობამ და დედაშვილურმა სიახლოვემ ჩამოაყალიბა და შექმნა ეგზიუპერი დიდ მწერლად და ადამიანების სულის მესაიდუმლედ. როგორც ჩანს, დედა სტიმულს აძლევდა ანტუანს, ყოფილიყო წარმატებული, შეენარჩუნებინა ბავშვური გულწრფელობა, ადამიანების სიყვარული, რამაც განაპირობა კიდევ ეგზიუპერის მიერ კაცთმოყვარული და სრულიად სამყაროსმოყვარული იდეებით გაჯერებული, ბავშვობის უკვდავი მოგონების – „პატარა პრინცის“ შექმნა. როგორც ჩანს, ანტუანი ვერ თმობდა ბავშვობას თავის თავში და ამიტომაც შექმნა პატარა პრინცის სახე. თავის შემოქმედებით უნარებს ბავშვური ფანტაზიები შეუთავსა და ასე დაიწერა გენიალური ნაწარმოები, ისტორია პატარა პრინცისა, რომელიც ცხოვრობს ასტეროიდ 612-ზე და თავისი არსებობით აკეთილშობილებს სამყაროს. პატარა პრინცი უადრესად ინდივიდუალური სახეა, ის არავის ჰგავს და ყველასგან გამორჩეულია. იმავედროულად, იგი მართლაც რომ განსაკუთრებული, ლამაზად და კეთილად მეტყველი სულია, ამალელებული ზრახვებითა და მიზნებით.

ეგზიუპერი-დიდი ბავშვი და პატარა პრინცი-ბავშვობა მწერალში, საოცრად ჰგვანან ერთმანეთს, მათ აქვთ თავისებური აკვიატებებიც და მოგვაგონებენ მსგავსი ზნე-ჩვეულების, განსხვავებულ ბავშვებს, რომელთა მიმართ საზოგადოების, იგივე მასწავლებლების დამოკიდებულება არ არის ტოლერანტული. მათ არ იციან, როგორ დაეხმარონ და საერთოდ როგორ იურთიერთონ ასეთ ბავშვებთან.

რას ასწავლის პედაგოგებს და ზოგადად უფროსებს ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა პრინცი“?! ვინც ამ წიგნთან მიახლებას მოისურვებს, საყვარელი პერსონაჟი – უფლისწული ავტორთან ერთად ამოგზაურებს ზღაპრულ სამყაროში, უცნაური ადამიანებით დასახლებულ პლანეტებზე, უამბობს ვარდისა და ბაობაბების შესახებ და გაოცებულია, რატომ ვერ იგებენ დიდები ბავშვების ჩანაფიქრს. უფლისწული შეუმჩნევლად „მოიშინაურებს“ მათ, უფრო გააკეთილშობილებს, ბავშვსავით ღაღსა და თავისუფალს გახდის. დაეხმარება, მოვლენები აღიქვან და დაინახონ გულით ანუ შინაგანი თვალთ და არა მხოლოდ ფიზიკური თვალთ, რომელიც ზოგჯერ ზერელე, უნიათო და მყიფეა. დააიმედებს: „ვარსკვლავები იმიტომ ანათებენ, რომ ერთ დღეს ყველამ თავისი იპოვოს“ [2, 64]. „პატარა პრინცი“ გვასწავლის სიყვარულით ურთიერთობას ერთმანეთთან. ეს ნაწარმოები აუცილებლად უნდა წაიკითხონ მასწავლებლებმაც, მშობლებმაც და მოზარდებმაც. ძნელია, არ დაეთანხმო იოსებ ოცხელის სახელობის ქუთისის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს – მარინა ჭეიშვილს, როცა ის აცხადებს: „პატარა პრინცის“ თითოეული ფრაზა ცალკე გაკვეთილი, ცალკე 45 წუთიაო [6].

აი, ზოგიერთი ფრაზა, რომლითაც მოგვმართავს ეგზიუპერი „პატარა პრინცი“ ადამიანებს:

- „დასანახს მხოლოდ გულით დაინახავ. მთავარი თვალისთვის უხილავია“ [2, 76].
- „თუკი სხვებისგან მორჩილებას ითხოვ, შენც ჭკუას უნდა მოუხმო“ [2, 44].
- „ყველა ვარსკვლავი უნდა შეიყვარო და დაიმეგობრო“ [2, 92].
- „ყველადილოდესლაცპატარაიყო (ბევრს ეს აღარც ახსოვს)“ [2, 7].
- „ბავშვებს ისღა დარჩენიათ, უფროსებს შეუნდონ“ [2, 20].

სხვაგან კი საოცრად მოხდენილად ამბობს, რომ „სამყაროსგან ყველაზე დიდი გარიყულობა ბავშვობიდან გადასახლებაა“ [7].

ეგზიუპერი ვერ თმობდა ბავშვობას თავის თავში და ამიტომაც შექმნა პატარა პრინცის სახე. მრავალნაირი იმპროვიზირება ჰპოვა ამ ნაწარმოებმა ხელოვნების თითქმის ყველა დარგში, რაც მეტყველებს, რომ მოთხრობა ნამდვილად შედგენილია, თუმცა რას ფიქრობდა სინამდვილეში მწერალი, როცა ომის ხმაურში წერდა ამ ყველაფერს (ნაწარმოები გარკვეული მიზეზების გამო საფრანგეთის ნაცვლად 1943 წელს დაიბეჭდა ნიუ-იორკში), არავინ უწყის. შეიძლება გრძნობდა კიდევ, რომ ნაწარმოები მკითხველის უსახლვრო სიყვარულს მოიპოვებდა, მისი სახელი კი უკვდავი გახდებოდა დაღუპვამდე ერთი წლით ადრე.

პატარა უფლისწული, იგივე ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი, უნიკალურ დადებით იმპულსებს აძლევს იმ უმნიშვნელოვანეს ინტელექტუალურ სივრცეს, რომელსაც პედაგოგიკა და ამ დარგში მოღვაწე საზოგადოება წარმოადგენს. მწერალს სურს, ადამიანის სულში ააგოს ზნეობის ციტადელი. ამ დროზე მაღლა მდგომ, მართლაც რომ ზედროულ და ზღაპრული განზომილებებით გამსჭვალულ მოთხრობაში მთელი თავისი ბავშვური მეხსიერება და ფანტაზიებიც იმიტომ გადაგვიშალა მწერალმა, რომ უფროსებისთვის ეგრძნობინებინა: არ დავივიწყოთ უმცროსებთან დამოკიდებულებაში, რომ ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. გემეგობროთ ბავშვებს, შევიცნოთ მათში მოაზროვნე პიროვნება და დავიხლოვოთ, „მოვიშინაუროთ“ როგორც საკუთარი, განვლილი და მიძინებული ბავშვობა.

ეგზიუპერი გვასწავლის, რომ ბავშვი არის უადრესად საინტერესო არსება, რომელიც მუდმივად ახლის ძიებაშია და მით შეიცნობს სამყაროს. ზოგჯერ იმდენად ბრძენია, რომ მისი ნათქვამი მხოლოდ ასაკით მასზე უფროს ადამიანს შეუძლია გაიგოს. იგი წმინდაა და სპეტაკი, სპონტანურიც, გულუბრყვილოც, კეთილი, გულწრფელი. მთავარია უფროსებმა მიიღონ, აიტანონ, აღიარონ, გაუგონ, არ გარიყონ, ემეგობრონ, აუხსნან, ასწავლონ, სითბო და სიყვარული გაუნაწილონ.

„პატარა პრინცი“ გეკარნახობს, რომ ბავშვები მივიღოთ ისეთები, როგორებიც არიან და გავაღვივოთ მათში სიკეთის მარცვალი, რომელიც იხარებს, გაიფურჩქნება და შექმნის უკეთეს სამყაროს, მიგვაჩვენებს სხვებზე ზრუნვას. თავად პრინცს ხომ მთელი ნაწარმოების მანძილზე აქვს მოთხოვნილება, იზრუნოს სამყაროზე, თავის სამ ვულკანზე, კრავზე – რომ მშვიდად იძინოს, ჭამოს; ვარდზე – რომ დაცულად იყოს, დროულად მოირწყას და არ დაჭკნეს. როცა ნაწარმოების დასაწყისში ბიჭუნა საპარის უდაბნოში ჩამოვარდნილ მწერალს ბატკნის დახატვას სთხოვს და უამრავ კითხვას უსვამს, იმ წუთებშიც მასზე ზრუნვა გამოსდის, რადგან თან-

დათან გამოჰყავს იგი იმ დაძაბულობიდან და უმწეო მდგომარეობიდან, რასაც უდაბნოში მარტოდ დარჩენილი მფრინავი განიცდის. ცხადი ხდება, რომ მწერალი და პატარა პრინცი, არსებითად, ერთი და იგივე პიროვნებებია, ოდენ ასაკობრივი სხვაობით, მაგრამ ერთნაირი გულწრფელობითა და ფიქრებით; ერთგულნი თავიანთი იდეალებისა და მორალური ფასეულობების მიმართ.

უდაბნოში თვითმფრინავის ავარიულმა დაშვებამ მარტოსულ მწერალს, რომელსაც ქვეყნად „მესაიდუმლევ არვინ ეგულებოდა“ [2, 12], სულიერი მეგობარი აპოვინა. ხოლო ვინც ამ წიგნს ერთხელ მაინც წაიკითხავს, პატარა პრინცი მისი გულის მესაიდუმლევ გახდება და კვლავ ბევრჯერ მიაბრუნებს თავისკენ. ამგვარად კი თითოეული ჩვენგანის გულში გადარჩება ჩვენი ბავშვობა – ოქროსფერთმიანი უფლისწული, რომელიც „ლამაზი იყო, იცინოდა და ბატკანს ნატრობდა“ [2, 20]. და „ბატკანი თუ გასურს, მაშასადამე, არსებობ“ [2, 20] – კვლავაც არსებობ, როგორც დიდი ბავშვი...

ლიტერატურა:

1. დოლიძე თ., კითხვის საათი სკოლაში: მოწინაურების საიდუმლო. ინტერნეტგაზეთი „mastsavlebeli.ge“, 21.12. 2015. <http://mastsavlebeli.ge/?p=164>
2. ეგზიუპერი ა., პატარა პრინცი, თარგმანი გ. ეკიზაშვილის, გამომც. პალიტრა, თბ., 2018.
3. ლობჯანიძე გ., „პატარა პრინცი – არა ცაში, საკუთარ თავში...“ (ინტერვიუ მთარგმნელთან, გიორგი ეკიზაშვილთან), 01.12.2013. <https://www.radiotavisupleba.ge/a/weekly-literary-program/25185965.html>
4. Белогорцева О., Маленький принц (Антуан де Сент-Экзюпери). Обзор психолога. <https://upsihologa.com.ua/obzor/book-37>

ინტერნეტ-რესურსები:

1. ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი: დე, ახლაც ისევე მჭირდება, როგორც ბავშვობაში..., სპუტნიკი-საქართველო, 15.12.2016. <https://sputnik-georgia.com/positive/20161215/234199909/egziuperis-werili-dedas.html>
2. ლევან ბერძენიშვილის საავტორო გადაცემა „წიგნები“, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა პრინცი“, რადიო „შოკოლადი“, 24.01.2013. <https://soundcloud.com/radio-shokoladi-985fm/tsignebi-patara-princi>
3. Antoine de Saint-Exupéry, Lettres à sa mère. 1955. <https://www.antoinedesaintexupery.com/ouvrage/lettres-a-sa-mere-1955/>

Ekaterine Mikhelidze
The nobly-speaking soul
(The didactical side of “The Little Prince” by Antoine de Saint-Exupéry)
Summery

In our opinion, “The Little Prince” by Antoine de Saint-Exupery presents a kind of an autobiographical story with rather significant elements of a fairy tale. Nowadays, there are quite a few conversations about Saint-Exupéry and his work, but not much is said of how didactical his stories or books are. Lessons taught in “The Little Prince” are mainly for adults. Those who will carefully read and understand the story will definitely acknowledge the major mistakes made in our relationships with children and what should be done for amending them. The little prince, Antoine de Saint-Exupéry himself, sends out the most uniquely put, fine sized life lessons to the intellectual environment.

Екатерина Михелидзе
Душа, изрекающая благо
(Педагогические указания относительно «Маленького принца» Экзюпери)
Резюме

«Маленький принц» Антуана де Сент-Экзюпери представляет своего рода автобиографическую повесть с довольно многозначительными сказочными элементами. Несмотря на множество суждений об этом произведении, в них почти ничего не сказано о тех педагогических вразумлениях, которые проявляются в нём то в прямой, то в скрытой формах. Эти вразумления и предостережения обращены прежде всего к взрослыми внимательный читатель, в любом случае, сам задумывается над тем, а не сам ли он виновен во взаимоотношениях с детьми, и что надо предпринять в подобных случаях во избежание ошибок. Маленький принц, тот же Антуан де Сент-Экзюпери, посылает уникальные положительные импульсы в наиважнейшее интеллектуальное пространство, именуемое педагогикой, а также всему обществу, занятому в этой отрасли.

მედია იმნაძე
(საქართველო)

საზღვაო სამეცნიერლო სტრატეგიები და ტაქტიკები

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მეტყველების ინტენსიურმა შესწავლამ გამოავლინა ბევრი „თეთრი ლაქა“ პროფესიული კომუნიკაციის დაგეგმარების საკითხში. მეტად შესწავლილია სარეკლამო მოღვაწეობა, საქმიანი ურთიერთობის ძირითადი პრინციპები, მაგრამ ინსტიტუციური დისკურსის ისეთი მიმართულება, როგორცაა საზღვაო პროფესიული კომუნიკაცია მეცნიერების ყურადღების მიღმა დარჩა. ბოლო პერიოდში ჩატარდა რამდენიმე საინტერესო კვლევა ამ სფეროში, მაგრამ ძირითადად ისინი ეხებოდა საზღვაო ტერმინოლოგიას, მის შეფარდებას ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებში და მათი თარგმნის პრობლემებს. ჩვენ კი გვაინტერესებს საზღვაო ფრაზარიუმის შემადგენლობა და, რაც მთავარია, დაგეგმარება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ არის აგებული ხშირად გამოყენებადი ტიპური ფრაზები პროფესიულ საქმიანობაში.

ამის აუცილებლობა უკვე გააზრებული აქვს იმ ხალხს, ვისაც საზღვაო კადრების მომზადება ეხება. კულტურათაშორისი ურთიერთობები უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც თამანდროვე მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესები აქტიურ ფაზაში შევიდა, რამაც კიდევ უფრო ნათელი გახადა სამეცნიერლო დაგეგმარების შესწავლის აუცილებლობა. რეალური ურთიერთობის სიტუაცია ხასიათდება იმით, რომ კომუნიკაციური მიზანი მიიღწევა რამდენიმე კომუნიკაციური ნაბიჯის რეალიზაციით, რომლებიც ტაქტიკის მნიშვნელობის თანაფარდობითაა. კომუნიკაციური სტრატეგიისა და ტაქტიკის ფართო გამოყენების მიუხედავად, მათი შედეგები პროფესიული კომუნიკაციის შესწავლაში არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად [4, 5].

საზღვაო კომუნიკაციას, რა ენაზეც არ უნდა ხორციელდებოდეს, გარკვეულ წილად გააჩნია მსგავსი ნიშან-თვისებები, რომლებიც, პირველ რიგში, გამონათქვამის ერთიანი ილოკუციური ძალით არიან განპირობებული, მაგალითად, ოფიციალური ხასიათის საზღვაო იერარქიულ კომუნიკაციაში მხოლოდ პირდაპირი სამეცნიერლო აქტების გამოყენება:

How many anchors are there in the ship?

Сколько якорей на корабле?

რამდენი ღუზაა გემზე?

What is the position of the pilot vessel?

Где находится лоцман скоесудно?

სად იმყოფება ლოცმანის გემი? [6].

ირიბი კითხვების ფუნქციონირება კი შესაძლებელია მხოლოდ არაოფიციალურ დემოკრატიულ კომუნიკაციაში (ეკიპაჟის წევრების ინტერპერსონალურ საუბარში).

საზღვაო დისკურსის საერთო ილოკუციურმა მიზნებმა განაპირობა შემდეგი საერთო ტიპური სტრატეგიები:

იმპერატიული ურთიერთობის სტრატეგია – ურთიერთობის ავტორიტარული ფორმა (ადრესანტი – უფროსი, ხოლო ადრესატი – ქვემდგომი);

კოოპერაციული ურთიერთობის სტრატეგია (სხვანაირად – არაკონფრონტაციული) უპირისპირდება არაკოოპერაციულ (ან კონფრონტაციულ) სტრატეგიას;

ინფორმაციული დიალოგების სტრატეგია (იშვიათია ინტერპრეტაციული დიალოგები, რომლებიც ახასიათებს სამეცნიერო დისკურსს) – ასევე აღსანიშნია, რომ ს/კ სტრატეგია ბრძანების შემთხვევაშიც კი მოითხოვს პასუხს, რათა ადრესანტი დარწმუნდეს, რომ მისი ბრძანება სწორად იქნა აღქმული;

ურთიერთგაგების სტრატეგია (ან – კომპრომისის სტრატეგია);

მანიპულირების სტრატეგია ხასიათდება კომუნიკაციის პარტნიორზე ზეწოლით თავიანთი მიზნების მიღწევის მიზნით და სხვ.

ამ სტრატეგიების განხორციელებისთვის საზღვაო კომუნიკაციაში გამოიყენება გარკვეული სამეცნიერო ტაქტიკები.

ყველა ენას გააჩნია „კომუნიკაციური მანევრების“ განსხვავებული შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ ერთ სიტუაციას განვიხილავთ, მისი ვერბალიზაცია მეტყველებაში განსხვავებულია სხვადასხვა ენებში. თუ ინგლისური, რუსული და ქართული სამეცნიერო სტრატეგიები საზღვაო კომუნიკაციაში ერთნაირია, მის მისაღწევად გამოიყენება უფრო მრავალფეროვანი ტაქტიკები, რომლებიც ერთიან პროფესიულ სფეროში ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ისინი განსხვავდებიან გამოყენების სიხშირით. ინგლისური, რუსული და ქართული ლინგვოკულტურისთვის საზღვაო კომუნიკაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველაზე გამოყენებად ტაქტიკად აღიარებულია ბრძანება, შემდეგ მოდის პირდაპირი კითხვების ტაქტიკა, ინფორმაციის დაზუსტების ტაქტიკა, რჩევის ტაქტიკა, გაფრთხილების ტაქტიკა.

საზღვაო კომუნიკაციაში ჩვენ გხვდება როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური ურთიერთობის ტიპური სიტუაციები. ეკიპაჟს ცხოვრება მულტიკულტურულ საზოგადოებაში უხდება, სადაც პროფესიულ ურთიერთობებში ჭარბობს იერარქიული კომუნიკაცია, პირადულში კი – დემოკრატიული. ჩვენ, პირველ რიგში, პროფესიული ურთიერთობა გვაინტერესებდა, ამიტომ გაანალიზებული ტაქტიკები დავალაგეთ გამოყენების სიხშირის მიხედვით. მოცემული მასალა რამდენიმე ბლოკად დავყავით:

- 1) გემის მართვის დროს გამოყენებადი ფრაზარიუმი;
- 2) გემის აღწერა და დახასიათება;
- 3) ნავიგაციური პრაქტიკა;
- 4) საავარიო სიტუაციები;
- 5) ტვირთის გადაზიდვა;
- 6) კვება და სამედიცინო მომსახურება.

საზღვაო დისკურსის სახელმძღვანელოებში და ნორმატიულ დოკუმენტებში ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია გემის მართვა და ტვირთის გადაზიდვა. თითოეული ნაწილი შედგება ქვენაწილებისგან, ასე, მაგალითად:

- მოლაპარაკება ლოცმანის სადგურთან;
- მოლაპარაკება სხვა გემის ეკიპაჟთან;
- სტანდარტული შეტყობინება რადიოტელეფონით;
- გაფრთხილება სახიფათო სიტუაციების შემთხვევაში და სხვ.

პირველ რიგში გამოვყავით იმპერატიული სტრატეგიით განპირობებული ბრძანებების ტაქტიკა.

ბრძანების ტაქტიკა:

დაადეთ საჭერი! / Наложить стопор! / Secure the break!

დაუმატეთ სიჩქარე! / Больше ход! / Faster!

პირდაპირი კითხვის ტაქტიკა:

როგორია ცირკულაციის დიამეტრი? / Каков диаметр циркуляции? / What is the diameter of the turning circle?

ინფორმაციის დაზუსტების ტაქტიკა:

საკმარისია მანდ სიღრმე? / Достаточно ли там глубина? / Is there sufficient depth there?

რჩევის ტაქტიკა:

გირჩევთ, მანქანა გააჩეროთ. / Советую вам застопорить машину. / Advise you to stop engine.

თხოვნის ტაქტიკა:

გთხოვთ, დამართოთ ნება, დავიწყო მოძრაობა. / Прошу разрешение начать движение. / Please permit me to proceed.

გაფრთხილების ტაქტიკა:

მე ვაპირებ თქვენს გასწრებას მარცხენა ბორტიდან. / Я намерен обогнать вас полевому борту. / I intend to overtake you on your port side.

შემოთავაზების ტაქტიკა:

მოდით, დავშორდეთ ერთმანეთს მარცხენა ბორტიდან. / Давайте разойдемся левым (правыми) бортами. / Let us pass each other port to port (starboard to starboard).

ვარაუდის ტაქტიკა:

მე ვფიქრობ, აქ დახურული (ღია) მოტეხილობაა. / Я думаю, что закрытый (открытый) перелом. / I think it is a closed (an open) fracture.

ყველა ზემოთ მოყვანილი ტაქტიკა გამოხატულია მსგავსი კონსტრუქციებით ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებში, მაგრამ ენობრივი სისტემების განსხვავებული შესაძლებლობების გამო აღნიშნული ტაქტიკების გამოხატვის ენობრივი საშუალებები განსხვავებულია სამივე ენაში, მათ შორის, ფრაზების აგებულება.

პროფესიული ტექსტების და სამეტყველო ფრაზების თარგმანის შესწავლა დღესდღეობით რთულ პრობლემას წარმოადგენს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ათეული წლების განმავლობაში ქართული საზღვაო პროფესიებისთვის კადრების მომზადება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სწავლების ენა ქართული იყო, სახელმძღვანელოები, ენციკლოპედიები და ლექსიკონები ძირითადად რუსულ ენაზე იყო. თვით ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაშიც კი რუსული კალკები ან ბარბარიზმები ჭარბობდა.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები ინტენსიურად მუშაობენ ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის დახვეწაზე, ტიპური ფრაზარიუმების შედგენაზე, აგრეთვე საზღვაო დისკურსის თარგმანის პრობლემების შესწავლაზე. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად გხვდება თარგმანის ლექსიკური ხასიათის შეცდომები და უზუსტობები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებით არიან გამოწვეული. ეს ეხება ლექსიკური მარაგის და გრამატიკული სისტემების განსხვავებას, მაგრამ გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც. ჩვენი აზრით, საზღვაო კომუნიკაციაში საერთაშორისო ინგლისური ენის ფუნქციონირების

მიუხედავად, მეზღვაურთა პროფესიულ კომუნიკაციაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი პრობლემები: 1) ფონეტიკური ინტერფერენციით გამოწვეული უზუსტობები და გაუგებრობები; 2) სამეტყველო პრაქტიკის ნაკლებობით გამოწვეული ხარვეზები; 3) ინგლისური ენის ძალიან განსხვავებული „ეროვნული ვარიანტები“; 4) კულტურული ფონური ინფორმაციის არცოდნა.

საზღვაო კომუნიკაცია წარმოადგენს კულტურათაშორისი პროფესიული კომუნიკაციის რთულ სახეობას, რომელსაც ახასიათებს წარუმატებლობის განსხვავებული ფორმები: უმნიშვნელო შეცდომიდან, უზუსტობიდან დაწყებული გაუგებრობით და, ზოგჯერ, კონფლიქტით დამთავრებული. ჩვენი ვარაუდით, პროფესიული კომუნიკაციის წარმატებულობას ხელს უწყობს კულტურების ცოდნა, კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება, კარგი პროფესიული მომზადება და სხვ. რაც ხელს უწყობს ყველა ტიპური სიტუაციისთვის შესაბამისი სამეტყველო ქცევის სტრატეგიისა და ტაქტიკის შერჩევას. ნებისმიერი პროფესიონალის (მათ შორის, თანამედროვე მეზღვაურის) მომზადება ორიენტირებულია პროფესიული კომპეტენციის გამომუშავებაზე, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კომუნიკაციური კომპეტენცია, ანუ ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა სხვისი სამეტყველო ქცევის გასაგებად და საკუთარ სამეტყველო პროგრამის ადეკვატურად განხორციელებისთვის. თანაც, როგორც ნიკოლაი ბარიშნიკოვი აღნიშნავს, პროფესიული კომპეტენცია გულისხმობს არა მხოლოდ ვერბალური, არამედ არავერბალური კოდის ცოდნას.

სტატიაში დაყენებული პრობლემები მეტყველებს იმაზე, რომ ქართველი მეზღვაურების კულტურათაშორისი პროფესიული კომუნიკაციის წარმატებულობის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს საზღვაო სამეტყველო ქცევის ღრმად შესწავლა მეტყველების დაგეგმარების კუთხით.

ლიტერატურა:

1. ვარძელაშვილი დ., საზღვაო ლექსიკონი, თბ., 2009.
2. კუტალეიშვილი ზ., ნაოსნობა საქართველოში, თბ., 1987.
3. Барышников Н. В., Основы профессиональной межкультурной коммуникации. М., 2013.
4. Иссерс О.С., Коммуникативные стратегии и тактики русской речи. М., 2006.
5. Crystal D., The Cambridge Encyclopedia of Language, Cambridge, 1989.
6. Rodinadze S., Mikeladze T., English for marine Engineers, Batumi, 2010

Medea Imnadze ***Marine speech strategies and tactics*** **Summary**

Marine communication in different languages is characterized by similar characteristics determined by the common illocutionary force: strategies of imperative relations, cooperative relations, informative dialogues, mutual understanding, etc. All languages have various means for “communicative maneuvering” and verbalization of one and the same situation is executed differently from language to language. If the English, Russian, and Georgian communication strategies are similar, this is achieved by more diverse techniques. Also, they differ in terms of

application frequency. The marine communication in English, Russian, Georgian and Georgian linguistic culture is dominated by command as the most frequently used strategy, followed by the tactics of direct questioning, inquiry and specification, advising, warning, etc. Study of marine communication strategies and tactics is a crucial part of the professional competence.

Медея Имнадзе
Стратегии и тактики морской речи
Резюме

Морская коммуникация характеризуется схожими явлениями, на каком бы языке она не осуществлялась, так как она преследует одинаковые иллокутивные цели, для осуществления которых используются следующие типичные стратегии: стратегия императивного общения, кооперативного общения, стратегия информационного диалога, взаимопонимания и др. Вместе с тем, каждый язык обладает разными средствами «языкового маневрирования». Одна и та же профессиональная ситуация вербализуется в речи по-разному. Для достижения общих стратегий профессиональной речи в английском, русском и грузинском языках используются многочисленные тактики, которые отличаются частотой употребления. Исходя из специфики межкультурной морской коммуникации чаще всего используют следующие тактики: приказ, тактика прямых вопросов, тактика уточнения информации, совет, предупреждение и пр. Владение стратегиями и тактиками морской речи представляет собой важную составную часть профессиональной компетенции моряков.

Snezha Tsoneva-Mathewson,
Maria Anastasova*
(Bulgaria)

**SCRATCHING THE SEMANTIC SURFACE OF THE BULGARIAN
IMAM (HAVE) AND NYAMAM (HAVE NOT)**

I. Introduction and data

The verb *imam* and its negative counterpart *nyamam* in Modern Bulgarian have a range of meanings the central one being possession as in the example below:

1. Ivan ima shapka. Ivan has hat. Ivan has a hat.

In such cases, it has a fully developed paradigm for tense and agreement and takes an NP complement, either concrete or abstract. The concept of possession¹ is universal and any language is expected to have conventionalized linguistic expressions of it. As it is a dsjndklcdzrelatively abstract domain of human conceptualization cognitive linguists such as Heine [1997] argue that the linguistic expressions for it are derived from more concrete domains such as “what one does’ (Action), “where one is’ (Location), etc. The etymology of the main Bulgarian verb expressing possession is yet another piece of evidence – it comes from the Proto-Slavic *jъměti, *jъmati, which meant “grab’, “take’, i.e. from the more basic domain of actions. This simple initial semantic analysis of the main verb encoding the notion of possession shows that, unlike other main verbs, *imam* is characterized by a higher level of generality. The latter, perhaps, has signalled out the notion it represents as a possible source concept for even more abstract grammatical concepts such as tense, mood or aspect.

Besides an NP *imam* can take a VP complement as shown in 2.

2. Ivan i Penka imat da chetat (mnogo knigi).
Ivan and Penka have-3pl.prs CONJ read-3pl.prs (many books).
Ivan and Penka have to read (lots of books).

The verb in the dependent clause introduced by the *da*-conjunction is finite in form but infinitival in function as it replaced the Old Bulgarian infinitive (c.f. section V below). At that point, as Bolinger points out, any verb which is given an infinitive complement starts down the road of auxiliarieness” [1, 297]. Indeed, unlike 1, 2 has the meaning of deontic modality (necessity and obligation), which is particularly clear when the *da*-construction has no direct object.

Imam in both 1 and 2 can be replaced by its negative counterpart *nyamam*, which is a phonological merger of the negative particle *ne* and *imam*. The meaning will be lack of possession and of obligation, respectively.

The impersonal *ima* (3p.sg. form) is used with an NP complement (singular or plural) to denote existence as in the example:

3.a Ima knigi na masata.
Have-3sg.prs book-PL on table-DEF
There are books on the table.

* University of Plovdiv Paisii Hilendarski.

¹ For an extended discussion of types of possession and kinds of possessive constructions, see Heine 1997.

The negative counterpart expresses lack of existence as in 3.b below:

3.b	Nyama	knigi	na	masata.
	Have not-3sg.prs	book-PL	on	table-DEF
	There are no books on the table.			

When the affirmative impersonal *ima* is used with a specific intonation (which might be graphically represented) and with a *da*-clause, it has a combination of temporal, modal and aspectual senses as in

4.	Ima	da	go	chaaaaakam	dovechera!
	Have-3sg.prs.	CONJ	him	wait-1sg.prs	dovechera-ADV
	I will have to wait for him long tonight!				

The future time reference is implied in the assertion about the future, the predicted activity is viewed as necessary and continuous¹.

At the same time, the negative 3p.sg. form *nyama* is cited in all textbooks as the negative future tense auxiliary in Modern Bulgarian as in:

5.	Ivan	nyama	da	go	chaka.
	Ivan	no-have	CONJ	him	wait-3sg.prs.
	Ivan will not wait for him.				

As such, it is often compared to the auxiliary *shte*, which forms the affirmative future tense paradigm.

In this paper we will only scratch the semantic surface of *ima(m)* in an attempt to account for its grammatical functions (tense, aspect, mood) *ima(m)* as related to the semantic components of its prototypical lexical meaning of possession. In other words, there is no rigid boundary between main verb and auxiliary; abstract grammatical concepts encoded by the forms of the verb *ima(m)* are derived from the less abstract concept of possession, which, as we will see below, itself is a complex concept.

II. Theoretical Background

As it has already become clear, our theoretical framework is that of cognitive linguistics which claims that we conceive and linguistically express experiences that are less easily accessible or more difficult to understand or describe, in terms of more immediately accessible, clearly delineated experiences. This strategy entails that complex contents are expressed by means of less complex and more basic concepts, and abstract concepts by means of more concrete concepts. Thus the concrete entities describing such a general notion as possession (what one (Y) owns (X)) and one of the most common linguistic expressions for it, the verb *imam* in Bulgarian, have developed into abstract grammatical concepts in a process traditionally referred to as grammaticalisation.

This process involves at the same time more than one linguistic item; the source for the process is the whole proposition “X *ima* Y”, which can be viewed as an event schema [3] and the semantic shift that it entails has peculiar implications for the morphosyntax (construction), e.g. the modal sense of *imam* evolved in combination with a nominalization marker like the infinitive in Old Bulgarian, which has been superseded by *da*-clause in Modern Bulgarian. An event schema as proposed by Heine relates to a stereotyped content describing a situation that appears to be more basic to human experience and communication and is encoded linguistically by means of

¹ For a detailed discussion of the aspectual meanings of *ima da* – construction, see Desislava Dimitrova’s PhD dissertation, 2015.

predication, involving one predicate and two participants. What distinguishes event schemas from simple concepts is that the former are composed of more than one perceptually discontinuous entities. Some of the main schemas as sources for grammatical categories are “X is at Y’ (Location), “X moves to/from Y’ (Motion), “X does Y’ (Action), “X want Y’ (Volition), “X has Y’ (Possession), “X acts (in order) to Y’ (Purpose), etc. The first three may be considered more basic than the others. In the next section, we will try to show the possible semantic (conceptual) links among the Possession Schema, the Location Schema, and the Purpose Schema.

III. Existence, location, and purpose as sources for the interpretation of the possession schema, X ima Y (X has Y)

Possession is a type of relationship between two entities X and Y defined by a number of semantic components in a number of configurations:

A. X may be animate, [+DEF] (personal pronoun, or NP, [PROPER] or [DEF]), X exists in this or any other possible worlds as a discrete entity.

Y may be

A) discrete entity [INDEF], inanimate or animate [-human], countable or uncountable; Y exists in this world or any other possible world;

a) part of X or occupies space in the immediate vicinity of X so that it is immediately perceived by the senses as in:

7. Ivan ima glava, hrana, knigi, kotka, pr. Ivan has head, food, books, cat, etc.
Ivan has a head, food, a cat, etc.

b) by extension one may have a house miles away from one's location at the moment or money in the bank rather than in the pocket.

Both a) and b) ultimately involve the notion of location; we would call the former proximal and the latter distal. There seems to be another semantic component in the meaning of *imam* i.e. purpose which becomes syntactically explicit when *imam* develops a more abstract meaning. We view the parts of our body as being there for a purpose. We possess things for a purpose. Many children's nursery rhymes are centred around this semantic component, e.g.:

Hush-a-bye a baa-lamb,
Hush-a-bye a milk cow,
You shall have a little stick
To beat the naughty bow-wow.

or

Baby and I
Were baked in a pie,
The gravy was wonderful hot.
We had nothing to pay
To the bakers that day
And so we crept out of the pot.

The above point, however, needs research to be substantiated and would not be pursued in the present paper.

The discussion above suggests that the event schema of possession is not a simple one; it is more abstract than location. For example, possession in Bulgarian can be expressed by the verb *sŭm* “to be’ and a PP with the preposition *na* “on’ which has a basic locative meaning as in

8. Knigite sa na masata. books-DEF are on table-
DEF The books are on the table.

and a possessive meaning as in:

9. Knigite sa na Ivan. books-DEF are on Ivan. the books belongs to Ivan.

Penchev [11, 97] argues that although the structures in 7 and 9 have the same meaning, they are unrelated from the point of view of transformational grammar. He states that the NP complement *knigi* ‘books’ in 7 is indefinite, while the same NP subject in 9 is definite. Similarly, he distinguishes between 8 and 10 below (c.f.3) where *ima* is the impersonal form with an existential meaning.

10. Namasata ima knigi.
on table-DEF has books

There are books on the table.

“In other words”, he writes, “the subject of *sŭm* is definite and the object of *imam* never takes the definite article” [11, 97]. However, we found data which contradicts the above. Consider 11 below:

11.a Imam shtastieto da vi vidya.
have-1sg.prs happiness-DEF CONJ you-ACC see-1sg.prs

I am happy to see you.

11.b Imam chestta da se zapoznaem.
have-1sg.prs honour-DEF CONJ se-REFL meet-1pl.prs

I have the honour of meeting you.

It seems that when the referents of the object NPs of *imam* are abstract concepts, the NP object is specified by a definite article and a *da*-clause. At the same time, an abstract subject of *sŭm* may be an indefinite NP as in

11.c Shtastie e za men da vi vidya.
happiness-INDEF is for me CONJ you-ACC see-
1sg.prs

I am happy to see you.

11.d Chest e za men da se zapoznaem.
honour-INDEF is for me CONJ REFL meet-
1pl.prs

It is an honour for me to meet you.

The point we would like to make here is that the similar syntactic behaviour of at least some Ns when part of the PP of *sŭm* or the NP of *imam* may be due to the semantic links between the two constructions. In our opinion, there is a metaphorical extension of the concept of proximal location (part of X or in the immediate vicinity of X) expressed linguistically through the PP “na X’ to the concept of possession. The semantic meaning of the preposition *na* has been extended from the physical domain to the more abstract domain of possession. The historical development of the PP with *na* is a complex phenomenon exemplary of the intricate network of semantic relations between the concepts encoded by the various noun cases in Old Bulgarian and the influence of other Balkan languages. First, *na* with a noun in the Accusative for purpose began to replace the Dative case which had already subsumed the Genitive. Thus, in Modern Bulgarian, there are three distinct uses of the preposition *na*: a) with its basic lexical meaning of location, b) with the meaning of

possession and c) a Dative meaning as in:

12. Ivan	dade	knigata	na	Penka.
Ivan	give-3.sg.past	book-DEF	to	Penka.

Ivan gave the book to Penka.

So far, the point that we have made is that the event schema of location is intricately related to the event schema of possession. Furthermore, this relationship seems to be reflected in the syntax of the resulting structures, as we will see below.

B) Y may be abstract.

The shift from concrete to abstract is immediately reflected in the syntax. In 13. the object NPs all contain abstract Ns and the syntax deals with them in one of the following ways. In 13.a the NP must have either the quantifier *edin* ‘one’ or the N must be plural. In other words, the NP should have explicit nominalization markers.

13.a Imam	edna	mechta,	mechti.
have-1sg.prs	one	dream,	dreams.

I have a dream, dreams.

The sentences in 13.b have implicit adjuncts of location or purpose.

13.b Imam	bolki (v krakata), vreme (za gubene), chuvstva (v dushata).		
have-1sg.prs	pains (in legs-DEF), time (for wasting), feelings (in soul-DEF)		

I have pains (in my legs), time (to waist), feelings (in my heart).

The sentences in 13.c are unacceptable without an overt adjunct of location.

13.c Imam	radost vdushata,	toplina	v sŭrtseto.
have-1sg.prs	joy in soul-DEF,	warmth	in heart-DEF.

I have joy in my soul, warmth in my heart.

Similarly, the impersonal existential *ima* always has an implicit or overt locative adjunct (c.f. 8 and 10 above). Due to the ontological relationship between the location schema and the possession schema, the verb *imam* might have been reanalyzed as existence according to the following scenario:

Y e na X (Y is at X), location > Y is na X, possession which parallels X ima Y, possession > ima Y (na X), existence = Y e na X, location.

Again, there seems to be an interplay between the concepts of location, existence and possession.

C) Y may be animate [+human]

14. Imam	brat.
have-1sg.prs	brother.

I have a brother.

ტრაბახი ის ფენომენია, რომელსაც არ აქვს ასაკი, სქესი; მას ეხვედებით ყველასთან, პატარა ბავშვით დაწყებული ზრდასრული ადამიანით დამთავრებული და ყველგან, ინტერნეტ სივრცეში თუ ყოფითი კომუნიკაციისას. თანამედროვე სამყაროში ტრაბახი ჩვეულებრივი მოვლენაა, ძალიან მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც ტრაბახი არ სჩვევია. უფრო მეტიც, ერთ-ერთი თანამედროვე ინგლისური ანდაზა გვეუბნება: „Master the art of bragging becomes President“ (ის, ვინც ტრაბახში დახელოვდება, პრეზიდენტიც გახდება – ქ. თ.). ზოგიერთი ტრაბახობს შემთხვევით და გაუაზრებლად, ზოგიც – გამიზნულად.

ფსიქოლოგიური მეცნიერების ასოციაციის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები და 2015 წელს გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია ცხადყოფს, რომ ადამიანები გამუდმებით ცდილობენ სხვებზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენას და ამისათვის ხშირად მიმართავენ თვითრეკლამირების მეთოდს (self-promotion), რაც სხვა არაფერია, თუ არა ტრაბახი. თამამად განიხილავენ მათ წარმატებებსა და მიღწევებს როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე კარიერაშიც. ტრაბახი დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, საკუთარი თავის ზედმეტად წარმოჩენამ შეიძლება მსმენელში სიმპათიის ნაცვლად გაღიზიანება ან სულაც აგრესიაც გამოიწვიოს. მით უმეტეს, თუ კომუნიკანტებს შორის არსებობს ემპათიური ფანჯარა (**Empathy Gap**) ანუ, როცა შენ თავს ბედნიერად გრძნობ, რთულია იფიქრო იმაზე, რომ სხვა ამ დროს შეიძლება თავს უბედურად გრძნობდეს ან პირიქით. სწორედ ამას ვაწყდებით ტრაბახისას. ბაქია ადამიანი იმდენად გატაცებულია თავის წარმატებებზე საუბრით, რომ სათანადოდ ვერ აცნობიერებს რეციპიენტის მდგომარეობას, რომელსაც შეიძლება უამრავი პრობლემა აქვს და შენი ბედნიერების აშკარა დემონსტრირებამ მასში გაღიზიანებაც კი გამოიწვიოს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრაბახი და საკუთარი შესაძლებლობების რეკლამირება დღესაც შთაბეჭდილების მოხდენის მართვის მთავარ სტრატეგიად ითვლება (**impression-management strategy**), რომელსაც განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ ცნობადი სახეები, მაგალითად, პოლიტიკოსები.

ფსიქოთერაპევტი რიჩარდ ჯოლსონი ამბობს, რომ ტრაბახი არის გადაჭარბებული სიამაყე და შენს მიღწევებზე გაზვიადებული საუბარი, რაც საკმაოდ გავრცელებულია სოციალურ მედიაში. ჰარვარდში ფსიქოლოგებმა ექსპერიმენტიც კი ჩატარეს და ხუთ ადამიანს გაუკეთეს ფუნქციონალური მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია (fMRI), შედეგად კი, მათი ტვინის სწორედ ის ნაწილები გააქტიურდა ტრაბახის დროს, რომლებიც აქტიურდება ჭამის ან სექსუალური ურთიერთობისას. დიალოგში ჩაბმული ადამიანი საუბრის 40 პროცენტს სწორედ საკუთარ თავზე საუბარს უთმობს, ფაქტია, რომ ამით დადებითი ენერჯით იმუხტება იგი. მეტიც, საკუთარ თავზე საუბრისას მიღებული დადებითი შეგრძნებები ძალიან ჰგავს ჰორმონ

დოფამინის შედეგად მიღებულ შეგრძნებებს, რომლებიც გამოიწვევდა ტვინში და პასუხისმგებელია ისეთ შეგრძნებებზე, როგორებიცაა: ბედნიერება, სიამოვნება, ეიფორია, მოტივაცია, კონცენტრირების, შემეცნების უნარი და ა.შ.

და მაინც, რატომ ვტრიაბახობთ ადამიანები? ამის არაერთი მიზეზი არსებობს. ზოგიერთი ადამიანი ტრიაბახობს **თვითრეპრეზენტაციის** მიზნით, ზოგიც – **კონკურენციის** მიზნით. ბევრი იმიტომ ტრიაბახობს, რომ მათი თვითშეფასების დონე ძალიან დაბალია, **არასრულფასოვნების კომპლექსი** აწუხებთ და ამ გზით ცდილობენ საკუთარი ნაკლოვანებების დაფარვას. ასევე, **განდიდების მანიას** და საზოგადოების მიერ აღიარების სურვილსაც მიყვავართ ბაქიაობამდე. ტრიაბახის ერთ-ერთ მოტივატორად **სულიერი შიმშილი, ადამიანური ურთიერთობებისა და სიტბოს უკმარისობაც** შეიძლება ჩაითვალოს. ტრიაბახს განაპირობებს საზოგადოებრივი **ცნობიერების მანიპულირების სურვილიც**, განსაკუთრებით, თუ საჯარო ფიგურა ხარ და შენი კარიერული წინსვლა დიდწილად დამოკიდებულია ხალხის მხარდაჭერაზე.

გამოყოფთ ტრიაბახის სახესხვაობებსაც, მაგალითად, **მოკრძალებული / არაპირდაპირი ტრიაბახი (Humblebrag)**. სეზერი, ჯინო და ნორტონი მიიჩნევენ, რომ მოკრძალებული ტრიაბახი დღესდღეობით ტრიაბახის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც თავმდაბლობასთან ერთად გამოხატულია წუწუნითაც. მაგალითად: “I am so tired of being the only person that my boss could trust to train the new employees” (როგორ დავიღალე იმით, რომ ჩემი უფროსი მხოლოდ მე მანდობს ახალი თანამშრომლების დატრენინგებას). ამ მაგალითში ნათლად ჩანს ვითომდა წუწუნის ფონზე როგორ ტრიაბახობს მოსაუბრე ან კიდევ – “I can’t believe they all thought of me to nominate for this award and want me to give a talk in front of thousands of people” (ვერ ვიჯერებ, რომ მე წარმადგინეს ამ ნომინაციაში და ათასობით ადამიანის წინაშე მომიწევს საჯაროდ გამოსვლა). აშკარაა, რომ მოსაუბრე შეფარვით, თავმდაბლობით ტრიაბახობს. ამგვარი ტიპის ტრიაბახი მოკლებულია გულწრფელობას, უფრო მეტიც, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ არაპირდაპირი ტრიაბახი უფრო იწვევს მსმენელში უარყოფით დამოკიდებულებას, ვიდრე პირდაპირი ტრიაბახი, რადგან პირდაპირი ტრიაბახისას მოსაუბრე გაცილებით გულწრფელია, ვიდრე შეფარვითი ფორმით საკუთარი თავის წარმოჩენისას.

საკმაოდ გავრცელებულია **პირდაპირი/აშკარა ტრიაბახიც**. მოსაუბრე ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ტრიაბახობს პიროვნული თვისებებით, ფიზიკური სიძლიერით, გონებრივი შესაძლებლობებით თუ სხვადასხვა მიღწევით კარიერასა და პირად ცხოვრებაში. არსებობს ე.წ. **ჰიპერბოლიზებული ტრიაბახი**, რომელსაც განსაკუთრებით პოლიტიკოსთა პოლიტიკურ გამოსვლებში აქვს ადგილი.

პოლიტიკური აზროვნება და ქმედება განუყოფელია პოლიტიკური მეტყველებისგან. ნებისმიერი პოლიტიკური იდეა იბადება, რეალიზდება და კონტროლდება ენის საშუალებით. ვან დეიკისეული ინტერპრეტაციით, პოლიტიკური დისკურსი არის პოლიტიკური სფეროთი შემოფარგლული ჟანრი, რომელსაც სპეციფიკური ენობრივი თეზაურუსი, გარკვეული ფუნქციური დანიშნულება და კომუნიკაციური ზემოქმედება აქვს. პოლიტიკოსების დისკურსად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის დისკურსები, რომლებიც რეალიზდება ისეთ საინსტრუქციო გარემოში, როგორებიცაა სამთვრობო სხდომები, საპარლამენტო სესიები, პარტიის ყრილობები, წი-

ნასაარჩევნო კამპანიები, პოლიტიკური დეპატები და სხვა. პოლიტიკური დისკურსის მიზანია ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლებისთვის საზოგადოებრივი აზროვნების ვერბალური მანიპულირების გზით. საყურადღებოა ის, თუ სად, როდის, ვის მიერ, რა ფორმით, რა ინტენციონალურ-ილოკუციური ძალით იმართება პოლიტიკური დისკურსი და ვისზეა ის ორიენტირებული – მასებზე, გარკვეულ სოციალურ ჯგუფებზე თუ კონკრეტულ პიროვნებებზე. ამავდროულად იგი არ უნდა იყოს რთულად გასაგები, მით უმეტეს, თუ გათვლილია ფართო მასებზე. პოლიტიკურ დისკურსს ახასიათებს ენის ფიგურალური გამოყენება, თეატრალურობა, პოლემიკურობა, სლოგანურობა, ენობრივი დიგლოსია, მეტაფორულობა ა.შ. პოლიტიკური დისკურსი ყოველთვის გათვლილია ორმაგ აუდიტორიაზე: კონკრეტულ აუდიტორიაზე, რომელიც უშუალოდ ესწრება დისკურსს და მონაწილეობს და ე.წ. „იმპლიციტურულ აუდიტორიაზე“, რომლის მიღმაც ხალხის ფართო მასები, ზოგჯერ კი ქვეყნის მთელი მოსახლეობა, მოიაზრება [1, 112-114].

როგორც ვხედავთ, პოლიტიკური დისკურსის მთავარი დანიშნულებაა საზოგადოების მანიპულირება და ამ გზით პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება ან უკვე მოპოვებულის ხელახალი გაპიარება და შენარჩუნება. ტრაბახი კი ამის ძალიან კარგი საშუალებაა; ის ზედმიწევნით კარგად ასრულებს აუდიტორიის ტვინის გამორეცხვის (**brainwashing**) ფუნქციას, ამიტომაც, პოლიტიკოსები საკმაოდ ხშირად მიმართავენ ამ ხერხს.

პოლიტიკური სახის დისკურსებში, იქნება ეს ქართულენოვანი თუ ინგლისურენოვანი, პოლიტიკოსები აქტიურად იყენებენ ტრაბახის პირდაპირ ფორმას. მაგალითად, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ღიად აცხადებდა: „ყველაფერი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყველაფერი, რაც გაიხსნა საქართველოში, გაიხსნა ჩემს დროს, 140 საავადმყოფო გაიხსნა ჩემს დროს, ყველა სუნთქვის აპარატი შემოვიდა ჩემს დროს...“ მეტი ექსპრესიულობისთვის და დამაჯერებლობისთვის რამდენჯერმე იმეორებს ერთი და იმავე სიტყვებს – „ყველაფერი“, „ჩემს დროს“, რითაც ხაზს უსვამს საკუთარი შესაძლებლობებისა და მოღვაწეობის უპირატესობას მანამდე და ამჟამად არსებულ ხელისუფლებაზე. მსგავსი რიტორიკა და ტრაბახის პირდაპირი ფორმა ჩანს მიხეილ სააკაშვილის შემდეგ სიტყვებშიც, სადაც თავისი მოღვაწეობის წლებს ღიადი მეფეების ეპოქას ადარებს: „ის 9 წელი იყო ყველაზე დიდი და წარმატებული განვითარების ეპოქა, რომლის შედარება შეიძლება გიორგი ბრწყინვალეს ეპოქასთან და უფრო ადრე, საქართველოს აღორძინების ეპოქასთან, რომელსაც საფუძველი დაუდო დავით აღმაშენებელმა“.

არც ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი ერიდება პირდაპირი ფორმის ტრაბახს და მისი ხელისუფლების პირველობის დემონსტრირებას: **“My administration has accomplished more than almost any administration in the history of our country”** (ჩემმა ადმინისტრაციამ იმდენს მიღწია, რამდენისთვისაც თითქმის არც ერთ ადმინისტრაციას არ მიუღწევია აქამდე ამერიკის ისტორიაში) ან **“Stock Market has gained almost three trillion dollars in values since the election on November 8th, a record!”** (საფონდო ბირჟამ 3 ტრილიონ დოლარს მიაღწია 9 ნოემბრის არჩევნების შემდეგ, ნამდვილი რეკორდია!). აღნიშნული მაგალითები შეიძლება სამეტყველო აქტის – **რეპრეზენტაციების/ასერტივების** სახედ

ჩაითვალოს, რადგან პოლიტიკოსები ღიად წარმოაჩენენ საქმის ვითარებას, დარწმუნებული არიან მათ ჭეშმარიტებაში და გარკვეულწილად თავს ახვევენ მსმენელს.

მომდევნო ორი მაგალითიც **რეპრეზენტატივ/ასერტივებს** მიეკუთვნება, ამჯერად პოლიტიკოსები **ცნობილი ადამიანების სახელებით ტრაბახობენ**. მაგალითად, **ჯიმი კარტერი** წინასაარჩევნო კამპანიისას გამოჩენილი ადამიანების სახელებით ტრაბახობდა, კერძოდ კი იმით, რომ მათი გუნდის წევრი იყო, თან ამით **არაპირდაპირი გზით** თავის შესაძლებლობებსაც უსვამდა ხაზს, რისი წყალობითაც ასეთი წარმატებული და ცნობადი პოლიტიკოსების გუნდის წევრობა დაიმსახურა: **“We'll win because we are the party of a great President who knew how to get reelected – Franklin Delano Roosevelt. And we are the party of a courageous fighter who knew how to give'em hell – Harry Truman. And we're the party of a gallant man of spirit – John Fitzgerald Kennedy. And we're the party of a great leader of compassion – Lyndon Baines Johnson, and the party of a great man who should have been President, who would have been one of the greatest Presidents in history – Hubert Horatio Hornblower – Humphrey”** (ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენ წარმოვადგენთ იმ გენიალური პრეზიდენტის პარტიას, რომელმაც შეძლო მეორედ გამხდარიყო პრეზიდენტი და ეს იყო ფრანკლინ დელანო რუზველტი. ჩვენ ვართ პარტია იმ თავდადებული მებრძოლისა, რომელმაც იცოდა, როგორ დაემარცხებინა მტერი და ეს იყო ჰარი ტრუმანი. ჩვენ ვართ პარტია იმ მებრძოლი სულისკვეთებით აღსავსე ადამიანისა, როგორც იყო ჯონ ფიცჯერალდ კენედი. ჩვენ ვართ პარტია ლინდონ ბეინის ჯონსონისა, რომელიც გახლდათ ჰუმანურობისა და თანაგრძნობის სიმბოლო. ჩვენ ვართ პარტია ჰუბერტ ჰორათიო ჰორბლოვერ ჰამფრეისა, რომელიც უნდა გამხდარიყო ამერიკის პრეზიდენტი).

ქართველი ცნობილი პოლიტიკოსი **შალვა ნათელაშვილიც** გადაცემაში „ვოკუსი“ სტუმრობისას, ტრაბახობს **ცნობილ ადამიანებთან კავშირების ქონით**:

„ – როცა საჭიროა, ვერც ვერაგინ ვერ მაჯობებს დიპლომატიაში.

– თქვენი არხები გაქვთ ამერიკაში?

– რა თქმა უნდა, ამერიკაში მე მყავს ჩემი მხარდამჭერი ჯგუფი, ღირსეული ამერიკელები, აშშ-ის სენატის წევრები, ერთი სენატორიც კი ლამის ამერიკის პრეზიდენტის ტოლფასია, თბამა სწორედ სენატორი იყო, კენედიც სენატორი იყო.

– ტედ კრუზთან შესხვედრაში ეს ადამიანები დაგეხმარნენ?

– **ტედ კრუზი ივარაუდება ამერიკის 2016 წლის პრეზიდენტად და მაქვს ძალიან კარგი ურთიერთობა, ისევე, როგორც ვიკერთან, ისევე, როგორც რიშთან...**“

ტრაბახის **არაპირდაპირი ფორმაც** საკმაოდ გავრცელებულია პოლიტიკურ დისკურსში, ამის ნათელი მაგალითია **ბარბარა ჩარლინ ჯორდანის** სიტყვით გამოსვლა, სადაც ამბობს, რომ იგი სხვათა თხოვნის ნიადაგზე წარდგა აუდიტორიის წინაშე. არაპირდაპირი/მოკრძალებული ფორმით ამახვილებს ყურადღებას საკუთარ შესაძლებლობებზე, რომლის წყალობითაც პოლიტიკურმა პარტიებმა იგი ღირსეულ კოლეგად მიიჩნიეს: **“When ... A lot of years passed since 1832, and during that time it would have been most unusual for any national political party to ask a Barbara Jordan to deliver a keynote address. But tonight, here I am. And I feel — I feel that notwithstanding the past that my presence here is one additional bit of evidence that the American Dream need not forever be deferred”** (1832 წლის შემდეგ ბევრი დრო გავიდა, ამ ხნის განმავლობაში

ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერ იფიქრებდა, რომ ბარბარა ჯორდანს სთხოვდნენ გამოსულიყო ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვით. თუმცა, დღეს მე აქ ვარ და მიუხედავად წარსულისა, დღეს ჩემი აქ ყოფნა ნათელი მაგალითია იმისა, რომ ამერიკულ ოცნებაზე უარი არასდროს უნდა თქვა). ტარაბახის ეს ფორმა **დირექტივებს** წარმოადგენს, რადგან იგი მსმენელს მიუთითებს, რომ არასდროს დანებდეს და ყველაფრის მიუხედავად, იბრძოლოს საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის.

ფარულად/არაპირდაპირი გზით ტრაბახობენ ქართველი პოლიტიკოსებიც, მაგალითად, **ვანო მერაბიშვილი** წინა საარჩევნო კამპანიისას მოსახლეობასთან შეხვედრისას: „... რომ მოვალ რამოდენიმე წლის მერე თქვენთან და დაგელაპარაკებით ჯანდაცვაზე, იმედია მეტყვით: ჯანდაცვის საკითხები არ გვანინატერესებს, **მოდით ახლა სხვა პრობლემები მოგვიგვარეთ**“. ის პირდაპირ არც თავის თავზე საუბრობს და არც თავის თანაგუნდელებზე, თუმცა, ქვეტექსტი ზუსტად ის არის, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში, ის და მისი თანაგუნდელები წარმატებით გადაჭრიან ჯანდაცვის სფეროში არსებულ პრობლემებს და ხალხთან მომდევნო შეხვედრისას ამ თემაზე საუბრის აუცილებლობა აღარ იქნება.

ინლისურენოვან პოლიტიკურ გამოსვლებში ხშირია **საკუთარი ქვეყნით ტრაბახის** მაგალითებიც: პრემიერ-მინისტრი **ბორის ჯონსონი** ტრაბახობს დიდი ბრიტანეთით: “This is an **incredible** country, our **amazing** country, **second biggest contributor** to NATO, **country that is admired**, that is **loved around the world**, **country that guarantees security** not just of the people in this country, but helps through our alliances **to guarantee the security across the world, that’s what the UK does**” (ეს არის საოცარი ქვეყანა, ჩვენი საოცარი ქვეყანა, ნატოს უდიდესი მხარდამჭერი მეორე ქვეყანა, ქვეყანა, რომელსაც აღმერთებენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ქვეყანა, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ადგილობრივების, არამედ მთელი მსოფლიოს უსაფრთხოებას, ეს არის დიდი ბრიტანეთი!). **ბობ დოულიც ტრაბახობს თავისი ერთი**: “And our nation, though wounded and scathed, has outlasted revolutions, civil war, world war, racial oppression and economic catastrophe. We have fought and prevailed on almost every continent. And in almost every sea” (მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ წავიქეცი, მოვახერხეთ ფეხზე წამოდგომა, გაუძეველით რევოლუციებს, სამოქალაქო ომს, მსოფლიო ომს, რასობრივ დევნას და ეკონომიკურ კატასტროფას. ჩვენ ფარხმალი არ დავეარეთ და თითქმის ყველა კონტინენტზე და ყველა ზღვაზე მოვახერხეთ თავის დამკვიდრება). ტრაბახის აღნიშნული მაგალითები მიეკუთვნება სამეტყველო აქტის – **ექსპრესივების ტიპს**, რადგან მოსაუბრეები თავიანთ დამოკიდებულებასა და ემოციებს გამოხატავენ საკუთარი ქვეყნისა და მისი მიღწევების მიმართ.

საანალიზო მასალის შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრაბახი არის **ფსიქოლინგვისტური ფენომენი**, რომელიც გამოხატავს ადამიანის ფსიქომოციურ განწყობას და მატერიალიზდება ენობრივ დონეზე. იგი სამეტყველო აქტის ერთ-ერთი ფორმაა, რადგან წარმოადგენს გარკვეული სახის სოციალური ხასიათის ინტერაქციას, რომელიც სიტყვების მეშვეობით გამოხატავს კონკრეტულ განზრახვას, რაც აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენას, მათ მანიპულირებას და მონიტორინგს მოიაზრებს.

პოლიტიკოსებში ტრაბახის მთავარი დანიშნულებაა პოლიტიკური ძალაუფ-

ლების მოპოვება ან უკვე მოპოვებულის ხელახალი გაპიარება და შენარჩუნება. ქართველ, ისევე როგორც ინგლისურენოვან პოლიტიკოსებში, გავრცელებულია ტრაბახის **პირდაპირი** ფორმა, როცა მეტყველი სუბიექტი ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ტრაბახობს საკუთარი გამოცდილებით, გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობებით, კარიერული მიღწევებით, ცნობილ ადამიანებთან პირადი კავშირებით და ა.შ. აგრეთვე, პოლიტიკოსები, ტრაბახისას, სათქმელის მეტი ექსპრესიულობისთვის მიმართავენ **პირველი პირის ნაცვალსახელების** „მე“, „ჩვენ“, „I“, „We“ ან რომელიმე ერთი, შინაარსობრივად დატვირთული სიტყვის რამდენჯერმე გამოყენებას. **არაპირდაპირი/შეფარვითი** ფორმით ტრაბახიც არანაკლებ პოპულარულია ქართულ და ინგლისურენოვან გამოსვლებში, როცა მეტყველი სუბიექტი სხვათა (თანაგუნდელების, პარტიის, მოქმედი ხელისუფლების, კოლეგების) წარმატების ან სულაც კონკურენტების დაკნინების ფონზე ცდილობს თავის წარმოჩენას.

ლიტერატურა:

1. კირვალიძე ნ., პოლიტიკური დისკურსი, როგორც ინტერდისციპლინური და ინტერპარადიგმული კვლევის საგანი, 2010.
2. ჭურჭელაური ბ., მუქარის გამოხატვის პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური თავისებურებები ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის პროცესში, 2020.
3. Levelt W., A History of Psycholinguistics: The Pre-Chomskyan Era, 2013.
4. You Call It “Self-Exuberance”; I Call It “Bragging”: Miscalibrated Predictions of Emotional Responses to Self-Promotion – Psychological Science, 2015.
5. The psychology of bragging, 2019, Counselling Connection.
6. Sezer O., Gino F., Norton M. I., Humblebragging: A Distinct – and Ineffective – Self-Presentation Strategy, 2015.
7. Speech Acts Classifications by Searle, 2018, Cultural Reader.

Kristine Tophuria

Bragging as a psycholinguistic phenomenon and its manifestation in political discourse

Summary

Bragging is a complicated psycholinguistic phenomenon expressing psycho-emotional condition of the speaker, which is materialized on verbal level. It represents the type of speech acts, furnishes political rhetoric with more expressiveness and is very actively used by politicians to manage and manipulate the recipients of the message, to gain or maintain political power.

Mainly, direct and indirect bragging forms are common in political discourse. Politicians, as well as ordinary people, boast either ostensibly or in camouflaged way about their special skills, successful social status, thriving career, tight links with famous people or motherland’s prosperity.

Кристине Топуриа
*Хвастовство как психолингвистический феномен и его
проявление в политическом дискурсе*
Резюме

Хвастовство сложное психолингвистическое явление, выражающее психоэмоциональное состояние говорящего, которое материализуется на словесном уровне. Хвастовство представляет тип речевых актов, придает выразительность политической риторике, очень активно используется политиками для управления/манипулирования аудитории, для получения или сохранения политической власти.

В основном, прямые и косвенные формы хвастовства распространены в политическом дискурсе. Политики, как и обычные люди, хвастаются своими особыми навыками, успешным социальным статусом, процветающей карьерой, связями с известными людьми или процветанием Родины.

основе реальной европейской безопасности, но и, самое главное, независимым курсом внешней политики Азербайджана.

Политическая и военная самодостаточность Азербайджана, играющего самостоятельную роль в мировой экономике, позволяют стране объективно рассчитывать на экономическое процветание самостоятельно, не предполагая включения в состав в ЕС, а развивая стратегическое партнерство с Евросоюзом. Анализируя возможности развития сотрудничества Азербайджана и ЕС в контексте новой архитектуры европейской безопасности, следует учесть, что перспективы плотного взаимодействия с объединенной Европой не обязательно лежат на пути ассоциативного членства, тем более, что критерии «идентификации» необходимых условий для вхождения в ЕС признаются международными экспертами расплывчатыми, а связи с последним мировым кризисом, они вообще становятся аморфными [12, 130]. Возможность стратегического сотрудничества с Евросоюзом и стремление к полноправному с ним партнерству, на которые указал Президент Ильхам Алиев на Давосском саммите 2014 г., отвечают интересам обеих сторон. «Я считаю, что уровень взаимоотношений между Азербайджаном и Евросоюзом, – отмечал Президент Ильхам Алиев, – наверное, требует более высокой формы сотрудничества, чем ассоциация. Азербайджан – страна самодостаточная во всех смыслах, и в политическом, и в экономическом. В любой интеграционный процесс надо идти, чтобы получить дополнительные преференции» [1].

В традиционной ментальности азербайджанского народа Европа предстает образцом демократического и гражданского развития, современной экономики и качества жизни, поэтому интеграция с ЕС воспринимается в массовом сознании как позитивный фактор успешного развития Азербайджана. Современный Азербайджан по своей культурной вариативности близок к европейским стандартам, «определяющихся не традиционными, религиозными, а светскими и рациональными представлениями» [24, 333]. Стандарты Евросоюза предъявляют требования не только к легитимности власти, укреплению демократических процедур и функционированию независимых СМИ, но и к постоянному растущему уровню образованности людей, развитию предпринимательства, когнитивных, деловых и информационных технологий. «Интеграция Азербайджана в Европейский Союз проходит через улучшение их взаимоотношений, внутреннюю интеграцию и завершением демократической трансформации в соответствии с западными законодательными стандартами» [6, 600].

Отношения Азербайджана и ЕС строятся на основе соглашения о партнерстве и сотрудничестве, заключенного в 1996 году в Люксембурге и вступившего в силу в 1999 году. Под патронажем ЕС задействованы такие инструменты для утверждения на европейском континенте сотрудничества в сфере безопасности, как Восточное партнерство и Черноморская синергия.

Несмотря на отмеченные выше факторы, способствующие интеграции Азербайджана с ЕС, в контексте сотрудничества этих двух акторов в формировании новой архитектуры европейской безопасности есть определенные проблемы. Азербайджан в силу объективных причин, прежде всего, оккупации Арменией 20% своей территории, отдает приоритет военно-политическому измерению безопасности. В то время как для стран ЕС не актуальны «традиционные военные угрозы, такие как вооруженное вторжение или массированные бомбардировки» [18, 23], но их безопасность зависит от новых вызовов, среди которых доминирует энергетическая безопасность. В Европейской стратегии безопасности, принятой на саммите ЕС в Брюсселе в 2003г., особое место отведено «тенденциям развития мирового топливно-энергетического комплекса, который оказывает значительное влияние на развитие

отношений между странами не только на региональном уровне, но и в общемировом масштабе [4]. Азербайджан заинтересован в общеевропейской политической поддержке своего курса на справедливое решение Армяно-Азербайджанского Нагорно-Карабахского конфликта. «Азербайджан ожидает содействия Евросоюза в урегулировании нагорно-карабахского конфликта с соседней Арменией, считает американский политолог БШаффе, – и путь к безопасности и дальнейшему развитию Азербайджана лежит через сотрудничество с Европой» [28].

Роль ЕС в разрешении Армяно-Азербайджанского Нагорно-Карабахского конфликта неоднозначна по многим причинам. Во-первых, данный конфликт входит в зону ответственности ОБСЕ через деятельность ее Минской группы, созданной в мае 1992 года, и Группы планирования высокого уровня (GPHL), функционирующей с марта 1995г. [22]. На протяжении длительного времени Евросоюз ограничивался выражением поддержки переговорного процесса, организуемого Минской группой, однако не видел своей роли как посредника в урегулировании конфликта. В последние 6 лет «специальные представители ЕС по Южному Кавказу заявляют, что ЕС хотел бы играть более решающую роль в поисках решения Нагорно-Карабахского конфликта» [23, 88]. Для Азербайджана крайне важно, что Европейский Союз в параметрах своего мягкого понимания безопасности обладает важнейшим гражданским инструментарием постконфликтного восстановления. Многие европейские аналитики считают, что именно Евросоюз может сыграть столь необходимую для Азербайджана роль нейтрального посредника, и более того предоставить миротворческий контингент для контролирования буферной зоны, чтобы вернуть в места своего постоянного проживания временноперемещенных лиц [5].

Во-вторых, действия ЕС строго регламентируются Европейской политикой добрососедства (ENP), покрывающей весь Южный Кавказ. Планы отдельных стран отличаются друг от друга в зависимости от того, какие приоритеты были согласованы их правительствами с ЕС, тем не менее, все планы включают ряд общих принципов, а также компоненты, относящиеся к охране окружающей среды, энергетике, научным исследованиям и развитию. Азербайджану удалось сразу поставить условие, что ЕС отказывается от развертывание любых проектов на территории Нагорно-Карабаха. В 2010 году, во время подготовки программы «Восточное Партнерство», Азербайджан и Армения обязались взаимно признать территориальную целостность друг друга, что означало признание Арменией Нагорного Карабаха в качестве азербайджанской территории. В 2012 году ЕС заменил это условие на обязательство сторон урегулировать карабахский конфликт на основе Обновленных Мадридских Принципов (ОМП) [12, 89], которые «в целом отражают позицию Азербайджана по восстановлению территориальной целостности и возвращению вынужденных переселенцев в места постоянного проживания» [2].

Среди основных угроз безопасности Европейский союз выделяет возможность взрыва радикального сепаратизма, который, как верно отмечает немецкий специалист в сфере политического консалтинга И. Зонтаг, «легко находит общий язык с терроризмом, так как эти две сущности переплетены между собой» [12, 102].

Наша страна уже двадцать пять лет знает на практике Армяно-Азербайджанского Нагорно-Карабахского конфликта все ужасы сепаратизма и сопутствующему ему терроризма. Фонд Гейдара Алиева инициировал сотрудничество с ЕС по поддержке жертв террора и вошел в Международный Конгресс, посвященного жертвам террора – авторитетную общественно-политическую коалицию, партнером которой выступает Европейская

комиссия. Фонд Гейдара Алиева помог нашим соотечественникам – жертвам армянского терроризма создать азербайджанскую национальную ассоциацию и оплатил поездку ее членов для участия в Международном конгрессе жертв террора. Выступая на открытии 7-го Международного Конгресса, Первая леди Азербайджана М. Алиева напомнила, что буквально после 11 сентября Азербайджан стал активным членом коалиции сил, борющихся против «политической чумы» XX-го века, приобретающей в новом тысячелетии еще больший размах и масштабы. «Несмотря на все усилия на международном уровне, угроза терроризма остается высокой, – подчеркнула М. Алиева. – К сожалению, Азербайджан также не спасся от этой беды, после восстановления независимости в 1991 году наша страна подверглась военной агрессии и внешней оккупации. В нашей стране было совершено более 30 террористических актов, в результате которых было убито свыше 2000 наших соотечественников» [3, 1]. Следовательно, в направлении борьбы с терроризмом, возможно, как нам представляется, более тесное сотрудничество между Европейским союзом и Азербайджаном, которое будет способствовать развитию новой архитектуры европейской безопасности.

Развитие такого сотрудничества в формировании европейской безопасности соответствует стратегии Евросоюза, признающего «терроризм как новую форму войны, неотделимую от определенных несправедливостей или страданий, которые проявляются и усугубляются от разнообразия крайностей насилия совершенного по отношению к другим» [7, 24]. В этом же направлении общие усилия должны быть направлены на противодействие и финансированию терроризма, в частности, армянского, хорошо подпитываемого не только диаспорой, но и многими международными организациями.

Политическим фактором, инициирующим сближение по линии Азербайджан – Европейский Союз, выступает европейская энергетическая политика как важнейшая экономическая проблема, ставшая звеном архитектуры безопасности Европы. Для Азербайджана энергетический диалог с ЕС – это способ привлечения инвестиций и создания благоприятных условий для быстрого решения проблемы Нагорно-Карабахского конфликта. Для Евросоюза эффективный энергетический диалог – это возможность доступа к азербайджанским энергоресурсам для диверсификации импорта углеводородов и повышения надежности энергоснабжения ЕС. Таким образом, стратегическое партнерство ЕС-Азербайджан в области энергетики отражает глубокую взаимную заинтересованность обеих сторон.

Энергетика является самым сложным и уязвимым моментом не только в социально-экономическом развитии ЕС, но и ставит под угрозу всю архитектуру европейской безопасности. С середины первого десятилетия двадцать первого века ЕС увязывает свою энергетическую политику, совмещающую внешние и внутренние измерения, с общей внешней политикой и политикой безопасности, потому что, как показывают переломные изменения на мировом энергетическом рынке, без гарантированной поставки углеводородов невозможна новая архитектура всей европейской безопасности. Тем более, что наступающий в мире энергокризис со всей очевидностью уже проявляется в экономиках стран-партнеров ЕС. На заседании Европейского Совета в Брюсселе в марте 2006 г было отмечено, что «ситуация, в которой развивается Европа, характеризуется высокими ценами на энергоносители и необходимостью принятия мер по обеспечению энергетической безопасности» [25].

Европейская комиссия в январе 2007 г. определила, что именно энергия становится самым главным для функционирования Европы. «Но время дешевой энергии для Европы, кажется, прошло. Все государства-члены ЕС сталкиваются с ростом зависимости от импорта и более высокими ценами на энергоносители» [18]. Более того, Еврокомиссия определила энергетику центральным звеном всех внешних отношений Евросоюза, признав согласованность энергетической политики ключевым вопросом европейской геополитической безопасности.

Проблемы энергетики признаются центральными во внешнеполитической повестки дня Евросоюза. Законодательное закрепление и официальное начало общей энергетической политики Европейского союза было положено подписанием в 2007 г. и вступлением в силу в 2009 г. Договора о реформе (Лиссабонского договора), статья 194 которого определяет цели энергетической политики: обеспечить функционирование энергетического рынка; гарантировать безопасность поставок энергоносителей в Европейский Союз [27]. Азербайджан выразил свое стремление активно участвовать в укреплении глобальной энергетической безопасности, поддерживать дальнейшие усилия по выявлению новых источников углеводородных ресурсов. Прошедший в Баку в марте 2007г. Саммит ГУАМ, получивший название «Бакинская инициатива» определил пути стабильности и интеграционных процессов в каспийско-черноморском регионе. Шерр Джеймс, консультант Высшей исследовательско-аналитической группы Академии Оборона Великобритании, считает самым важным аспектом данного Саммита «решение Азербайджана бросить вызов России, оказать помощь Грузии и продолжить реализацию проектов, которые помогут связать Европу с газовыми и нефтяными месторождениями Каспийского, Южно-Кавказского и Черноморского регионов» [16].

Еврокомиссия подчеркивает важность энергетического диалога «инициатива Баку» в регионе Черного моря и Каспийского моря, который может подтолкнуть страны региона к решению общих проблем в сотрудничестве с Евросоюзом и увеличить поставки энергоносителей в Евросоюз из стран Каспийского региона и Центральной Азии. Таким образом, европейская внешняя энергетическая политика сопрягается с европейской безопасностью и должна скоординировать, по решению Еврокомиссии, единый общеевропейский подход, чтобы «Евросоюз, «говорящий одним голосом», играл более эффективную международную роль при решении общих проблем с энергетическими партнерами во всем мире» [26].

Устойчивость, конкурентоспособность и безопасность Евросоюза возможна только в условиях согласованной внешней энергетической политики. В современных условиях экономисты и политологи прогнозируют не конъюнктурный, вызванный политическими мотивами, энергокризис, как это было в 1974-1975 гг. [17], а объективно затяжной энергетический кризис глобализации, прежде всего, в силу его структурных составляющих, вызванных несоответствием предложений на рынках нефти и газа и растущим спросом на углеводородные ресурсы. Рост внимания к проблематике взаимозависимости энергетической европейской политики и архитектуры безопасности отмечается в докладах Парламентской Ассамблеи НАТО: «Энергетическая политика в значительной степени оказалась в центре современных дебатов о европейской стратегии безопасности» [21].

Евросоюз не скрывает своей растущей озабоченности энергетической безопасностью. Снижающееся производство энергоресурсов стран – членов ЕС ведет к тому, что к 2030 году до 75% нефти и газа Евросоюз должен будет экспортировать, причем импорт может осуществляться из ограниченного числа стран, для многих из которых существует угроза стабильности [10, 12]. Энергетический фактор достаточно часто используется для достиже-

ния политических целей, о чем свидетельствуют конфликты между Российской Федерацией, Украиной и Белоруссией как транзитными государствами. Стремление РФ закрепить за собой статус ведущего энергетического партнера ЕС вызывает в Евросоюзе обоснованные опасения. На основании разработанной ЕС стратегии «Энергетика 2020», принятой в ноябре 2010, а также принятых 4 февраля 2011 г. решений Европейского совета энергетическая политика Евросоюза направлена на диверсификацию поставок энергоносителей с целью снижения зависимости от России [11]. Западные аналитики предлагают Евросоюзу даже заключить пакт о коллективной энергетической безопасности, по условиям которого его участники будут оказывать поддержку друг другу в период кризисов [20].

В этих условиях возрастает значимость Азербайджана как стратегического партнера ЕС. «Азербайджан готов сыграть свою роль в обеспечении Европы нефтью и газом. Азербайджан является для Европы надежным партнером, – отмечает президент Фонда Гейдара Алиева, депутат Милли Меджлиса Мехрибан Алиева. – Наш подход к вопросу энергетической безопасности состоит в том, что энергоресурсы должны не разъединять, а соединять страны и народы. Энергоресурсы должны служить не конкуренции или столкновениям, а региональному и международному сотрудничеству. Интересы поставщиков, стран-транзитеров и потребителей должны совпадать и, прежде всего, вести к прогнозированию и взаимной выгоде. Как и в снабжении, так в транзите мы являемся надежной страной» [3]. Энергобезопасность снабжения для стран ЕС логична должна компенсироваться безопасностью для стран-производителей энергии.

Азербайджан продемонстрировал, что может предоставлять Европейскому союзу гарантированные энергоресурсы, снимающие его зависимость от российских поставок. И хотя на Азербайджан оказывается давление, правительство страны, в отличие от Украины, смогло предотвратить российское вмешательство в соглашение по «Шахденизу». «В отношении Азербайджана были попытки, аналогичные Украине, – считает американский эксперт, – в России прошла волна массового выдворения азербайджанских мигрантов; антиазербайджанские настроения подхватили и российские СМИ. Стойкость Азербайджана в этом отношении является результатом многолетней европейской и американской дипломатии» [28]. В преддверии подписания контракта в Баку ЕС заблокировал соглашение с РФ по проекту газопровода «Южный поток». Энергобезопасность ЕС во многом зависит от безопасности Азербайджана как производителя энергии, поскольку спрос и предложение энергоресурсов в условиях глобализации взаимосвязаны. Необходимо учесть, что в западной политической практике понятие энергетическая безопасность предполагает «гарантию поставок энергоносителей за счет формирования страной-потребителем требуемых политических и экономических правил игры для стран-поставщиков, или же создание для стран-поставщиков энергоресурсов определенных внешнеэкономических, политических и других условий» [15]. В случае с Азербайджаном, таким условием, как нам представляется, должно быть объективное решение Армяно – Азербайджанского Нагорно-Карабахского конфликта.

Выстраивание ЕС долгосрочных, конструктивных и взаимовыгодных отношений с внешними поставщиками энергии выступает важнейшим направлением сохранения европейской безопасности, соответственно сближение Евросоюза с Азербайджаном представляется безальтернативным вариантом развития событий в глобализирующемся мире. В целом, на наш взгляд, динамика развития взаимодействия ЕС и Азербайджана в сфере архитектуры европейской безопасности могла быть более активной, хотя бы потому, что обе стороны неоднократно проявляли способность находить компромиссы по сложным воп-

росам. В настоящее время представляется необходимым наращивать опыт практической кооперации и правовую основу взаимодействия Азербайджана и Европейского союза в формировании новой архитектуры европейской безопасности.

Литература:

1. Алиев И., Более высокая форма сотрудничества, чем ассоциация. Интервью в Давосе. 24.01. 2014. <http://ru.president.az/>
2. Алиев И., Интервью азербайджанским журналистам в Стамбуле. 8.06.2010. <http://ru.president.az/news/interviews?page=2>
3. Алиева М., Азербайджан обеспечил свою энергетическую безопасность и вносит вклад в энергетическую безопасность стран-партнеров. Газ. Эхо. 17 сентября, 2011.
4. Безопасная Европа в мире, который должен стать лучше. <http://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/031208ESSIRU.pdf>.
5. Возможность ЕС использовать энергетический потенциал каспийско-кавказского региона. <http://novosti.az/expert/20130821/299267024.html>
6. Гасанов А., Современные Международные отношения и внешняя политика Азербайджана. Баку, 2007.
7. Гранпьерьеу Катрин. Евразия: Перспективы и геополитические вопросы l'Harmattan. Paris, 2012.
8. Глава МИД Армении предложил разработать Договор о европейской безопасности, 29/06/2009. <http://www.armtown.com/news/ru/pan/2009062>
9. Договор о Европейской безопасности: импульс к развитию отношений России и Европы. <http://rush.selyam.net/docs/300/index-62491.html?page=34>
10. Европейская Стратегия Безопасности – Безопасная Европа в лучшем мире. Люксембург: Бюро официальных публикаций Европейских Сообществ, 2009.
11. Энергетическая безопасность ЕС – новые подходы. <http://www.ensec.org/collective-energy-security-a-new-approach> Date of access: 09.01.2014.
12. Реконструкция Европы: конкуренция, безопасность, экспансия. М. 2010. Институт посткризисного мира.
13. Саргсян поддержал инициативу Медведева по Договору о евробезопасности, 20/08/2010. <http://ria.ru/politics/20100820/267212257>
14. Слуцкий Л., Присоединиться к Таможенному Союзу или нет – выбор Ильхама Алиева [//www.vesti.az/news/191172](http://www.vesti.az/news/191172)
15. Турсунов К.В., Региональная энергетическая безопасность. Механизмы реализации на примере Европейского союза. // Экономика и управление/ под.ред. А.Е. Карлика. Ч.3. СПб.: Изд-во СПбГУЭФ. 2011.
16. Шерр Дж., Угроза энергетической безопасности, долгожданный ответ Евросоюза. http://gazeta.zn.ua/ARCHIVE/ugroza_energeticheskoy_
17. Barsky R. & Kilian L., Oil and the Macroeconomy since the 1970s. The Journal of Economic Perspectives 18 (4), 2004.
18. Buzan B., Waever O., Regions and Powers. The Structure of International Security New York: Cambridge University Press, 2003.
19. Communication from the Commission to the European Council and the European Parliament: An Energy Policy for Europe, SEC(2007)12, BrusselsCOM(2007). http://ec.europa.eu/energy/energy_policy/doc/01_energy_policy_for_europe_en.pdf.

20. Doran P. B., Collective Energy Security: The New Approach for Europe / The Journal of Energy Security. <http://www.ensec.org/> 19 February 2014.
21. Energy Security. Draft General Report. Rapporteur Jos van Gennip (Netherlands). NATO Parliamentary Assembly, Doc. 064 ESC 06 E. April 4, 2006.
22. High-Level Planning Group. <http://www.osce.org/hlpg>
23. Haas Marcel de Geostrategy in the South Caucasus; Power play and energy security of states and organisations. Clingendael Institute, P.O. Box 93080, 2509 AB The Hague, The Netherlands 2006,
24. Inglehart Ronald, Welzel Christian, Modernization, Cultural Change, and Democracy The Human Development Sequence 2005. Cambridge University Press New York.
25. Presidency Conclusions, Brussels European Council, 23/24 March 2006, 7775/1/06, REV. <http://www.consilium.europa.eu/ue/en/ec/89013>.
26. To speak with the same voice. Communication Green Paper. A European Strategy for Sustainable, Competitive and Secure Energy, COM (2006) 105 final of 08.03.2006. http://ec.europa.eu/energy/green-paper-energy/doc/2006_
27. Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community, signed at Lisbon, 13 December 2007. <http://eur-lex.europa.eu/> Date of access: 19.01.2014.
28. Shaffe Brenda... The gas policy after events in Ukraine. Azerbaijan, Shah Deniz, and Europe's Newest Energy Partner Foreign Affairs. December 17, 2013. <http://www.foreignaffairs.com/articles/140569/brenda-shaffer>

სურა ჰუსეინოვა

ევროკავშირისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის თანამშრომლობის პრობლემები ევროპული უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის ფორმირებაში რეზიუმე

ევროკავშირის გრძელვადიანი, კონსტრუქციული და მომგებიანი ურთიერთობები გარე ენერგომიმწოდებლებთან წარმოადგენს ევროკავშირის უსაფრთხოების მთავარ დანიშნულებას. შესაბამისად, ევროკავშირისა და აზერბაიჯანის გლობალიზებულ სამყაროში დაახლოება განვითარების ერთადერთ გზას წარმოადგენს. ზოგადად, მიიჩნევა, რომ ევროკავშირისა და აზერბაიჯანის შორის ურთიერთქმედების დინამიკა ევროკავშირის უსაფრთხოების არქიტექტურის სფეროში უფრო აქტიური უნდა იყოს, მხოლოდ იმიტომ, რომ ორივე მხარემ არაერთხელ გამოავლინა რთულ საკითხებზე კომპრომისზე წასვლის უნარი. ევროკავშირის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის ჩამოყალიბებაში აუცილებელია აზერბაიჯანისა და ევროკავშირის პრაქტიკული თანამშრომლობის გამოცდილებისა და ურთიერთთანამშრომლობის სამართლებრივი ჩარჩოების გათვალისწინება.

Sura Huseynova

***The issues on cooperation between the European Union and the Republic of Azerbaijan
in the formation of new European Security architecture***

Summary

The long-term, constructive and mutually beneficial relations of the EU with external suppliers of energy conservation is the most important destination for the European Security, and respectively convergence between the EU and Azerbaijan seems the only option for the developments in the globalized world. In general, we consider that, the dynamics of interaction between the EU and Azerbaijan in the field of European security architecture could be more active, if only because both sides have repeatedly demonstrated the ability to find compromises on difficult issues. Currently, it seems necessary to build on the experience of practical cooperation and interaction of the legal framework of Azerbaijan and the European Union in shaping new European Security architecture.

მერი ჭანტურია
(საქართველო)

**პიროვნებათა ინტერაქციისა და მათი სოციალური
აქტიურობის ურთიერთმიმართების საკითხისათვის**

ადამიანისათვის სინამდვილე, როგორც ცნობილია, მოთხოვნილებით იწყება. მოთხოვნილებები მრავალფეროვანია. მათ ორ სახედ ყოფენ: ბიო-ფიზიოლოგიურ ანუ მატერიალურ და სოციალურ მოთხოვნილებებად. მოთხოვნილებათა უამრავი განსაზღვრებაა ცნობილი როგორც ფსიქოლოგიაში, ასევე ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში. კერძოდ, სოციალურ ფილოსოფიაში მოთხოვნილება განმარტებულია შემდეგნაირად: „მოთხოვნილება გულისხმობს ინდივიდის საჭიროებას იმაზე, რაც აუცილებელია ორგანიზმის ცხოველუნარიანობის შესანარჩუნებლად და მისი პიროვნების განვითარებისათვის“ [1, 439]. სოციალური მოთხოვნილება – ეს არის საზოგადოებისა და პიროვნების ცხოვრების რეალური მომენტი, რომელიც წარმოადგენს ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობას და გამოდის როგორც ინდივიდუალური და საზოგადოებრივი (ჯგუფური) ცნობიერების სპეციფიკური ფორმა. ადამიანთა მოთხოვნილებებს აქვს სოციალურად გაპირობებული ბუნება, რომელიც წარმოადგენს მისი, როგორც სოციოლოგიური მოვლენის საფუძველს.

მოთხოვნილება როგორც სუბიექტის გარკვეული მიმართება მოთხოვნილების საგნისადმი, აისახება მის ცნობიერებაში ინტერესის სახით. ინტერესი ობიექტურად არსებული მოთხოვნილებების სუბიექტური გამოხატულება, მისი სახეა. ინტერესის შინაარსი არის მოთხოვნილების შინაარსის ადეკვატური. სოციალური ფილოსოფიის თვალსაზრისით, ინტერესი შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგნაირად: ინტერესი არის სუბიექტის გაცნობიერებული მიმართება სოციალურად განსაზღვრული საკუთარი არსებობის პირობებისადმი, მიმართება, რომლის მიზანია ამ პირობების შენარჩუნება ან დაუფლება, სინამდვილის გარდაქმნა. ინტერესის არსებითი ნიშანია მისი მიმართულობა ამა თუ იმ ობიექტისადმი.

ადამიანები, როგორც წესი, მოქმედებენ გაცნობიერებული ინტერესების მიხედვით. საკუთარი ინტერესების გაგება მათ შესაძლებლობას აძლევს თავიანთი მოქმედება წარმართონ ამ ინტერესების განსახორციელებლად. სოციალური ინტერესი ახდენს პიროვნების მობილიზაციას მიზანდასახული მოქმედებისათვის, ე.ი. გარკვეული მიზნის მისაღწევად. ამის გამო ინტერესსა და მიზანს შორის კავშირი ძალიან მჭიდროა, რაც ზოგიერთ მკვლევარს საფუძველს აძლევს, რომ ისინი ერთმანეთთან გააიგივოს [2, 251]. მაგრამ ეს შეცდომაა. მისი თავიდან აცილების მიზნით საჭიროა აღინიშნოს ინტერესისა და მიზნის დიალექტის ზირითადი მომენტები.

ინტერესები იმიტომ თამაშობენ აქტიურ როლს ისტორიულ განვითარებაში, რომ მათი ფესვები ადამიანთა მატერიალური ცხოვრების პირობებშია, წარმოადგენენ საზოგადოების განვითარების ობიექტური ტენდენციების სუბიექტურ გამოხა-

ტულებას. ინტერესების ბუნების ასეთ გაგებაში ჩადებულია მათი ფუნქციების მეცნიერული ახსნის შესაძლებლობა. რამდენადაც სუბიექტს ობიექტურად აქვს გარკვეული თავისი ადგილი წაროების ურთიერთობებში, ამდენად, როგორც შედეგი, აქვს ის ინტერესებიც, რომლებიც გამოხატავენ მის მიმართებას საზოგადოების განვითარების შესაძლებლობებისა და ტენდენციებისადმი. და ყოველი სოციალური სუბიექტი, იქნება ის ინდივიდი, კლასი თუ მთელი საზოგადოება, თავისი ინტერესების შესაბამისად აქტიურად მონაწილეობს ისტორიული პროცესების დეტერმინაციაში. როცა მწიფდება ობიექტური პირობები ამა თუ იმ შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის, გადამწყვეტი როლი ამ მისიის განხორციელებაში ეკუთვნის ინტერესს და მის შესაბამის მოქმედებას. „საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა ხორციელდება მხოლოდ როგორც გარკვეული სოციალური სუბიექტის ინტერესების რეალიზაცია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისტორიული შესაძლებლობა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის იღებს ამა თუ იმ სოციალური სუბიექტის ინტერესის ფორმას. ეს ნიშნავს, რომ ადამიანთა ინტერესები წარმოადგენენ ობიექტური ისტორიული პროცესის ჯაჭვის შემადგენელ ერთ-ერთ რგოლს, რომელსაც თუ ამოვაგდებთ ამ ჯაჭვიდან, იგი გაწყდება“ [3, 327].

საზოგადოებრივი ადამიანის მოქმედების დეტერმინირებულობა ობიექტური კანონზომიერებებით, ყოველთვის გაშუალებულია მისი ინტერესებით. საზოგადოებაში არსებული ობიექტური შესაძლებლობებიდან თუ რომელი იქნება რეალიზებული, ამას განაპირობებს ინტერესი, ე.ი. სუბიექტის ინტერესები განსაზღვრავენ ისტორიული განვითარების მიმართულებასა და პროცესს. ინტერესისადმი მოქმედების დაქვემდებარება არ ნიშნავს ადამიანთა აქტიურობის დაპირისპირებას ობიექტური კანონებისადმი. ადამიანი ერევა და თავისი ინტერესების შესაბამისად ობიექტურ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში, მოქმედებს როგორც განვითარების პროცესის მიმართულების მიმცემი, ძალა და ფაქტორი.

ამრიგად, რომელი ისტორიული შესაძლებლობა იქცევა სინამდვილედ, ხოლო რომელი გავა სცენიდან, ეს დამოკიდებულია ადამიანთა ინტერესებსა და მათ ბრძოლაზე ამ ინტერესთა განხორციელებისათვის.

ინტერესთა როლი იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ისინი სწორად და სრულად გამოხატავენ ობიექტურ შესაძლებლობებს. ადამიანთა ინტერესები საზოგადოებრივ ცხოვრებაში თამაშობენ დიდ როლს, მაგრამ არ წარმოადგენენ საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერებისაგან მოწყვეტილ ფაქტორებს. ინტერესები თვით შედიან აუცილებელ რგოლად საზოგადოების განვითარების კანონზომიერებაში. ცხოვრების მატერიალური პირობები წარმოადგენენ ისტორიული განვითარების ობიექტურ საფუძველს, ხოლო მით განპირობებული ადამიანთა ინტერესები გამოდის მის მამოძრავებელ ძალად [4, 157].

რამდენადაც საზოგადოებაში სხვადასხვა ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფებს სხვადასხვა სტატუსი ან ადგილი და მდგომარეობა გააჩნიათ, მათი ინტერესებიც ურთიერთგანსხვავებულია. ამიტომაც საზოგადოებაში არსებობს როგორც გარკვეულ ინტერესთა ერთიანობა ანუ საერთო მიზნები, მათ გვერდით არსებობს აგრეთვე ინტერესთა ურთიერთდაპირისპირება, ზოგჯერ მათი ანტაგონიზმი.

საზოგადოებრივი მოქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი ან მათი ერთობა. მაგრამ არა ყოველი მონაწილე სოციალური პრაქტიკისა, არა ყო-

ველი ადამიანი არის სუბიექტი, არა ყოველდღიური, ჩვეულებრივი, არამედ წმინდა ფილოსოფიური გაგებით. „ადამიანს შეუძლია ითამაშოს ამა თუ იმ საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი, მაგრამ არ იყოს სუბიექტი. ინდივიდის ისტორიული პროცესის სუბიექტის როლამდე ამადლება მიმდინარეობს მისი აქტიური საქმიანობის შედეგად და იმის მიხედვით, არის თუ არა ის საზოგადოებრივად ღირებული ინტერესების მატარებელი“ [5, 231]. სწორედ ამ თვისებების გამო არის სუბიექტი ისტორიული პროცესების მამოძრავებელი ძალა. ადამიანური კომპონენტი მოქმედებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში როგორც სუბიექტი იმ ზომით, რა ზომითაც ის ცდილობს გარდაქმნას ეს ცხოვრება მისთვის იმანენტური ინტერესების შესაბამისად.

ყოველი პიროვნება ყოველთვის იძულებულია ანგარიში გაუწიოს იმათ ინტერესებს, ვისთანაც ის ეწევა საერთო საქმიანობას, ვისთანაც ურთიერთობაშია იგი. პიროვნების მოქმედება შეიძლება მიმართული იყოს ან მხოლოდ საკუთარი ინტერესების განხორციელებისაკენ, ან მახლობელი ადამიანის ინტერესების, ან კიდევ უცხო პიროვნების ინტერესების განხორციელებისაკენ, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება საშუალება იყოს საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად [6, 693].

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესების ობიექტურობა გადამწყვეტი სახით მოქმედებს არა მარტო ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, არამედ არსებითად განსაზღვრავს სუბიექტის სრულყოფას. ნებისმიერი სოციალური ინტერესი არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ პიროვნების ნება-სურვილზე, მაგრამ მათი რეალიზაცია უშუალოდ არის დაკავშირებული მათ ნებასა და შეგნებულ, მიზანდასახულ მოქმედებებთან.

წრის ორ-სამ სხდომაზე განაწილდეს. წრეობრივმა მუშაობამ არ უნდა მოსთხოვოს მოსწავლეებს იმდენი დრო, რომ ამ საქმიანობამ ძირითად სასწავლო პროცესზე უარყოფითად იმოქმედოს.

ამრიგად, უცხოურ ენაზე ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევების განსავითარებლად კლასგარეშე მუშაობისას მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი და საინტერესო სასაუბრო თემატიკის, მოსასმენი და წასაკითხი ტექსტების შერჩევა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესებისა და ენობრივი მომზადების გათვალისწინებით. გაკვეთილისგან განსხვავებით, ენობრივი წრის წევრები სავარჯიშოებს კი არ უნდა ასრულებდნენ, არამედ რეალურ ენობრივ კომუნიკაციაში უნდა იყვნენ ჩაბმული. ამდენად, სიტუაციური დიალოგები, როლების გათამაშება, დებატები, კონკურსები, რომლებიც საგაკვეთილო მეცადინეობისას შედარებით იშვიათად გამოიყენება, უცხოურ ენაში კლასგარეშე მუშაობის ძირითად შემოქმედებით ფორმებს წარმოადგენენ.

ლიტერატურა:

1. გიორგობიანი ლ., კახიშვილი ლ., მაცხონაშვილი გ., ქვლივიძე რ., უცხოური ენების სწავლების თეორია და მეთოდოლოგია. „ენა და კულტურა“, 2005.
2. Defelice W., Using Story Jokes for Real Communication. Forum. 1996, vol. 34, #2.
3. Edmundo, J. M. Using pictures creatively.-A forum Antology. Washington, D. C. 1989.
4. Gear J., Gear R., Puppetry in the ESL/EFL Classroom. A Forum Antology. Washington, D.C. 1989. Retrieved from <http://www.Frischmarionettes.com>
5. Snow D., From Language Learner to Language Teacher. An Introduction to Teaching English as a Foreign Language. TESOL. 2007.
6. Palioura, I. Using Simulations to Enhance Oral Competence.-Forum. 1996, vol. 34, #2.

Mzia Topuridze

The role of out-of-class activities in the process of formation of speaking skills in a foreign language

Summary

The article deals with the role and meaning of out-of-class activities in developing learners' foreign language (FL) speaking skills.

It is important to underline that enhancement of students' FL communication requires selection of appropriate teaching/learning activities. Out-of-class work must be based on interesting, motivating and innovative teaching strategies which improve student engagement in selecting teaching/learning material. When choosing activities, such factors as learners' interest and their language proficiency must be necessarily considered. Students should be provided with the kinds of practice they need to develop oral skills. Out-of-class speaking practice should include situational dialogues, role-plays, debates, competitions, and other creative activities, which simulate real communicative situations in the target language and which are not frequently used in class.

Мзия Топуридзе
***Роль внеклассной работы иностранного языка в процессе
формирования навыков устной речи***
Резюме

В данной работе рассмотрена роль активностей иностранного языка в процессе формирования навыков устной речи. Для развития иностранной устной речи важен разнообразный и интересный выбор тематики, учитывающий интерес учащихся. В выборе тематики обязательно должны принимать участие сами учащиеся, в основе выбора должен лежать лексический материал, пройденный на уроке. Они должны не только выполнять домашнее задание, но и быть вовлечены в реальную языковую коммуникацию. Такие виды коммуникации как ситуативные диалоги, ролевые игры, дебаты, конкурсы, которые в процессе обучения проводятся сравнительно редко, являются основной творческой формой внеклассной работы при изучении иностранного языка.

Gulnara Gorgiladze
(Georgia)

REAL, ROLE-PLAY, AND VIRTUAL EXCURSION AS AN EDUCATIONAL ACTIVITY

Introduction

Excursion as an educational activity is not new. Woods (1937) defended her master's thesis on the topic almost a century ago, although her thesis was just a library study. She analyzed the works of Comenius, Rousseau, Pestalozzi, Froebel, and Dewey to show that education should not be isolated from reality. This is exactly the major educational value of an excursion. Excursions permit to deepen and widen the knowledge received at school. Excursions are emotional, which makes them memorable, this is why pupils memorize the materials better. Learning by doing or experiential learning that is the theoretical basis of educational excursions is supported by Kolb (2014), as well as by Knot, Mak and Neil (2013).

While excursions are typical for primary and secondary education, they are not so widely in higher education, as they are viewed as sort of entertaining and distracting. In higher education they are mainly termed "field trips", however, the term is also sometimes used in connection with schools. School excursions may be of entertaining or educational character and belong to extracurricular activities rather than to curriculum, while field trips in higher education are usually part of curriculum, however, not many curriculums involve them (Bursztyn, Pederson, Shelton, Walker, & Campbell, 2015). Besides, excursion may last from a few hours to a few days, while a field trip is normally longer. Otherwise, the terms are used more or less synonymously.

Whichever type of excursions/field trips, they occur in a low-stress environment, which helps students be themselves. On the other hand, as Cram (2004) claims, field trips are a crucial part of science learning, which enables students to find, evaluate, and appreciate what they have learned in class in a real context. This enhances higher-order thinking skills. According to Forest and Rayne (2009), field trips have long-term impacts on cognitive, social, and cultural understanding.

According to Ilovan et al. (2019), geographic field trips are applicable in higher education, Short and Lloyd (2017) studied the impact of field trips on teaching psychology (visiting concentration camps to better understand their prisoners' emotions), Chan (2012) stated that for engineering students field trips help to develop students' understanding of environmental impacts of industry, etc. Practically any sphere of higher education can benefit from field trips. Djonko-Moore and Joseph (2016) emphasize that students across various majors value field trips as authentic activities, useful for their future profession. As these studies have shown, the educational value of field trips on any level cannot be denied. However, due to the fact that the situation during the excursion may be quite relaxed, not all pupils/students may benefit from it. To make an educational excursion/field trip really beneficial, some preliminary and follow-up activities such as discussions, pre- and post-excursion multiple-choice quizzes, student projects and presentations [15, 50] are needed.

"An educational excursion may be defined in general terms as that type of school activity which takes pupils under the leadership of the teacher away from the school to a more or less remote place to study an object, an activity, or an institution that relates to an interest engaging the attention of the school at the time" [6, 37]. While in the pre-industrial time geography, history and

biology excursions took place mostly in the nature, with the development of industry, excursions to plants and factories, besides observation and study functions, acquired the function of professional orientation [9]. Nowadays, excursions to virtual museums have widened the possibilities of this educational activity. Pupils can “attend” any events (or their reconstructions), institutions, and businesses not only locally, but also worldwide. Educational technologies permit people to “visit” other places without leaving the classroom, however, this activity can only conditionally be called an excursion, as it kind of takes students beyond the classroom walls without leaving the school building.

Haris and Osman (2015) define a virtual field trip as “a computer-aided module of science developed to study” [7, 102] a particular question, such as the colonization and succession in Mangrove Swamps. Pierantozzi (2007) mentions that these “trips” use high technology rather as a means of exploration than just a means of presentation, as they combine multiple resources from which students can make a choice on their own. Thus, compared to a more or less passive real excursion (watching the nature, excavations, listening to the guide), virtual excursions can be interactive. Besides, with large enrollments and increasing costs, real field trips are becoming expensive, they are time-consuming and not easy to organize, this is why virtual field “trips” are quite attractive [1, 93-100].

If a school excursion, besides supporting the theoretical knowledge acquired at school, makes the learning more visual, motivational and health-giving, as well as develops some team work features, field trips in higher education enable students to be involved in research, collect data for it. As early as in 1852, professor K.V. Stoy from Jena Teacher Training College already practiced excursions to prepare teachers to use this activity in their educational practice [16, 14].

Excursions as a way to enhance target language learning by higher education students

In target language learning, field trips to the country where the language is spoken as a native one are normally used in order to practice the language in the relevant environment, to improve the attitude to the language and the target culture, to see how the language is really used, to apply the language for communication with native speakers, and to increase students’ self-confidence while practically using the target language [14, 113-120]. However, such trips are costly, time-consuming and require a visa, with a lot of organizational issues (reserving hotels, etc.), so not all students / institutions can afford them.

There are some ESP spheres where an excursion (real and virtual) should be a natural language learning and at the same time professional activity: English for Tourism and Hospitality [17, 86-94], for History, Archaeology, Literature, Culture, and Art [12, 1-18]. Students of English for Tourism and Hospitality need English as a *lingua franca* for the use with international tourists both at home and abroad. Excursions are an essential part of tourism, so touristic guides should be fluent in English. This fluency may be acquired not only through trips to the target country (which, as already mentioned, involves some inconveniences), but also through holding excursions to international tourist at home or through role-playing a guide to one’s group members (“foreigners”) during the excursion. A historian often has to work as a guide, as most visited sites have historic value. An art critic also should be able to hold excursions in art museums. So, the ability to lead an excursion in both native and foreign languages is part of these specialists’ professional qualification. Even when they do not work as guides, they are normally expected to serve as such during the sightseeing.

There are many museums and sites dealing with history, literature and art in cities, which can be the target of these excursions. Georgia, with its rich history and culture, has so many places to organize excursions for students of these specialties in order to:

- deepen students' professional knowledge and skills,
- link theoretical and practical knowledge with each other,
- visualize the materials under study,
- motivate professional and English study,
- help students memorize factual materials and vocabulary on the topic under study (due to visualization and motivation),
- stimulate independent study (preparation for the "excursion"),
- and practice their speaking ("the guide") and listening ("the tourists") skills.

As in order to hold an excursion instead of a traditional class, the lecturer needs to get a permission from administration, to warn students not to be late, to have ticket money with them, and the "guide" / "guides" to be ready to perform the role in front of their friends (first) and international tourists (later, after they feel confident enough in these shoes), also some timetable rearrangement has to take place, so it cannot occur too often. Therefore, virtual excursions may take place more often, however, they also often need to be prepared for beforehand, while sometimes may be spontaneous, if students know enough to hold them.

What this paper suggests is using student-lead local city/site excursions of short duration (1-1.5 hours), such as museum tour, city tour, tour to a nearby site with real international tourists as participants upon agreement with museum administration and/or a touristic agency and virtual "excursions" to any part of the world (with the help of slides, video or virtual museums) also held by students as "guides" and "tourists". It also recommends holding virtual excursions within the class, visiting world-famous or just remote museums.

Research method

An action research, accompanied by a pre- and post-testing and an opinion post-questionnaire was held. No experimental/control groups were used, which does not let us speak of an experiment necessary for objective results. Also, the modest scale of research (two groups – in tourism and in arts) held for five weeks in just one higher education institution in Batumi, Georgia does not let us generalize the results, but only permits to speak of a certain efficiency of the suggested approach.

The freshmen participating in the research had English classes once a week, for two hours. There were 16 students in each group. In the first week in both groups a conventional (no-excursion) class was held, but the topic coincided with the next four weeks, and had to prepare the students for the new approach. The teacher explained the terminology and the professional information needed for the topic. At the end of the class the students were asked to prepare excursion-like group presentations (each student was a "guide" for about 5 minutes). They had to find the materials and to make up slides. So, in the second week these excursions-presentations were conducted. In the third week, the students were given the topic and were warned that they would have to "guide" an excursion to a virtual museum. Again, each student was in the "guide's" shoes for a few minutes. In the fourth week, each student led the peers in the museum in their city for about ten minutes. While one student lead the excursion, others were "tourists" and had to ask questions. In the last week the most successful and the bravest students were permitted to lead a real group of international tourists. Short notes from the teacher who attended all excursions were

given to the students, to help them perform better next time, but no formal assessment was done, to avoid stress. The assessment was done after the first and the fifth weeks. Table 1 presents the testing results. Means and standard deviations were calculated with SPSS 21 software.

Table 1. Students’ pre-and post-test results in professional knowledge and English

	Tourism group		Art group	
	Pre-test mean results	Post-test mean results	Pre-test mean results	Post-test mean results
Vocabulary knowledge (written test, gap-filling, out of 20 points)	11.3	14.2	10.8	14.2
Speaking test (oral assessment, question-answers on the topic, out of 20 points)	9.7	11.5	9.9	12.3
Professional knowledge test (written, multiple choice tasks, out of 30 points)	22.5	24.1	21.9	23.0
Total points (out of 70 possible)	43.5	49.8	42.6	49.50
Standard deviation	3.7	3.1	4.0	3.4

It is easy to see that the mean results of each test increased in both groups towards the end of the treatment (43.5→49.9 and 42.6→49.50), however, part of the reason would be going on working on the topic and the materials. The standard deviations are reasonable and decreasing towards the end of the intervention, so it means that the knowledge level in both groups was homogeneous enough and became more homogeneous after the intervention. This means that the treatment was quite equally efficient for all students. Tables 2 and 3 reveal whether the differences between the initial and final knowledge levels in both groups are statistically significant (results obtained via SPSS 21).

Table 2. Significance of group 1 results

One-sample statistics

	#	mean	st. dev.	st. error mean
Group 1	2	46.65	4.45477	3.15000

One-sample T-test

Group 1	test value=0				
	t	df	sig (2-tailed)	mean difference	95% confidence interval of the difference
	14.810	1	0.043	46.65000	lower 6.6255 upper 86.6745

Table 3. Significance of group 2 results

One-sample statistics

	#	mean	st. dev.	st. error mean
Group 2	2	46.0500	4.87904	3.45000

One-sample T-test

Group 2	test value=0				
	t	df	sig (2-tailed)	mean difference	95% confidence interval of the difference
	13.348	1	0.048	46.05000	lower 2.2136

The significance of difference in both groups is below 0.05 (0.043 and 0.048, respectively), which means that the increase of results in both groups is statistically significant.

The questionnaire had to contribute to understanding whether the excursion activity really benefitted students' language and professional knowledge. The students had to assess the given items in a Likert scale (1 – totally disagree, 2 – partially disagree, 3 – neither agree, nor disagree, 4 – mostly agree, 5 – completely disagree). Tables 4 and 5 present the questionnaire results.

Table 4. Questionnaire results in tourism group

Items	1	2	3	4	5
1. You have had such classes with excursions at school or at university.	19%	44%	13%	25%	0
2. You liked the classes (out of 4 students).	0	0	0	25%	75%
3. During the research, you had difficulties with the classes, compared with your previous experience.	44%	13%	19%	25%	0
4. You would like to have more such classes.	0	19%	13%	31%	38%
5. You prefer traditional classes.	63%	13%	13%	6%	6%
6. Excursions helped you enrich your vocabulary.	0	0	25%	31%	44%
7. Excursions helped you develop speaking skills.	0	0	6%	44%	50%
8. Excursions were professionally useless for you.	38%	44%	6%	13%	0

Table 5. Questionnaire results in arts group

Items	1	2	3	4	5
1. You have had such classes with	50%	0%	13%	31%	0

excursions at school or at university.					
2. You liked the classes (out of 5 students).	0	0	20%	0	80%
3. During the research, you had difficulties with the classes, compared with your previous experience.	63%	25%	13%	0	0
4. You would like to have more such classes.	0	13%	6%	38%	44%
5. You prefer traditional classes.	56%	25%	13%	6%	0
6. Excursions helped you enrich your vocabulary.	0	0	19%	38%	44%
7. Excursions helped you develop speaking skills.	0	0	13%	38%	50%
8. Excursions were professionally useless for you.	56%	25%	6%	6%	6%

Few students from both groups have had excursions in their English classes either at school or at the university (25% and 31%, respectively). But the majority of those who had them, liked them (75% and 80%, respectively). Few students had problems with the tested approach (25% and 0%, respectively). The majority of the students (69% and 82%, respectively) would like to have more such classes. Only a few students (12% and 6%, respectively) prefer traditional classes the excursions. The majority of the students stated that excursions helped them enrich their vocabulary (75% and 82%, respectively) and develop their speaking skills (94% and 88%, respectively). Only a few (0% and 6%, respectively) believe that excursions were useless for them professionally. Thus, the majority of the respondents positively assessed excursions, so they can be recommended for more active application.

Conclusions

Both literature review and the conducted research reveal that excursions are useful in higher education. The financial and organizational limitations enable the author to recommend to applying virtual excursions more actively which can be held in class. However, for teaching the foreign/second language, short (1-1.5 hours) student-led excursions, both real (with foreign tourists) and role-play (with their group mates as “tourists” can be highly recommended for teaching English to tourism, history, archaeology, literature, culture, and art students. They not only develop students’ language skills (especially, vocabulary and speaking), but also enhance their professionally essential skills – the ability to hold excursions.

Literature:

1. Bursztyn N., Pederson J., Shelton B., Walker A. & Campbell T., Utilizing geo-referenced mobile game technology for universally accessible virtual geology field trips. *International Journal of Education in Mathematics, Science and Technology*, 3, 2. 2015.

2. Chan S. K. Y., Exploring an experiential learning project through Kolb's Learning Theory using a qualitative research method. *European Journal of Engineering Education*, 37, 4. 2012.
3. Cram W.J., Seeing Mangrove Swamps from a Distance: Development of a Virtual Field Trip. UK: CAL-laborate. 2004.
4. Djonko-Moore C.M. & Joseph N.M., Out of the classroom and into the city: The use of field trips into a first-year undergraduate chemical curriculum. *Journal of Chemical Education*, 86. 2016. 1290-1294.
5. Forest K. & Rayne S., Thinking outside the classroom: Integrating field trips into a first-year undergraduate chemistry curriculum. *Journal of Chemical Education*, 86. 2009. 1290-1294.
6. Geist R. C., The excursion in the teaching of geography. *High Point*, 13, 37. 1931.
7. Haris N. & Osman K., The effectiveness of a virtual field trip (VFT) module in learning biology. *Turkish Online Journal of Distance Education*, 16, 3. 2015.
8. Ilovan O.-A., Dulama M.E., Havadi-Nagi K.X., Botan C.N., Gligor V., Ciascai L. & Adorean E.-C., *Romanian Review of Geographical Education*, 8, 1. 2019.
9. Justice A. A., Career decisions of senior high school students and their choice of academic programmes: A case study of Kadjebi-Asato senior high school. Winnneba: University of Education, 2017.
10. Knott V. E., Mak A.S. & Neill J.T., Teaching intercultural competences in introductory psychology via an application of the Excellence in Cultural Experiential Learning and Leadership model. *Australian Journal of Psychology*, 65, 1. 2013.
11. Kolb D. A., *Experiential Learning: Experience as the source of Learning and Development*. New Jersey: Pearson. 2014.
12. Kushins J., Pedagogical souvenirs: An art educator's reflections on field trips as professional development. *International Journal of Education and the Arts*, 16, 20. 2015.
13. Pierantozzi M. J., Beyond the classroom walls – virtual field trips. *I-Manager's Journal of School Educational Technology*, 3, 3. 2007/2008.
14. Plutino A., Anything can happen out there: a holistic approach to field trips. In Gorla C., Speicher O., & Stollhans S. (Eds.), *Innovative Language Teaching and Learning at University: Enhancing Participation and Collaboration*, 2016. Dublin: Research Publishing Net. <http://dx.doi.org/10.14705/rpnet,2016.000412>
15. Short F. & Lloyd T., Taking the student to the world: Teaching sensitive issues using field trips. *Psychology Teaching Review*, 23, 1. 2017.
16. Woods H. A., A study of the origin and development of educational excursion and field trip. MA thesis. Iowa City: State University of Iowa. 1937. <http://doi.org/10.17077/edt.o7e8is3p>
17. Zahedpiaheh N., Abu Bakar Z.B. & Saffari N., English for tourism and hospitality purposes (ETP). *English Language Teaching*, 10, 9. 2017.

გულნარა გორგილაძე
რეალური, როლური და ვირტუალური ექსკურსია
როგორც საგანმანათლებლო აქტივობა
რეზიუმე

სტატიაში საუბარია ექსკურსიების როლსა და მნიშვნელობაზე საშუალო და უმაღლეს განათლებაში. ისინი შედარებულია სავსელე მოგზაურობებთან და კლასი-

ფიცირებულია სამ სახეობად (რეალური ექსკურსიები, როლური თამაში და ვირტუალური ექსკურსიები). ექსკურსიები/საველე ვიზიტები სასარგებლოა ნებისმიერი საგნის სწავლებისთვის სკოლაში ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მაგრამ უცხოური (განსაკუთრებით ინგლისური) ენის სწავლებისას ტურიზმის, ისტორიის, არქეოლოგიის, ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების მიმართულებების სტუდენტებისთვის ისინი ხელს უწყობენ არა მარტო ინგლისური ენის უნარ-ჩვევების, არამედ პროფესიული კვალიფიკაციის სრულყოფას. ექსკურსიის, როგორც საგანმანათლებლო აქტივობის ეფექტურობის დასადგენად, ტურიზმისა და ხელოვნების მიმართულებების სტუდენტებისთვის ჩატარდა სამოქმედო კვლევა ბათუმის ერთ-ერთ უნივერსიტეტში. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მასშტაბი (32 მონაწილე) და ხანგრძლივობა (5 კვირა) შეზღუდული იყო და ის არ მოიცავდა საკონტროლო ჯგუფს, კვლევამ მაინც დაადასტურა ამ აქტივობის სასარგებლო თვისებები.

Гульнара Горгиладзе

Реальные, ролевые и виртуальные экскурсии как общеобразовательная активность **Резюме**

В статье рассматриваются экскурсии, применяемые в среднем и высшем образовании. В статье экскурсии сравниваются с полевыми поездками и они классифицируются на 3 вида (реальные, ролевые, виртуальные). Экскурсии, полевые поездки, полезны для преподавания любого предмета в школе или в высшем учебном заведении. Однако, при изучении иностранного языка (особенно английского), студенты, изучающие историю, археологию, литературу, туризм, искусство, не только развивают навыки английского языка, но и повышают профессиональную квалификацию. Исследование было проведено в Батумском (Грузия) университете, чтобы выяснить насколько эффективны реальные, ролевые и виртуальные экскурсии для студентов сферы туризма и искусств. Несмотря на масштаб эксперимента (32 участника) и время (5 недель) без участия контрольных групп, исследование подтвердило полезность этих действий.

მზია თოფურიძე
(საქართველო)

**უცხო ენაზე კითხვისა და თარგმანის უნარ-ჩვევების
მაშორშირებელი აქტივობები**

მიუხედავად იმისა, რომ კითხვა ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენს, დღესდღეობით ახალგაზრდა თაობა მისდამი (მშობლიურ ენაზეც) შედარებით გულგრილი არის. მოსწავლეთა კითხვით დაინტერესების მიზნით სასრგებლოა ისეთი თანამედროვე და პოპულარული საშუალებების, როგორცაა კომპიუტერი, კერძოდ კი, ინტერნეტის მეშვეობით მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება.

საკლასო მეცადინეობებზე წასაკითხი მასალის მოცულობა შეზღუდულია. სასწავლო ტექსტების დიდი ნაწილი ენობრივი მასალის შეთვისებას და არა ინფორმაციის მიწოდებას ემსახურება, ამიტომ ისინი ხშირად ნაკლებად საინტერესოა. კითხვის სხვადასხვა სახის წრეები (მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული, საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებისადმი მიძღვნილი, შერეული) ამ ხარვეზების დაძლევის საშუალებას იძლევა.

უცხოური ენის თანამედროვე გაკვეთილი თავს არიდებს თარგმანის გამოყენებას როგორც მასალის ახსნა-პრეზენტაციის, განმტკიცებისა და შექნილი ცოდნის კონტროლის საშუალებას, რაც სრულიად გამართლებულია ენის კომუნიკაციური სწავლების პირობებში. ამავე დროს თარგმანის უნარ-ჩვევები არ გამომდინარეობს ავტომატურად საუბრისა და წერის უნარ-ჩვევებიდან, არამედ სპეციალურ სწავლებას საჭიროებს. ზოგიერთ მოსწავლეს აინტერესებს თარგმანი როგორც აქტივობა, ზოგიერთი მას თავის მომავალ პროფესიასთან აკავშირებს, ზოგიერთი კი, უბრალოდ, თარგმანის გარეშე არ გრძნობს თავს დარწმუნებულად ენობრივი მასალის შეთვისებისას. ყველა მათგანისათვის სასრგებლო იქნება მხატვრული/სამეცნიერო-პოპულარული/საზოგადოებრივ-პოლიტიკური/საყოფაცხოვრებო შინაარსის ტექსტების თარგმანის წრე. სპონტანური ზეპირი (მით უმეტეს, სინქრონული) თარგმანის უნარ-ჩვევები ძალიან რთულია და აღემატება სკოლის მოსწავლეების მიერ უცხოური ენის ფლობის დონეს, მაგრამ წაკითხული ტექსტების ზეპირი და წერითი თარგმანი მასწავლებლის ხელმძღვანელობით მისაწვდომ და საინტერესო აქტივობას წარმოადგენს (VIII კლასიდან დაწყებული) [1, 105-106].

კითხვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესში აუცილებელია კითხვის სხვადასხვა სახეს მივმართოთ: ჩუმსა და ხმამაღალს, მთარგმნელობითსა და თარგმანგარეშეს, ინტენსიურსა და ექსტენსიურს (ანუ ანალიზურსა და სინთეზურს), შინაარსის ღრმა და ზოგადი გაგებით, ძიებითსა და დათვალიერებითს და ა.შ. შესაბამისად, ჩუმად წასაკითხი ტექსტები უნდა მიეცეს მოსწავლეებს რამე დავალებებთან ერთად, რომელთა შესრულების ხარისხის მიხედვითაც გასაგები იქნება, რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა ტექსტი. მეცადინეობებზე ხმამაღლა კითხვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მარტო ფონემატურ კორექტულობაზე, არამედ გამომეტყველებაზეც, კერძოდ, ლოგიკურ მახვილსა და ინტონაციაზე. ადეკვატური (შინაარსის სრულად გადმომცემი) თარგმანი დროტევადი საქმეა, ამიტომ უმჯობესია ის სახელში შესრულდეს, კლასში კი შემოწმდეს. კარგია, თუ მოსწავლეები არა მხოლოდ შეარჩევენ საუკეთესო თარგმანს, არამედ დაასაბუთებენ კი-

დევაც ამ არჩევანს. თარგმანგარეშე (ჩუმი თუ ხმამაღალი) კითხვის წარმატება კი მოწმდება კითხვა-პასუხის, სწორი-არასწორი დებულების შერჩევის და სხვა კომუნიკაციური დავალებების საშუალებით. წაკითხულის შინაარსის რეპროდუქცია მისაღებია თუ მოცემული ტექსტი წინასწარ არ არის წაკითხული შემსწავლელთა მიერ. ანალიზური კითხვა (სიტყვების გრამატიკული ფორმის დადგენა, წინადადების წევრების გარჩევა, სინონიმებისა და ანტონიმების დასახელება და ა.შ.) კითხვის უნარ-ჩვევების ფორმირების პროცესში ერთ-ერთი საინტერესო და სასარგებლო აქტივობაა. დაბალ კლასებში (V-VII) ტექსტის მოცულობა დიდი არ არის და კითხვის უნარ-ჩვევებიც ჯერჯერობით მტკიცე არ არის, ამიტომ კითხვა უნდა ხდებოდეს ტექსტის სრული გაგებით. შემდგომ საფეხურზე უაღრესად დიდ როლს იძენს ტექსტის ძირითადი შინაარსის გამოტანა, გადათვალთვალებითი და ძიებითი კითხვა (reading for the jist, skimming and scanning reading). ამ უნარ-ჩვევათა გასავითარებლად არა მხოლოდ მასწავლებელს, არამედ მოსწავლეებსაც შეუძლიათ სათანადო დავალებები შეადგინონ: Find the paragraph in the text speaking about ... Match the titles and the texts. Entitle the text. Imagine you are an editor of a newspaper. Group the texts according to their topic და ა.შ. [2, 36-40].

წასაკითხად შეიძლება ბევრი პატარა მოცულობის მქონე ტექსტი (ერთი მეცადინეობისათვის 1-3 ტექსტი) ან ერთი დიდი ნაწარმოები შეირჩეს, რომლის წაკითხვაც სემესტრის ან მთელი სასწავლო წლის განმავლობაშია შესაძლებელი. მოსწავლეთა ენობრივი დონის გათვალისწინებით ეს ძირითადად ადაპტირებული ტექსტები უნდა იყოს. ადაპტირებული ტექსტების არქონის შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია საინტერესო ტექსტის ადაპტირება თვითონ მოახდინოს, თუმცა ეს შრომატევადი, რთული და დელიკატური საქმეა [3, 135-140].

შინაარსობრივად შერჩეული ტექსტები უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს: ტექსტები საინტერესო და მრავალფეროვანი უნდა იყოს, რათა არ ჰქონდეს ადგილი მოტივაციის დაქვეითებას. ენობრივად წასაკითხი მასალა ერთდროულად ცოცხალ და სანიმუშო ენას უნდა ასწავლიდეს მოსწავლეებს. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტთა უმრავლესობა სასწავლო მიზნით სპეციალურად შექმნილი ან ადაპტირებულია (ნაწარმოები ორგინალში, კერძოდ, საბავშვო ლექსები იშვიათად თუ არის მისაწვდომი ენის დაუფლების ამ საფეხურზე), ენის ავტენტურობა აუცილებლად უნდა იყოს უზრუნველყოფილი. მხატვრული ნაწარმოების შერჩევისას გასათვალისწინებელია აგრეთვე მათი მხატვრული ღირებულება და ავტორის „წონა“ მსოფლიო ლიტერატურაში [4, 179-184].

VI-VII კლასების მოსწავლეებისათვის საინტერესოა ხალხური და ლიტერატურული ზღაპრები, სათავედასავლო მოთხრობები, ინფორმაცია ცხოველებზე, დასავლეთელი თანატოლების სკოლაში სწავლის შესახებ, VI-VII კლასების მოსწავლეებს უფრო აინტერესებთ ინფორმაცია ადამიანთა ურთიერთობების, სიყვარულისა და მეგობრობის, ცნობილ ადამიანთა ცხოვრების, პროფესიების, შესასწავლი ენის ქვეყნების ისტორიისა და გეოგრაფიის, მეცნიერული აღმოჩენების, ტექნიკური სიახლეების შესახებ და ა. შ.

უცხოურ ენაზე კითხვის უნარ-ჩვევების მაფორმირებელ დავალებათა სახეები უნდა იცვლებოდეს მოსწავლეთა ასაკთან ერთად. დაწყებით ეტაპზე განსაკუთრებით ეფექტურია თამაშები, მაგალითად „ყურადღებიანი მკითხველი“. ტექსტის წა-

კითხვის შემდეგ მასწავლებელი მრავალ დეტალს არკვევს წაკითხულის ირგვლივ. რომელი მოთამაშეც მეტ სწორ პასუხს გასცემს, ის მოგებულია. სწავლების დაბალ ეტაპზე საკმარისია კითხვებზე პასუხი, შინაარსის რეპროდუქცია, ხოლო ტექსტის გაგების ტესტური ფორმის შემოწმება აუცილებელია უფრო მაღალ ეტაპზე. ამ ეტაპზე უფრო ხშირად ისმის კითხვა „რატომ?“ ტექსტის შინაარსის გადმოცემა მის ანალიზს უთმობს ადგილს. სწავლების განმავითარებელი მიზნის რეალიზაციისათვის სასარგებლოა წაკითხულ მასალებში მოტანილი ინფორმაციის საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა ნაწარმოებებთან შედარება. რასაკვირველია, კითხვის წრის მუშაობაში დიდი ადგილი ეთმობა წაკითხულზე დაყრდნობით საუბრის უნარ-ჩვევების განვითარებასაც. სწავლების პროცესში საკმაოდ ეფექტურ და სასარგებლო აქტივობებს განეკუთვნება წაკითხულის ირგვლივ კითხვების დასმა და მათზე პასუხი, შინაარსის რეპროდუქცია, რეფერირება, ტესტური ფორმის სავარჯისოების შესრულება, ეპიზოდების ინსცენირება, საკონფერენციო მოხსენებების მომზადება, დეკლამირება, ზნეობრივ-ადმზრდელობითი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე მსჯელობა, ტექსტის ლიტერატურული ანალიზი და სხვა მოსწავლეებისათვის საინტერესო სავარჯიშოთა ტიპები.

კითხვის პროცესი მოიცავს ორ კომპონენტს: ინფორმაციულსა და ემოციურს. გაკვეთილებზე კითხვის მიზანს მეტწილად ტექსტიდან ინფორმაციის მიღება წარმოადგენს, თუმცა არანაკლები, თუ არა მეტი, ყურადღება უნდა მიექცეს ტექსტის აღქმის ემოციურ მხარეს. ამისთვის უნდა გამოვიყენოთ გამომეტყველებითი კითხვა, მხატვრული ნაწარმოების აუდიოჩანაწერები ცნობილი მსახიობების შესრულებით.

მთარგმნელობითი აქტივობისათვის მოსწავლეებს თარგმანის თეორიის გარკვეული ელემენტები უნდა მივაწოდოთ (კერძოდ, ის ფაქტი, რომ თარგმანისას სიტყვის დონე ხშირად დაუშვებელია, შესიტყვების და წინადადების დონე კი უფრო მისაღებია). დავალების ფორმულირება არ უნდა იყოს მხოლოდ „თარგმნეთ“. მოსწავლეებმა შეიძლება არსებული თარგმანები გააანალიზონ, ორიგინალს შეადარონ, იპოვონ ცნობილი ინგლისური და ქართული ანდაზების ანალოგები, დახელოვნდნენ ლექსიკონის გამოყენებაში (მაგალითად, დავალება: იპოვეთ მოცემული სიტყვის მნიშვნელობათა შორის მოცემული კონტექსტის შესაბამისი სიტყვა) და ა. შ. [3].

უცხოური ენის სწავლების საწყის ეტაპზე მუშაობა უნდა წარიმართოს კითხვის ტექნიკის ჩამოყალიბებაზე, თუმცა აქაც კი სასურველია პატარა სიუჟეტური მოთხრობების (მეტწილად, ხუმრობებისა და ზღაპრების) გამოყენება. უკეთესი გაგებისათვის და მოსწავლეთა მოტივირებისათვის პირველი წასაკითხი წიგნები აუცილებლად ღამაზად უნდა იყოს ილუსტრირებული. სწავლების შემდგომ საფეხურზე, რასაკვირველია, კითხვის, როგორც კომუნიკაციური უნარ-ჩვევის, განვითარება-სრულყოფას უნდა მიექცეს ყურადღება. წაკითხული ეპიზოდების ინსცენირება (სიტყვასიტყვით, შინაარსის გადმოცემით), გმირების მომდევნო ცხოვრების ვარიანტების შეთავაზება საშუალებას აძლევს შემსწავლელებს შემოქმედებითად მიუდგნენ წაკითხულ მასალას.

ამრიგად, უცხოურ ენაზე კითხვისა და თარგმანის უნარ-ჩვევების გასავითარებლად საჭიროა მრავალფეროვანი და საინტერესო სასწავლო თემატიკის, მოსასმენი, წასაკითხი და სათარგმნი ტექსტების შერჩევა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესებისა და ენობრივი მომზადების გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

1. Gear J., Gear R., Puppetry in the ESL/EFL Classroom. A Forum Anthology. Washington, D.C. 1989.
2. Gebhard J. G., Teaching Reading through Assumptions about Learning. A Forum Anthology. Volume IV. Selected Articles From the English Teaching Forum. 1984-1988.
3. Snow D., From Language Learner to Language Teacher. An Introduction to Teaching English as a Foreign Language. TESOL. 2007.
4. Yue, Mei-yun Teaching Efficient EFL Reading. Teacher Development . Making the Right Moves. Selected Articles From the English Teaching Forum. 1989-1993.

Mzia Topuridze

Activities for the formation of foreign language reading and translation skills

Summary

The article deals with the types of reading and translation - based activities in the process of teaching a foreign language (FL) to primary and secondary schoolchildren.

To develop learners' effective reading skills and habits it is important to encourage them to use such types of reading as silent, loud, with and without translation, intensive, extensive, skimming, scanning. All these approaches to reading make the learning process productive and useful for the effective formation of foreign language skills and habits.

Some basic issues from the theory of translation should be introduced in the classroom while focusing on translation-based activities. It is important to avoid the usage of only one type of instruction such as "translate". Learners may be asked to analyze different translated texts and compare them with the original ones, find equivalents of proverbs in Georgian and English, develop the skills for the usage of a dictionary and so on.

Selected teaching material which consists of listening, reading texts and translation issues should consider the learners' age-related peculiarities, their interest and language competency for the effective formation of FL reading and translating skills and habits.

Мзия Топуридзе

Формирующиеся активности навыков чтения и перевода иностранного языка

Резюме

В данной работе рассмотрены формирующиеся виды активности чтения и перевода при обучении иностранному языку учащихся в средних и высших классах. В процессе формирования навыков чтения обязательно обращение к разным видам чтения: тихое и громкое чтение, с переводом и без перевода, интенсивное и экстенсивное (анализное и синтезное), глубокое содержание и общее понятие, поисковое и ознакомительное и т.д.

Для переводческой активности необходимо донести до учащихся определенные элементы теории перевода. Формирование задания не должно быть только «переведите». Должен быть возможным анализ данного перевода, сравнение с оригиналом, нахождение аналогов известных английских и грузинских пословиц и поговорок, работа при помощи словарей (например, задание: найти в данном значении слова соответствующее данному контексту слово) и т.д. Для развития чтения и перевода иностранного языка нужна разная и интересная учебная тематика, материалы для чтения, аудирования и перевода с учетом возрастных особенностей, интересов и языковой подготовки.

ნინო ტაბატაძე, ირმა ცომაია
(საქართველო)

**სუროს (HEDERA) პრეპარატები – ბრონქოსპაზმოლიზური და
ამოსახველვაპელი ბუნებრივი სამკურნალო საშუალებები**

ადამიანის სასუნთქი სისტემა იმ ორგანოთა ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც უმთავრესად უზრუნველყოფენ ორგანიზმში გაზთა ცვლის პროცესს, თუმცა სასუნთქი სისტემის ფუნქციებს მიეკუთვნება: თერმორეგულაცია, ბგერის/ხმის წარმოქმნა, ცნობა, სასუნთქი ჰაერის დატენიანება, გათბობა, მექანიკური მინარევებისაგან განთავისუფლება და სხვ.

სასუნთქი სისტემა შედგება სასუნთქი გზებისა და სასუნთქი ორგანოსაგან. სასუნთქი გზებს მიეკუთვნება: ცხვირის ღრუ, ხახა, ხორხი, ტრაქეა და ბრონქები, ხოლო რესპირატორული ნაწილი წარმოადგენილია ფილტვებით.

ფილტვები – სასუნთქი სისტემის მთავარი ორგანოა, რომლის პარენქიმა ალვეოლებით არის წარმოდგენილი, სადაც უშუალოდ მიმდინარეობს გაზთა ცვლა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია სასუნთქი სისტემის ერთ-ერთ ნაწილს – **ბრონქულ ხეს**, რომელიც ტრაქეისა (სასულე) და ბრონქებისგან შედგება. ბრონქულ ხეში საშიში მინარევების მქონე ჰაერს უმაღლვე შეიცნობენ მის ლორწოვან გარსში არსებული უწამწამო უჯრედები და ცდომილი ნერვის დაბოლოებანი. სწორედ ცდომილი ნერვის საშუალებით მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა მოგრძო ტვინში მდებარე სუნთქვის ცენტრს, საიდანაც იმპულსი ეგზავნება ბრონქების კუნთოვან შრეში მდებარე ნერვებს. შედეგად გამოიყოფა დიდი რაოდენობით მედიატორი **აცეტილქოლინი**, მისი გავლენით კი კუნთები სწრაფად იკუმშება, ავიწროებს სანათურს და იწვევს ბრონქების სპაზმს, რათა დაბინძურებული ჰაერი ფილტვებში მეტად აღარ გადავიდეს. თუ გამღიზიანებელი მეტისმეტად აგრესიულია, სპაზმთან ერთად სტიმულირდება **ბრონქული სეკრეტის გამოყოფაც**, ის გაცილებით მეტი წარმოიქმნება, ბრონქების სპაზმი და დიდი რაოდენობით სეკრეტის დაგროვება კი იწვევს დისკომფორტს, სუნთქვის გაძნელებას და ბადებს ამოხველების სურვილს. ხველარეფლექსია, რომლის დროსაც ორგანიზმი ცდილობს სასუნთქი გზა გაათავისუფლოს ნახველისგან და სხვა გამღიზიანებლებისაგან.

ბოლო პერიოდში მთელს მსოფლიოში გაიზარდა სასუნთქი სისტემის დაავადებათა რიცხვი, რაც უკავშირდება სხვადასხვა ვირუსისა და ინფექციის სწრაფ გავრცელებას, არაჯანსაღ ცხოვრების წესს, გარემოს დაბინძურებას. აქედან გამომდინარე, სასუნთქი სისტემის პათოლოგიების დროული დიაგნოსტიკა, ხველის მიზეზების და გამომწვევი ფაქტორების დადგენა, ახალი, ეფექტური და უსაფრთხო მცენარეული სამკურნალო საშუალებების გამოვლენა და გამოყენება, უდავოდ, აქტუალური საკითხია და დიდ ყურადღებას იმსახურებს.

ხველა არსებობს მშრალი ან სველი, შესაძლებელია ის სერიოზული დაავადების ნიშანიც იყოს. ხველის მიზეზებია: გაციება, გრიპი, სინუსიტი, ლარინგიტი,

ბრონქიტი ან პნევმონია, ალერგიული რეაქცია (ალერგიული რინიტი ან პოლინოზი, კრუპი...), ასთმა, ფილტვის კიბო, ტუბერკულოზი, გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსი, მედიკამენტის გვერდითი მოვლენა და სხვ.

როგორც ფარმაკოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, გვარი *Hedera L.* სახეობების ტრიტერპენული გლიკოზიდები ხასიათდებიან მკვეთრად გამოსატყული ბრონქოსპაზმომოციური და ამოსახველებელი მოქმედებით. გვარი სურო – *Hedera* გავრცელებულია სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის მთიან ნაწილში, ხმელთაშუაზღვისპირეთში, შუა ევროპაში და 15 სახეობითაა წარმოდგენილი.

გვარი *Hedera*-ს სახეობები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა როგორც ხველების საწინააღმდეგო, სეკრეციის გამაძლიერებელი და ბრონქოსპაზმომოციური საშუალებები. სუროს ფოთლებს ტრადიციულ მედიცინაში ხშირად ნევრალგიისა და რევმატიზმის სამკურნალოდ მოიხმარდნენ. თანამედროვე ფარმაკოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით, გვარი *Hedera*-ს სახეობებიდან გამოყოფილი ტრიტერპენული საპონინები ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული, ბრონქოსპაზმომოციური, ანტიმიკრობული, ფუნგიციდური, ანტიჰელმინთური, მესხიერების გამაუმჯობესებელი, ციტოტოქსიკური, ანტიპროტოზოული და კონტრაცეპტული მოქმედებით ხასიათდებიან; ასევე, გამოვლენილია სუროს ექსტრაქტების ანტივირუსული და ანტიოქსიდანტური აქტივობა.

საქართველოს ფლორაში გვარი სურო – *ჰედერა* სამი სახეობითაა წარმოდგენილი: ჩვეულებრივი სურო – *Hedera helix L. [H. caucasigena Pojark.]*, კოლხური სურო – *Hedera colchica (K. Koch) K. Koch* და პასტუხოვის სურო – *Hedera pastuchowii Woronow*. ყველა სახეობა დეკორატიულია. სუროს სახეობებს შორის პასტუხოვის სურო იშვიათი სახეობაა, რომელიც შეტანილია „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ (1982), „საქართველოს წითელ ნუსხაში“ (2006) და სხვა ე.წ. „წითელ ნუსხებში“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იოველ ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში დაწვებულ იქნა მიზანმიმართული კვლევები სუროს სახეობების ტრიტერპენული საპონინების შესწავლის მიმართულებით. კოლხური სუროს (*H. colchica*) ფოთლებში მიკვლეულ იქნა არანაკლებ 6 გლიკოზიდის არსებობა, რომლებსაც პირობითად ეწოდათ ჰედერაკოლხიზიდები A, B, C, D, E, F; ჩვეულებრივი სუროს (*H. caucasigena*) ფოთლებში აღწერილია 4 გლიკოზიდი – ჰედერაკავაკაზიდები A, B, C, D, H; *H. pastuchowii*-ის ფოთლებში აღმოჩენილია პასტუხოზიდები A, B, C, D, E, F, G, H, I.

ტერპენული შენაერთების ლაბორატორიაში გ. დეკანოსიძის და ვ. მშვილდაძის მიერ კავკასიური სუროს ფოთლებიდან შემუშავებული იქნა ბრონქოსპაზმომოციური პრეპარატი „კავსურონი“ – „Causuronum“, რომელიც მცენარის ფოთლების სპირტიან ექსტრაქტს წარმოადგენს და შეიცავს ტრიტერპენულ გლიკოზიდებს: ჰედერაკავაკაზიდებს A, B, C, აგრეთვე ფლავონოიდებს: რუტინს და კემპფეროლ-რუტინოზას. დღეისათვის „კავსურონი“ ნებადართულია სამედიცინო პრაქტიკაში ფართო გამოყენებისათვის და მას ღირსეული ადგილი უკავია ევროპული წარმოების პრეპარატების „ჰედელიქსის“ და „პროსპანის“ გვერდით.

ბოლო პერიოდში მსოფლიოში მცენარეული წარმოშობის ორიგინალური და ეფექტური სამკურნალო საშუალებების მიმართ გაზრდილი მოთხოვნებიდან გა-

მომდინარე, სუროს სახეობებიდან შემუშავებულია და მედიცინაში ეფექტურად გამოიყენება ბრონქოსპაზმოლიზური პრეპარატები: **კავსურონი**, **პროსპანი**, **ჰედელიქსი**, **ჰერბიონი**, **ტუსპამინი**, **ედერისი** და სხვ.

პროსპანი წარმოადგენს სუროს ფოთლების მშრალ ექსტრაქტს, ავლენს ამოსახველებელ და სპაზმოლიზურ მოქმედებას. იგი ამცირებს ნახველის სიბლანტეს და ხელს უწყობს სასუნთქი სისტემიდან მის გამოდევნას. პრეპარატი, როგორც სიმპტომური საშუალება, გამოიყენება ზედა სასუნთქი გზებისა და ფილტვის ანთებითი დაავადებების დროს კოპლექსური თერაპიის სახით.

ჰედელიქსი – სუროს ხველების საწინააღმდეგო სიროფი, იწვევს ნახველის გათხიერებას, ამოხველების გაიოლებას, სუნთქვის გაუმჯობესებას, ხველის შემცირებას და გაქრობას.

ჰერბიონის სიროფი, ასევე, მოქმედებს როგორც მუკოლიტური და ბრონქოსპაზმური საშუალება. იწვევს ნახველის სიბლანტის შემცირებას, აადვილებს ამოხველებას და აწყნარებს ხველას.

ტუსპამინი მცენარეული პრეპარატია, რომელიც შეიცავს საპონინებს, ტრიტერპენოიდებს, ფლავონოიდებს. აქვს ამოსახველებელი და სპაზმოლიზური მოქმედება. აადვილებს ნახველის გამოდევნას სასუნთქი გზებიდან. გააჩნია ანტიმიკრობული აქტივობა.

ედერისი – მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატი, განკუთვნილია ბრონქებიდან ნახველის ამოსადებად პროდუქტიული ხველის დროს. შეიცავს ტრიტერპენულ საპონინებს, ყავის მჟავას, ფლავონოიდებს, კუმარინებს და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. ხელს უწყობს ბლანტი ლორწოს გათხელებას და მის ამოღებას, ამით აადვილებს სუნთქვას და აჩერებს ხველას.

ამრიგად, სუროს სხვადასხვა სახეობიდან მიღებული ორიგინალური სამკურნალო საშუალებები (სიროფი, წვეთი, სპირტიანი ექსტრაქტი) ხასიათდება ძლიერი მუკოლიზური, ბრონქოსპაზმოლიზური და ამოსახველებელი ეფექტით და ეფექტურად გამოიყენება სასუნთქი სისტემის დაავადებების დროს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ფლორა, მეორე გამოცემა, „მეცნიერება“, ტომი IX, თბ., 1984.
2. Dekanosidze G., Mshvildadze V., Balansard G., Elias R., Phytochimie et activités biologiques de trois espèces de lierre de Géorgie: *Hedera helix*, *H. colchica* et *H. pastuchowii*. *Ethnopharmacologia. Bulletin de la Société Française d'Ethnopharmac. et de la Société Européenne d'Ethnopharmacologie*. 2011.
3. Hostetman K., Marston A., Saponins. Cambridge University Press. Cambridge. 1995.
4. Gagnidze R., Vascular Plants of Georgia a Nomenclatural Checklist. Tbilisi, 2005.
5. Hostetman K., Saponins with mulliscicidal activity from *Hedera helix* L. *Helv. chem. Acta*. 1980.
6. Delmas F., Di Giorgio C., Elias R., Gasquet M., Azas N., Mshvildadze V., Dekanosidze G., Kemertelidze E., Timon-David P. Antileishmanial Activity of Three Saponines Isolated from Ivy: (-hederin, (-hederin, and hederacolchiside A` as Compared To Their Action on Mammalian Cells Cultured in vitro. *Planta Medica*. 66, 2000.

7. Gulcin I., Mshvildadze V., Gepdiremen A., Elias R. Antioxidant Activity of Saponins Isolated from Ivy: (-Hederin, Hederasaponin-C, Hederacolchiside-E and Hederacolchiside F. *Planta Medica*. 2004.
8. მჭვილდაძე ვ., დეკანოსიძე გ., ტაბატაძე ნ., ტაბიძე ბ., გეთია მ., მურთაზაშვილი თ., ანტიოქსიდანტური და სიმსივნის საწინააღმდეგო ტრიტერპენული გლიკოზიდები საქართველოს ფლორის მცენარეებიდან. ბრონქოსპაზმოლიზური პრეპარატის „კავსურონის“ ახალი წამლის ფორმების შემუშავება. საგრანტო პროექტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი №შ/შთ08/6-467. 2009-2012.
9. <http://www.vidal.ge/drugs/hedelix-sirofi>
10. http://www.medgeo.net/2009/05/12/respiratory_system-2/
11. <http://intermedia.ge/statia/99760-sasunTqi-sistema/191/>

Nino Tabatadze, Irma Tsomaia

Ivy (Hedera) preparations – bronchospasmolytic and expectorant natural remedies

Summary

The human respiratory system provides the process of gas exchange in the body, thermoregulation, smelling, humidification and heating of the respiratory air, release from mechanical impurities, etc.

Recently, the number of respiratory diseases in the world has increased, which is related to the rapid spread of various viruses and infections, unhealthy lifestyle, and environmental pollution. Therefore, the detection and use of effective and safe cough medicines is undoubtedly a topical issue.

Cough is dry or wet, caused by colds, flu, sinusitis, laryngitis, bronchitis or pneumonia, allergic reactions, asthma, lung cancer, tuberculosis, gastro-esophageal reflux, medication side effects and other.

Due to the growing demand for original and effective herbal remedies in the world recently, bronchospasmolytic drugs have been developed from the Hedera species and used effectively in medicine: **Kavsuron, Prospan, Hedelix, Herbion, Tuspamine, Ederis**, and others. The drugs cause the liquefaction of sputum, make it easier to cough, improve breathing, reduce and eliminates coughing.

Нино Табатадзе, Ирма Цомаия

Препараты плюща – бронхоспазмолитические и отхаркивающие природные средства

Резюме

Дыхательная система человека обеспечивает процессы газового обмена в организме, терморегуляции, обоняния, увлажнения дыхательного воздуха, нагревания, освобождения от механических примесей и т. д.

В последнее время в мире возросло количество респираторных заболеваний, что связано с быстрым распространением различных вирусов и инфекций, нездоровым образом

жизни, загрязнением окружающей среды. Таким образом, выявление и использование эффективных и безопасных лекарств от кашля, несомненно, является актуальной проблемой.

Кашель сухой или мокрый, вызванный простудой, гриппом, синуситом, ларингитом, бронхитом или пневмонией, аллергическими реакциями, астмой, раком легкого, туберкулезом, гастроэзофагеальным рефлюксом, побочными эффектами лекарств и многим другим.

В последнее время из-за возросшего в мире спроса на оригинальные растительные лекарственные средства, из видов плюща были разработаны и эффективно использованы бронхоспазмолитические препараты: **Кавсурон, Проспан, Хеделикс, Гербион, Туспамин, Эдерис** и другие. Препараты вызывают разжижение мокроты, улучшают дыхание, облегчают, уменьшают и устраняют кашель.

მარგარეტ მიდი

**მარტოობა, თვითკმარობა და ურთიერთდაზოგადება
კულტურის კონტექსტში**

თარგმანი შორენა კორტავასი

როდესაც ამერიკელებს ადანაშაულებენ, რომ ისინი მარტოსული ხალხია, ცდილობენ ამაში იპოვონ მათი ეროვნული ხასიათის თავისებურება. ამ წარმოდგენას მთელი რიგი სოციოლოგიური და კვაზისოციოლოგიური მტკიცებულებები უჭერს მხარს; ბევრი მათგანი ანომიის ცნებას ეფუძნება, ანუ ლაპარაკია სოციალურ ავადმყოფობაზე, რომელსაც ქალაქში მცხოვრები თანამედროვე ადამიანები ექვემდებარებიან. გავრცელებული მოსაზრება, რომ ამერიკელები მარტოსული ხალხია, კულტურული ხასიათის მსჯელობაა, რომელიც გულისხმობს, რომ სხვა ხალხები – ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, რუსები – ნაკლებად მარტოსული არიან ან დაუშვებენ, რომ უწინ ამერიკელები აღარ იყვნენ ამდენად მარტოსულები. ორივე მოსაზრების სასარგებლოდ მტკიცებულებები არასაკმარისია.

მკითხველისათვის განკუთვნილ მოცემულ ნაშრომში მე¹ ვაპირებ მარტოობის ამერიკული კონცეფციის განხილვას და წარმოვაჩენ მას, როგორც ადამიანის განსაკუთრებულ მდგომარეობას ამერიკელებისვე მოწოდებული სხვა შეფასებების კონტექსტში, იმ გარემოებების მსგავსად, როგორც შეიძლება იყოს მეგობრის უყოლობა, ახლობლებისაგან განშორებით ცხოვრება, მხარდაჭერის მოლოდინი სწორედ ახლობლებისგან და არა ნაცნობებისგან, იქნება ეს კოლეგა თუ ამხანაგი; როდესაც ლაპარაკია სახლის მონატრებაზე, სევდაზე საყვარელ ადამიანთან განშორების გამო, წარსულთან, განსაზღვრულ ადგილთან ანდა სხვა ადამიანთან კავშირის გაწყვეტაზე, რომელიც, მიუხედავად ამისა, მაინც სასურველად დარჩა; ცხადია, მსგავსი აზრით მარტოობა აბსოლუტურად უარყოფითი მოვლენაა. მსგავსი მდგომარეობის არდაშვებას და მისთვის თავის არიდებას ყოველი ნორმალური ადამიანი ცდილობს (ისევე როგორც სხვა კონტექსტის მქონე ანალოგიური გარემოებებისა). მარტოობა ზემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობებიდან განსხვავებულია თავისი უფრო დაძაბული ხასიათითა და აშკარად გამოუკვეთელი სპეციფიკით.

სახლის მონატრება, სევდა და მძიმე დანაკარგი: მათი გაცნობიერება

სახლის მონატრება ადამიანის ძლიერი, თითქმის მოუნებელი ნოსტალგიაა. მისი წყარო ბავშვობაში განცდილი უშველებელი სიხარულია და თავის დროზე ეს სიხარული დაკავშირებული იყო წმინდა ბავშვურ კმაყოფილებასთან: იქ, მშობლიურ სახლში გემრიელ საჭმლებთან, ჯადოსნურ სიზმრებთან. თუმცა მოგო-

¹ მარგარეტ მიდი.

ნებებს ღვიძავთ, ახლა ადამიანი ყველაფერ ამისგან შორსაა. ბუნებრივია, თუკი ბავშვს უცხო სახლში უცხო ადამიანი დააწვენს დასაძინებლად (იმ გამონაკლისის გარდა, როცა უცხო ადგილას დაძინება სიამოვნებასთანაა დაკავშირებული), მას გადააესებს მარტოობის გრძნობა. თუკი უცხო ადგილას დაძინება სიამოვნებასთან იყო დაკავშირებული, სასტუმროს ახალ ნომერში მოკალათებისას, როდესაც მოვმართავთ მადვიძარას და საპირფარეოს მაგიდაზე საპარს მოწყობილობებს დავაღებთ, შესაძლოა სხვა ქვეყნებში უწინდელი მოგზაურობებიდან სიხარულნარევემა მოგონებებმა გაიღვიძონ.

თუმცა გრძნობა, რომ „შენ გშთანთქა მოგონებების ტალღამ“, როგორც ამას იტყოდა პრუსტი,¹ ანდა Heimweh (გერ. დარდი სამშობლოზე), რაზეც მოწმობენ მაგალითები გერმანული ლიტერატურიდან, განსაზღვრული ადგილის, დროისა და ადამიანთა გარემოცვის მიმართ ვნებიანი კაეშანი, დიდად მახასიათებელი არაა ამერიკელებისათვის. სახლის მონატრებას ისინი მიაწერენ ახალი ადგილსამყოფელით უკმაყოფილებას, როცა მოცემულ მომენტში ის სხვა შესაძლო ვარიანტებს ჩამოუვარდება. თუკი ეძახებათ კონკრეტული ადამიანისადმი თბილი დამოკიდებულება, მოჰნატრებიან ახლადგამოცხვარი პურის ან ახლადგათიბული ბალახის სურნელი, ბელურების ჟღურტული დილაობით, აწუხებთ სახლზე სევდა, გამოდის, მათ თავიანთი ამჟამინდელი გარემოცვა აფრთხობთ ანდა მეტიც, აშკარა ზიზღი აქვთ მის მიმართ. ამერიკელებში სახლის მონატრებას იწვევს საჭმელი, რომელსაც ვერ ეჩვევიან და არ სიამოვნებთ, ხისტი, ან ზედმეტად რბილი სასთუმალი, მაგიდა, რომელსაც აკლია წყლიანი ჭიქა, ცუდი კენტილაცია და კონდიციონერება, ცენტრალური გათბობის არარსებობა, სააფთიაქო მაღაზიის, სოსისიანი ცხელი ბუტერბროდებისთვის განკუთვნილი ფარდულის სიშორე, თუკი არ აქვთ საუზმეზე კვერცი და ადამიანები ირგვლივ უცხო ენაზე საუბრობენ. ეს გრძნობა სრულიად განსხვავდება სახლის ტიპური მონატრებისგან, რომელიც შობს წარსულის სულიერ მიზიდულობას. ამ გრძნობას აკლია სახლის ტიპური მონატრების სპეციფიკა და ნაღველი. ამერიკელი, რომელიც აფიქსირებს, რომ მოიწინა სახლის მიზეზით, სულაც არ განიცდის უჭერობის სიმძიმის, მას როდი ენატრება ცოლ-შვილი. ის უბრალოდ შეაწუხა ან აღაშფოთა კიდევ ამჟამინდელმა უჩვეულო გარემოცვამ. დედისთვის შვილის წერილები რამდენად ძვირფასიც არ უნდა იყოს, თუკი ეს უკანასკნელი შიგ აფრქვევს კაეშანს მშობლიურ სახლზე, უკვე გასაგებია, რომ მას სურს უცნობ ადგილას თავისი ვიზიტის შეწყვეტა და არა დედის მონახულება.

ეს განზოგადებული პროტესტი უცნობისა და შეუჩვევლის მიმართ განსხვავდება უზადო წარსულზე სევდისაგან და სრულიად შეესაბამება სახლების, მანქანების, სკოლების, სამუშაოს, ცოლების, ბინის მეწყვიდეების, თამაშში პარტნიორების შეცვლის ამერიკელებისათვის ჩვეულ ნაუცბათევე ტემპს. ამერიკის შეერთებულ შტატებში სახლს ეძახიან შენობას, რომელშიც შენ ცხოვრობ. უძრავი ქონების აგენტები, როდესაც გაყიდვისას რეკლამირებას უკეთებენ ჯერ კიდევ შეუსახლებელ შენობებს, მათ „მყუდრო ბუდეებს“ არქმევენ. ასეთი დამოკიდებულება ინგლისელებში იწვევს შოკს. ინგლისელი ახალ სახლს, რომელშიც ჯერ არ უცხოვრია,

¹ იგულისმხება მარსელ პრუსტი (1871-1922), ფრანგი მწერალი, ნოველისტი და პოეტი, რომანისტი, ლიტერატურაში მოდერნიზმის წარმომადგენელი. მსოფლიო აღიარება მოუტანა სამტომეულმა ეპოპეამ „დაკარგული დროის ძიებაში“ (ფრ. À la recherche du temps perdu).

არ გაბედავს უწოდოს სახლი. ბავშვი, რომელიც მშობლებთან ერთად გადადის ადგილიდან ადგილზე, უწევს ძილი დაახლოებით მსგავს საწოლებში, დაახლოებით ისეთივე საჭმლის ჭამა როგორც უწინ და დილას ასევე ფორთოხლის მსგავსივე წვენის დაგემოვნება, ყოველ ჯერზე აწყდება ცნობისმოყვარეობას, მტრულ დამოკიდებულებას ახალ სკოლაში თანატოლების მხრიდან. მსგავს სიტუაციებში მრავალფეროვნებისადმი ადაპტაცია ბავშვის მხრიდან დიდი შემგუებლობის უნარს მოითხოვს. ცხადია, დედის ხმაში იგივე ნოტებია, მამა ისევე ბურტყუნებს დილაობით და ჩაახველებს პერიოდულად, მაგრამ სულ სხვაა, როცა ერთსა და იმავე სარწვევლაში გარწვევენ, ფანჯრიდან კი მინდვრის იგივე სურნელი იფრქვევა. თუმცა, ხანდახან გვაქვს ფაქტები, როცა ადამიანი რასაც ვერ შექვია, სწორედ იმას ეტანება. მაგალითად, ყოფილი პატიმარი ციხის ხისტ ნარზე წოლის შემდეგ რბილ საწოლში ვეღარ იძინებს. ანდა, გლეხებს ბავშვობაში ღორის ქონს თუკი აძალებდნენ, სძულთ ის, მაგრამ მაინც ვერ გადაჩვევიან. ამერიკაში ბავშვი აღმოჩნდება შემდეგ სიტუაციაში: მას თან დააკონწიალებენ ავტობუსებსა და მატარებლებში, ავტომობილში სპეციალური კალათით გვერდზე ჰყავთ მოსმული, სანამ საყიდლებზე არიან გასული უცხო ქუჩაში, ამავე ავტომობილში ტოვებენ მარტოს, სხვის სახლში სხვის საწოლში აწვენენ, მეურვეობისთვის განკუთვნილი ძიძები მუდმივად ცვლიან ერთმანეთს. რომ გვგონია, თითქოსდა, ეს ყველაფერი მსუბუქი, კარგი შემგუებლობით მთავრდება, სადღაც შიგნით შესაძლოა იბადება მძლავრი სიხისტე. ბავშვი შეჩვეულია „სახლზე“ თავისი წარმოდგენების მთელი რიგი განსხვავებებით შეკოწიწებას. ვინაიდან ირგვლივ სახლს არაფერი აგონებს, შეუძლია კიდევ უარყოს იგი. ზრდასრულ ასაკში შეერთებული შტატების საზღვრებს გარეთ თუკი აღმოჩნდა, მზადაა ყველაფერი გაიღოს ჯორჯისა და კალიფორნიის მოსახლესთან გულისთადი საუბრისათვის, მთელი ეშხით ლაპარაკობს „სახლის მონატრებაზე“, ყოველივე უცხოს მიუღებლობაზე. მსმენელი ამას მარტივად მიაწერს მარტობის განცდას, განსაკუთრებით კი ევროპელი, ან ის ვინც დახარბებია ევროპულ ლიტერატურასა და კულტურას. სინამდვილეში დიახაც, ამერიკელების უმეტესობა დაადასტურებს, სადაც სახლი ენატრება, იქ მარტოსულია, თუმცა ეს არის უპიროვნო განცდა, სიტუაციასა და გარემოცვაზე უარყოფითი რეაქციის შედეგი. ეს არაა მწარე კაემანი კოკნრეტულ ადამიანსა და ადგილზე.

როგორი ამრეხითაც არ უნდა იყვნენ ამერიკელები თავიანი ახალი გარემოცვისა და ადგილსამყოფელის მიმართ, ზოგადად ეს მაინც არ ამართლებს დარდსა და უნუგეშობას, მოგონებებში ჩაძირვას. მოდიდან გადავიდა სიყვარულის მიზეხით სიკვდილი, გაუზიარებელი გრძნობის ეშხით „დაფერფლვა“, შეყვარებულის დაღატის გამო ტანჯვა, ქმრის წასვლით გამოწვეული აპათია, ქვრივის დიდხანს მგლოვიარედ ყოფნა. ის კი არა, გარდაცვლილ მეუღლეს ქათინაურს უძღვნი, თუკი ფიქრობ ხელმეორედ დაოჯახებას. ამით აჩვენებ, რამდენად კარგი ქმარი იყო ცხოვრებული და როგორი კარგი რეკომენდაცია მისცა მან ქორწინებას. დაკრძალვაზე ხშირად გაიგონებთ, „იცით, მე იმედი მაქვს მისი ხელმეორედ დაოჯახების“. გულისმობენ, რომ დანაკლისის მერე ადამიანი ვალდებულია გამოიჩინოს სიმტკიცე, გამოვიდეს ხალხში, შეიძინოს ახალი მეგობრები და შეეცადოს შემცვლელის პოვნას. აქ მხოლოდ მეუღლის გარდაცვალებაზე არაა ლაპარაკი, გარდაცვლილი შეიძლება იყოს ნებისმიერი ახლობელი ადამიანი. დანაკარგს, ისევე როგორც მონატრებას, ამერიკელები ზოგად ასპექტში განიხილავენ. ანუ, თავს არიდებენ მის დაყ-

ვანას რაიმე კონკრეტულამდე. რაკი ამბობენ, „მას გაუჭირდება ჩემნაირის პოვნა“, გულისხმობენ კიდევ, რომ უსათუოდ უნდა შეეცადოს ამას, ანუ „მისნაირის პოვნას“. თანაცხოვრების სამწლიანი სტაჟით მამაკაცი მიუტოვებია ცოლს, ის კი მხოლოდ იმაზე წუხს, რომ „ისევ ახლის ძებნა უწევს“ და საკუთარი დანაკარგის გააზრებას რამდენიმე კვირასაც კი არ უთმობს. „მაღლა აწეული ცხვირი“ ამერიკელების ანგლო-საქსური სულის გამოვლინებაა და დანაკარგის ანაზღაურებას გულისხმობს.

ჩვილობა და ადრეული ბავშვობა: საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ვიცოდეთ ამერიკელების დამოკიდებულება განმარტოებისადმი, როცა ადამიანი მარტო რჩება საკუთარ თავთან, რადგან მსგავსი მდგომარეობა ხშირად იგივედგება მარტოობასთან. ამერიკელები მართლაც დიდი ხნით ტოვებენ ჩვილ ბავშვებს მარტო: აკვანში, ჩამქრალი შუქით ოთახში მარტო, დახურულ კარს მიღმა. იმ მომენტიდან მოყოლებული, როცა ბავშვი გამოყავთ სამშობიარო სახლიდან, იგი საჭიროა შეეჩვიოს ძილს მთელი ღამის განმავლობაში, არ უნდა ჰქონდეს აუცილებლობა მუდმივად მოალერსე ხელის, მშობლის დამტკბარი ხმის. იდეალურ შემთხვევაში „კარგი ჩვილი“ იძინებს უმაღვე, ვინაიდან შეიგნო, რომ ტირილი მოკლებულია აზრს, არაფერს მოუტანს. მის ტირილზე მაინც არავინ მოვა.

რამდენიმე წლის წინათ მონაწილეობას ვიღებდი¹ ფილმის შექმნაში, რომელიც კანადური კინემატოგრაფის მიერ მზადდებოდა. ფილმში შედარებული იყო იაპონური, ინდური, ფრანგული და ჩრდილოამერიკული ოჯახების ერთი დღე [Mead; 1956]. სამ ბავშვს დასაძინებლად აწვევდა დედა. ისინი აკვანთან მღეროდნენ ძილისპირულს ჩვილის ჩაძინებამდე. ჩრდილოამერიკელი ჩვილი თავის ოთახში უცერემონიოდ დატოვებს მარტო, ისე, რომ ძილისპირულიც არ უმღერიათ. თანაც ჩამქრალი შუქით და მიხურულ კარს მიღმა. ამერიკელები ბევრს ოხრავენ და შეჭნატრიან უცხოელებთან ძილისპირულის ტრადიციას, მის ხიბლს. მაგრამ, როცა მშობლები ხდებიან, ამას თავად არ აკეთებენ. ბოლოს და ბოლოს ბავშვმა უნდა ისწავლოს დამოუკიდებლობა, თვითკმარობა, **დაიძინოს თავად** სწორედ რომ პირველი გაკვეთილია ამ გზაზე.²

სხვათაშორის, უცხოელ მიმომხილველებს ხშირად ამერიკელების მსგავსი ოხვრა ერევათ მწვავე ნოსტალგიის სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში, ეჩვენებათ, რომ ამ უკანასკნელთ აქეთ აწმყოს შეცვლის გულწრფელი სურვილი. როცა ამერიკელი ქალი ახმოვანებს სურვილს გვერდით ჰყავდეს ძლიერი, უხეში,

¹ ვინაიდან საქმე გვაქვს თარგმანთან, როცა თხრობა ხორციელდება პირველ პირში, ცხადია, ყოველთვის იგულისხმება თავად მარგარეტ მიდი – შ.კ.

² ისრაელში გაერცელებულია ე.წ. კოლექტიური ოჯახის ტიპი, კიბუცა, სადაც ბავშვებს იმთავითვე აჩვენებენ დამოუკიდებლობას, თვითკმარობას და აქაც მშობლებისგან განცალკევებით ძილი არის ამ გზაზე პირველი გაკვეთილი. ბავშვებს ერთად სძინავთ ერთ დიდ სივრცეში. იხილეთ, ნიელ სმელზერი, სოციოლოგია. მე-3 განყოფილება, სოციალური ინსტიტუტები, თავი მე-13, ოჯახი (შ.კ.).

„ამაკაცური“ პარტნიორი, მეუღლე, ამას ისე აფასებენ, თითქოს ამერიკელი ქალი უკმაყოფილო იყოს თავისი თანამემამულე პარტნიორით. სინამდვილეში ისინი არაფრის დიდებით ისურვებდნენ თავიანთი კომუნიკაბელური, სიცოცხლით სავსე, მათზე მზრუნველი ქმრების ტელევიზორის ეკრანებიდან ნაჩვენები გმირი-საყვარლებით შეცვლას. ისინი, საბედნიეროდ, ცხადში მხოლოდ განუხორციელებელ ოცნებად რჩებიან.

ამერიკელებისთვის თავისთავად ნაგულისხმევია, რომ ჩვილი დიდხანს იყოს მარტო, იწვეს ზურგზე და ათვალეირებდეს ჭერს, ანდა საწოლის კიდეებს, ვინაიდან სხვა საყურებელი არაფერია. ხანდახან მათ აწვდიან სათამაშოებს, თოკით საწოლის თავზე ჩხრიალა ბურთულებს გადაუჭიმავენ, ისე, რომ ჩვილმა თავისი პატარა ხელებით მისი მოწვედენა ვეღარ შეძლოს. „კარგი ბავშვი“ სიამოვნებით რჩება მარტო, წვეს, თავისთვის ტიტინებს, უკიდურეს შემთხვევაში, თოკზე დაკიდულ ჩხარუნას აახმაურებს, მოგვიანებით კი მშობლების გასწვრივ მანქანაში ჯდება დამშვიდებული. „კარგი ბავშვი“ მშობლებს დამე არ ააყენებს და ყველას ხელში აყვანას არ ეაჯება, არ მეტიწრობს და არ იწვევს თავის გასართობად, რაც არის ბავშვის მიმართ სხვა კულტურებში წაყენებული მოთხოვნებისაგან განსხვავებული და ჩანს მეტად ხისტი, მით უმეტეს ჩვილისთვის, რომელიც ეს ესაა განეშორა დედის მყუდრო საშოს. როცა ბავშვს, დედას ვმოსავთ ტექსტილით, ჩვილს (ძუძუზე მყოფსაც კი) დედის კანთან შეხების ნეტარებას ვუკარგავთ. ჩვენ ვამჯობინებთ მისთვის ადგილის პოვნას დედის მკერდისა და ხელებისაგან მოშორებით.

თუმცა, შეუძლებელია მტკიცება თითოქოს ბავშვის მოვლის რომელიმე ხერხმა განსაზღვროს ხასიათის განსაკუთრებული და უცვლელი ტიპი დიდობაში. ზრდასრულების ბავშვისადმი დამოკიდებულებათა მთელი ნაკრები, ასევე, მოგონებები ბავშვობაზე, გარკვეულწილად კავშირშია ზრდასრულ ცხოვრებაზე ბავშვის მოლოდინებთან. ამერიკელ ყრმას, განსხვავებით თანატოლებისაგან უცხო ქვეყნებში, მშობლები ნაკლებად ევერებიან და უმდერო იავენანას, თუმცა ის არანაკლებ საყვარელია; ეს ყველაფერი კი მისთვისაა, რომ შეეჩვიოს მარტო ყოფნას და ადამიანური ურთიერთობებისაგან მომავალში ერგოს ჯილდო. ჭიჭყინა, მტირალა ბავშვი, რომელიც დედას ხუთი ყლუპი წყლის გამოც კი უხმობს და საპირფარეოში სამჯერ გადის, „კარგად“ არ მიიჩნევა. დედის სახეზე, დასტურად დაყვავებისა, იგი არ უნდა მოელოდეს დიმიდს, თუკი დამის პირველ საათზე საწოლიდან გამოძვრება და შემოაბიჯებს სასტუმრო ოთახში. ამგვარად იგი მარტოობის გადატანას სწავლობს, მოიპოვებს დიდების კეთილგანაწობას. სხვების მუდმივი მუნყოფნა მომაბეზრებელია. როცა იხურება კაბინეტის კარი, ჩნდება სიმსუბუქის გრძნობა. საკუთარი ოთახის ავტონომიურობა ერთიან უარყოფით კომპლექსებსაც აწარმოებს. ამერიკელებთან ტიპურ დასჯად მიიჩნევა ბავშვს მიუთითო ოთახისკენ. ბევრ თანამედროვე ამერიკულ სახლში აბაზანის ოთახზეც არაა საკეტი. ბავშვი სწავლობს, რომ მას თან იხლებენ, თუკი მშობლებისა და უფროსი დაძმების ნერვებზე არ ითამაშებს ზედმეტად შფოთიანი და ხმაურიანი საქციელით. ამერიკელი ბავშვი მიზნად ისახავს იმგვარად მოქცევას, რომ მოუწიოს ახლობლებთან ერთად წასვლა, რომ წაიყოლიონ და აღარ დარჩეს მარტო, როცა სხვები წავლენ. მსგავსი მოთხოვნები, წავიდეს დასაძინებლად, დარჩეს სახლში ნაზ ძიძასთან ბავშვს აჩვენებს, თუკი ესაა აღარ მიჰყავთ თან, შემდეგში წაიყვანენ.

თავიდან რასაც დიდები იყინებენ მარტობასთან ბავშვის შესაგუებლად, სრულიად მოსალოდნელია, ბავშვის წამოზრდის შემდეგ მოთხოვნად შეიცვალოს. თუკი ბავშვს აღარ სძინავს და მაინც მარტო ყოფნას ეტანება, მოგვიანებით ეს იწვევს უნდობლობას. ძილი ესაა გარანტია და იცი, რომ ბავშვი არაა დაკავებული რაღაც მიუღებლით. ფხიზელ ბავშვს როცა ტოვებ საწოლში მარტო, დედის წარმოსახვაში ჩნდება აკრძალული ბავშვური ორგიების სურათები, მტვრევის, უსიამოვნო თამაშების. თავის ნებაზე მიშვებული ბავშვი იძრობს წინდებს, საწოლს ზეწრებს აგლეჯს, ტანზე იხდის, ხანდახან შეიძლება უარესიც მოხდეს. კარგი დედა შეეცდება ბავშვს ეძინოს მარტოს და თავისი ყურადღებით ახარებს გაღვიძებულს. ყურადღებას აქცევს მას ფხიზელს. კარგ დედას დააფრთხობს, თუკი ბავშვი მხედველობის არიდან გაქრა და გაყუნდა. მეუღლისადმი ნათქვამი ფრაზა, „გაარკვიე, რას აკეთებს მანდ ჯონი და უთხარი, რომ შეეეწყვიტოს“, ზოგადად გამოსატავს მოსახრებას, რომ ბავშვები, თუკი თავს არიდებენ დიდების სიახლოვეს, რაღაცას ხლართავენ, ან ამას აპირებენ.¹ იმისდა მიუხედავად, თუ როგორ იზრდებიან ბავშვები, მშობლებს აღენიშნებათ შიშები, რომ ბავშვებს „არ უყვართ კითხვა“ (განათლებული მშობლების შემთხვევაში). ასევე, მშობლები ჭმუნავენ ბავშვზე, რომელსაც ვეღარ მოწვევტ წიგნს, დარდობენ, რომ ამგვარად დაიზიანებენ მხედველობას, ვერ ისწავლიან სხვა ბავშვებთან შეგუებას, სუფთა ჰაერზე ნაკლებ დროს გაატარებენ.

კიდევ უფრო ნაკლებად მოუწონებენ ამერიკელ ბავშვს მეოცნებეობას. ერთ-ერთ პირველი ამერიკელი ასტრონავტი, კარპენტერი² თანამემამულეებში დვარძლიანი დამოკიდებულების საგანი გახდა. მის მიმართ ჰქონდათ უსიამო რეაქციები, ვინაიდან მას მიიჩნევდნენ „მარტოკაცად“ ბავშვობიდანვე, რომელიც მარტოდმარტო დააბოტებდა კლიდს დიდი შვერილების გასწვრივ. მსგავსი დამოკიდებულების მქონეთ, უცნაურად არ მოჩვენებიათ, რომ იგი წაბორძიკდა, დაეცა და გარდაიცვალა კიდევ.³ ბავშვებში ასოციაციების გამოსაწვევად თემატური აღქმის ტესტებში იყენებენ ილუსტრაციებს მარტოსული ბავშვის გამოსახულებით, რომელიც თავისსავე სურათს მისჩრებია. ბავშვმა ახალი გვინეიდან, სახელად მანუსმა, მასში შეძლო მიზანდასახულობის განჭვრეტა და თქვა, „იგი ფიქრობს, ვინ გამოვიდეს“. ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეთა აღქმაში ეს იყო იმედგაცრუებული, სევდიანი ბავშვი, შეჭირვებული უიღბლობითა და კაეშნით, რომელიც იმაზე კი არ ფიქრობს, ვინ გამოვიდეს, არამედ ფანტაზიებშია ვინ არ გამოვა არასოდეს, რომ საუკეთესო შემთხვევაში მისი ძალისხმევა არ შეიქმნას ფუჭი. მარტობაში ყოფნასა და მეოცნებეობაზე დადებული ამერიკული ტაბუ ახსნადია ისტორიულად;

¹ ასტრიდ ლინდგრენის წიგნი „ლიონებერგელი ემილის თავგადასავალი“ სწორედ მშობლების თვალს მიღმა დარჩენილი ემილის გაუთავებელ ოინბაზობათა შემთხვევებს აღნუსხავს, ოღონდაც ეს მხატვრული ლიტერატურაა, თანაც საბავშვო და ყველაფერი მეტად ლამაზი და სულშიამწვედომი ჩანს. მაგალითად, თუნდაც ის, როგორ ჩამოიმხო ემილმა თავზე ქვაბი სუბით... (შ.კ.)

² **Malcolm Scott Carpenter** (1925-2013), ამერიკელი ასტრონავტი და ოკეანის მკვლევარი. ჰქონდა სევდიანი ბავშვობა მშობლების ადრეულ ასაკში გაყრისა და დედის ტუპერკულოზით ავადმყოფობის გამო. ქორწინებაში იყო სამჯერ და ჰყავდა შვიდი შვილი – შ.კ.

³ თუმცა ვიკიპედიაში უთითებენ, რომ კარპენტერი გარდაიცვალა ინსულტისაგან. უბედურ შემთხვევაზე სლუმან – შ.კ.

ასევე, მკაცრი ტაბუ საკუთარ სხეულთან ზედმეტად ახლო კონტაქტზე, რომელიც მოითხოვს სხეულსა და შენს შორის მიჯნის სახით განთავსებული იყოს ტანსაცმელი, რომელშიც ოდესღაც მონასტრის მორჩილები კიდევაც ბანაობდნენ. თუკი ხარ სრულიად მარტო, გარემომ ეს შესაძლოა შეაფასოს, როგორც მოძალემა უხამსის ნდომისა. რახან სწამთ, ცდუნებას აქვს მიზიდულობის უნარი, ზემოთ მოყვანილი ამერიკელი დედის ფრაზა ზრდასრულ ცხოვრებაში ექოდ გაიჟღერებს – „გაარკვიე, მანდ რას აკეთებს ჯონი და უთხარი შეწყვიტოს“. მეოცნებეობაზე ტაბუ პირველ მოსახლეთათვის სასარგებლო აღმოჩნდა, მათთვის, ვისაც წილად რთული გამოცდები ერგოთ. წარსულისაკენ მიმართული მზერა მათ მხოლოდ უნარს დაუკარგავდათ. არადა მამცურად უნდა აეტანათ უხეში საკვები, საცხოვრისად ცუდად გამოსადეგი თავშესაფარი, მკაცრი, უჩვეულო ბუნების პირობები. ამერიკელი ბავშვს, პირველი ემიგრანტების ოჯახში დაბადებულს, უკვე გაცვლილი ჰქონდა აღმოსავლეთის სანაპიროს ბაღებიდან იასამანი და მაგნოლია ქარით გაჭოლილ შიშველ კანზასის და ნებრასკის ტრამალებზე. გამჭრიახი მშობლებისაგან ნასწავლი ჰქონდა მომავლის ფხიზელი თვალთ განჭრეტა, მიუღწევველ სიამოვნებებზე ოცნებაში დახარჯვაზე უარის თქმა. ამ მხრივ სამაგალითოა ჯეკსა და მუხუდოს მარცვალზე ერთი ევროპული ზღაპარი, რომელიც ამგვარად სრულდება: გარდაიკვლება რა გოლიათი, კმაყოფილი ჯეკი და დედამისი შებინდებისას გვერდიგვერდ სხედან. ზღაპრის ამერიკულ ვერსიაში წამოზრდილი ბიჭი, რომელიც სახელში მხოლოდ ხელს უშლიდა ყველას, გააგზავნეს შესატყობად, თუ „რა ღირდა ფუნტი უღებურება“ და იგი კი იზრდებოდა მუხოდოს მარცვლის დარად.

მოკლედ, ჩვილობისას და ადრეულ ბავშვობაში ამერიკელი სწავლობს თუ როგორ გადააგოროს მარტობა, ხოლო ზრდასრულ ასაკში – შეჭხაროდეს საზოგადოებას, როგორც ჯილდოს. სკოლაში მათგან მუდმივად მოითხოვენ სოციალური აქტივობის გამოვლენას. გამომუშავებული აქვთ უნდობლობა განმარტოებით სიმყუდროვეში დროის ხარჯვის მიმართ, რადგან იგი უსაგნოდ, უსაზრისოდ მოუწინევიათ, თუკი ცოდვად არა. ამის შემდეგ დგება ახალგაზრდობა.

ახალგაზრდობა და სქესობრივი პარტნიორი

ცივილიზაციაში, რომლისგანაც წარმოდგა საკუთრივ ამერიკული, მიღებული იყო ჭაბუკის ბედის მჭიდროდ დაკავშირება მისივე ასაკის ადამიანთან. ვარაუდობდნენ, რომ სახლს გადაჩვეულს, მას უნდა შეეძინა მეგობარი, რომელიც იგივე ინტენსივობით შეეცდებოდა თავისი სახის განსაზღვრას, პიროვნებად შედგომას, თვითანალიზისა და ორმხრივი ნდობისგან სიამოვნების მიღებას. ოჯახური მიმართებები ხომ ასიმეტრიული იყო, შორს მყოფი პარმონისგან, ასაკით, სქესით განპირობებული, ავტორიტეტით და ტემპერამენტით განსაზღვრული. საუკეთესო მეგობარს არჩევდნენ იყვნენ რა დარწმუნებული, რომ მისი სახით საკუთარი პიროვნების სიმეტრიულ სარკისებრ ანარეკლს იძენდნენ: იმავე სქესის და ასაკის ადამიანს, მსგავსივე რთული მშობლებით, რომელთაც საჭირო იყო დროულად დასხლტომოდი, იმავე მასწავლებლებით, რომლებსაც გააცურებდი ხოლმე ან ბაბავედი; მასაც სქესის მაცდური იდუმალების შეცნობის დაუინებელი და გამართლებული მოთხოვნები ექნებოდა, სურვილი ცხოვრების ფილოსოფიის წვდომის, თავის-

თვის კარიერის შერჩევის. ეს ახალგაზრდული მეგობრობა ხშირად ნამდვილი სი-
ახლოვის პროტოტიპი ხდებოდა. იგი ყმაწვილებს გამოგლეჯდა მარტოობას და
ახალგაზრდების პიროვნების ფორმირებას უწყობდა ხელს. ქორწინება, მეგობრო-
ბისგან განსხვავებით, სრულიად სხვა საჭიროებებს პასუხობდა და იგი შორს იყო
ინტელექტუალური მისწრაფებებისა და სულიერი, ან ფილოსოფიური მიმართებების-
გან. ორ მოსწავლეს შორის ყოველი მეორე მეგობრობა მაღალგანვითარებულ ცი-
ვილიზაციაში აღზრდის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

ვინაიდან ჰეტეროსექსუალურ კავშირებში შესვლის ასაკი კლებულობს, სკო-
ლის მოსწავლეთა შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში მეგობრობის ტრადიცია
იშლება. ჰეტეროსექსუალური კავშირები მოიცავს პაემანს, რეგულარულ შეხვედ-
რებს, ქორწინებამდელ სქესობრივ კავშირს, ქორწინებას. დაწყებით კლასებში
სხვადასხვა სქესის მოსწავლეები გამიჯნული არიან, იმყოფებიან რა სრულიად
განსხვავებული ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების დონე-
ზე. პაემანის პერსპექტივა ამ განხვავებების ხარჯზე სევდიან ნოტებს შეიძენს, ვი-
ნაიდან თვალსაჩინოს ხდის მოზარდი ასაკის გოგონებისა და ბიჭების განვითარე-
ბის სხვადასხვაობას. სკოლაში გოგონები ადრე ქაღლებიან. ამ დროს ბიჭში ჯერ-
რაც განუვითარებელია და თანდათან ვლინდება მოთხოვნილება იყოლოს გოგო,
რომელიც არ დათრგუნავს და არ აუხირდება. გოგონებს და ბიჭებს დიდები ყველა
მხრიდან ალყაში აქცევენ. მოუწოდებენ ადრევე დანიშნონ პაემანი. დიდები რო-
გორც უძღვებიან ჭადრაკის ანდა მათემატიკისადმი ინტერესის გამოვლენას, ასევე
ჰომოსექსუალიზმის, როგორც მანკიერი ქცევის არიდებას. მაშინ როცა მოზარდში
იღვიპებს თვითანალიზის მზარდი მოთხოვნილება, რითაც ნაყოფიერად დაკავდებო-
და იმავე სქესის მეგობართან, მას თავს ახევენ გოგონებთან უადგილო და გამომ-
ფიტავ ურთიერთობას, გოგონებთან, რომლებიც ფიზიკურად უფრო მომწიფებული
არიან, ორიენტირებული პარტნიორის მოპოვებაზე, ხოლო ინტელექტუალურ ინტე-
რესებს ნაკლებად ავლენენ. ერთი მხრივ, გვაქვს სითბოს, სინაზის გამოვლენა,
გარშემომყოფთა იდეალიზირება, გოგონებზე თუნდაც დროზე ადრე ორიენტაციი-
სას; სხვა ბიჭებთან ურთიერთობებისას კი შემოიფარგლებიან სპორტით და მის-
თვის მახასიათებელი უხეშობითა და ქიშპით. ამერიკელი ბიჭები (მოდის უკუეფექ-
ტით – ნაადრევი პაემნები) და გოგონები ხელიდან უშვებენ სასარგებლო შემთხვე-
ვას ინტელექტუალური სიახლოვის ხელშემწყობი უნარების საკუთარ თავში აღმო-
ჩენისა, რასაც ავითარებს მარტოობის დათმენის უნარი. ერთი სქესის ადამიანთა
შორის მეგობრობა მასში ნაგულისხმევი ინდივიდუალობის, ტვინის იმავე წყობით
საკუთარი თავის შემეცნების საშუალებას გაძლევს. შეგიძლია იფანტაზიორო, გაუ-
ზიარო შენი ეჭვები, ოცნებები. მეგობრები საშუალებას აძლევენ ერთმანეთს თავი-
ანთი უსათუთესი ფიქრები გააჟღერონ ხმამაღლა. რომ გავაშალაშინოთ რიტორი-
კული ფიგურები, მაღალფარდოვანი ფრაზები და მათში ჩავაქსოვოთ უსათუთესი
ნაფიქრალი საჭიროა პერიოდულად დავრჩეთ მარტო. მერე კი შეგვიძლია მათი აღ-
ტაცებული მეგობრისთვის გაზიარება. ბავშვი დედისგან სწავლობს, თუ როგორ
დაითმინოს ჩვილობის უამს მარტოდ ყოფნა, წამოზრდილი კი სწავლობს მისგან
თავის დაღწევას. ამერიკელ ყმაწვილს მშობლების, მასწავლებლებისა და მეგობა-
რი გოგონასაგან ესმის რატომ უნდა შეეშვას განმარტოებაში ინტელექტუალურ
თვითანალიზს, რომ ეს უსაგნო საქმიანობაა და სჯობს კარიერის მიზანმიმართუ-
ლი არჩევა, ცხოვრებისეული ინტერესები. თუკი არარეალური გეგმები ჰქონდა კა-

რიერული კუთხით, მას თექვსმეტი წლის მეგობარი გოგონა ჩაუფუშავს და ზეამაღლებულ წარმოდგენებს განეშორება, როცა ჰკითხავს უბრალოდ – „კი მაგრამ, რამდენი წელი დაგეხარჯება ამაში?“ სოციალურად უმწიფარი, იმავე სქესის მეგობრისთვის შეიძლებოდა გაეზიარებინა მსგავსი ტიპის გეგმები და თვითანალიზის შედეგები, მაგრამ ამ შემთხვევაში მშობლების მხრიდან დამთრგუნავი საყვედური არ დააყოვნებდა.

ცხოვრების სტილი, სიყვარული და მარტოობა

ზოგიერთ კულტურაში ჩვილებს აფრქვევენ სითბოს, აკენის კედლებით და საფენებით გამიჯნავენ სამყაროსაგან, თვეობით უმაღლავენ ბოროტ თვალს და ადამიანებს, დედებს მუდმივად ხელში აყვანილი და გულში ჩახუტებული დაჰყავთ. ეს გრძელდება ხუთ წლამდე, ვიდრე დამოუკიდებლობას არ ისწავლიან. ამ სახით ცხოვრების თითოეულ წესს თან სდევს საკუთარი შინაგანი შედეგები. ამერიკული ცხოვრების სტილი აყალიბებს ადამიანს, რომელიც მარტივად მოინაცვლებს ადგილს როგორც სივრცეში, ასევე სოციალურ მობილობაში. ისინი მარტივად და სწრაფად იძენენ მეგობრებს, პარტნიორისგან გულგატეხილები მხოლოდ ცოტა ხნით იტანჯებიან, ცხოვრების მანძილზე ბევრ კავშირს იძენენ. ადრეულ ცივილიზაციებს, რომლებშიც ემოციებს უფრო ვიწრო გასაქანი და ღრმა საზრისი ჰქონდა, მსგავსი მრავლობითი კავშირები არ ახასიათებდა. დავსვათ ასეთი შეკითხვა – ფიქრიანი ევროპელის დარად, ოდესმე მარტოსულად თუ გრნობს თავს ამერიკელი? თუკი ევროპელი ამერიკაში იმყოფება, ის მოჰყვება წუწუნს, რომ ვერ პოულობს მეგობარს, დრო არა აქვს განმარტოებისა და ფიქრისთვის.

მარტოობა ამერიკელს განსხვავებულად ესმის. როცა წუხხარ კონკრეტულ ადგილზე ან ადამიანზე, ეს ხელს არ გიშლის იპოვო მეგობარები, რომლებთანაც ინტელექტუალურ სიახლოვეს შეიძლება, ეს არ გავალდებულებს უმნიშვნელო ადამიანებს აეწებო, რაც მარტოობის განცდას ევროპელის შემთხვევაში კიდევ უფრო გაზრდიდა. ამერიკელი მართებულად არ მიიჩნევს, თუკი საკუთარი სურვილის მოიხედავად უწევს მარტო ყოფნა. ვთქვათ, მოზარდს ვერავისთვის დაუნიშნავს პაემანი. როგორც ამას ჯეფრი ჰორერი¹ აღნიშნავდა, პაემანის შემთხვევაში ამერიკელისთვის მნიშვნელოვანია თავად პროცესი, და არა იმდენად ადამიანი, ვისაც შეხვედრაზე ელოდება. თუკი მოზარდი აღარ დადის პაემანზე და ამის შესახებ იციან სხვებმა, თანატოლებმა, მშობლებმა, ცხოვრება გაუსაძლისი ხდება (როგორც გოგონას, ასევე ბიჭის შემთხვევაში). თუკი ითხოვე პაემანი და შეხვედრაზე უარი გეთქვა, უარყოფისაგან სირცხვილის განცდა გიჩნდება. ამის მერე მოსალოდნელია, სხვებისგანაც მიიღო უარი. გოგონა, ვინაიდან ისედაც პასიურია, იტანჯება ასეთ დროს ორმაგად. ის აღარ დაპატიჟებს და ვერაფერს გახდება. უპიროვნო ტანჯვა მით უფრო მძაფრია. რომეო და ჯულიეტა თუკი ერთმანეთზე ოხრავდნენ, აქ უბრალოდ, ახალგაზრდები ცდილობენ, მოიპოვონ პატივისცემა მათდამი დამოკიდებუ-

¹ სრული სახელი – ჯეფრი ედვარდ სოლომონ ჰორერი (1905-1985), ბრიტანელი ანთროპოლოგი, რომელიც ანთროპოლოგიაში აქტიურად იყენებდა ფსიქოანალიზის მეთოდს. პარალელურად წერდა დრამებს, ასევე – ფანტასტიკის ჟანრში ნაწარმოებებს, თუმცა ისინი არ გამოუქვეყნებია. ძირითადად ორიენტირებული იყო აფრიკის ხალხების შესწავლაზე – შ.კ.

ლებაში. თავს მოხვეული არანებაყოფლობითი მარტობა, ანგრევს აუდიტორიის მიერ შექმნილ ხატებას. მსგავსი ვითარება შეიძლება მოელი ცხოვრების მანძილზე გრძელდებოდეს. როცა მიღებულია გათხოვება, შენ კი გაუთხოვარი ხარ. მარტო გიწევს შვებულებაზე გამგზავრება; საღამოზე ცხადდები თანამგზავრის გარეშე; მარტო დადიხარ თეატრში, საღამოს სახლში, ასევე, მარტო ყოფნისათვის ხარ განწირული და ყველაზე უარესი, მადლიერების დღეს¹ მარტო სადილობ. დრო და დრო ეს ყველაფერი ამერიკელის მიერ განიცდება, როგორც უბედურება და იწვევს მარტობის გრძნობას. ჯეფრი ჰორერი² ანთროპოლოგის გადასახედიდან აანალიზებს ამერიკელს. ამერიკელი როცა ეძებს ურთიერთობებს, იგი ამ დროს ეძებს დასტურს იმისა, რომ უყვართ. ჰორერი ამტკიცებს, როცა დედა ეფერება შვილს, ეს საპასუხო სიყვარული კი არაა, არამედ არის საშუალება, დაუმტკიცოს მისი უპირატესობა თანატოლების წინაშე. ბავშვში ცდილობენ გააღვივონ რწმენა, რომ სიყვარული სულაც არაა ორმხრივი კავშირი, იგი უნდა მოიპოვო სიყვარულის საზღვრებს მიღმა შენს საქციელში ღირსების გამოვლინებით. სიყვარულის ასეთი გაგებიდან იბადება რწმენა, რომ შენ ხარ ყურადღების ღირსი და ამიტომ უნდა მიაღწიო რაღაცას. როცა ამერიკელს გვერდით არავინ ჰყავს, ეჭვი ეპარება საკუთარ ღირსებაში, ამიტომაც ეძებს ურთიერთობებს, რომ საპირისპიროში დაარწმონონ. ის ქმნის მუდმივ შესაძლებლობას კონტაქტისა და ურთიერთობისათვის თამაშებზე, სამუშაოზე, სახლში, უკიდურეს შემთხვევაში, თუნდაც ეს იყოს რადიო. მათ უბრალოდ აღარ შეუძლიათ მარტო ყოფნა. თუკი ვინმე უპირატესობას მიანიჭებს მარტო ყოფნას, გაუზნდებათ ეჭვი, რომ ეს უკანასკნელი ჭკუიდან შეცდა. ჰორერი განაგრძნობს, სი-ახლოვე, ყურადღება, სხვების მხრიდან აღფრთოვანება აუცილებელი მოთხოვნაა თავმოყვარე ამერიკელისათვის. სხვა ქვეყნის შვილთაგან განსხვავებით, ამერიკელის ეს ფსიქოლოგიური მოთხოვნილება დაჟინებულია და განსხვავებულ ხასიათს სძენს სოციალურ ურთიერთობებს მისთვის. სოციალური ურთიერთობების ხარჯზე მყარდება ამერიკელში საკუთარი ღირსების გრძნობა. შეიძლება ყოველივე ეს ექსპლუატაციურ მიმართებებად განვიხილოთ. ცხადია, ამ დროს თუკი ვგულისხმობთ ორმხრივ ექსპლუატაციას. „მე შენ დაგარწმუნებ, რომ ყველაფერი გამოვივა, თუკი მზად იქნები დამარწმუნო თავადაც იმავეში“. ასეთია უტყვი შეთანხმება, რომელზეც ორი ადამიანი თავიანთ ურთიერთობას აშენებს.

აშკარა ფარისევლობა, ლიტონი შექება თავისთავად იწვევს ეჭვს და ხედები, რომ უნდათ შენი გამოყენება. აქ ლაპარაკია შემთხვევაზე, როცა სიყვარული და ყურადღება მხოლოდ შენზეა მომართული და გარწმუნებს, ხარ საინტერესო, ღირსი პატივისცემის.

თუკი მარტო დაგტოვებს, იტანჯები და პარალელურად გაქვს დანაშაულის განცდაც. ჯერაც მშობლებისგან იცოდი, რომ გაკიცხვის თანმდებია ადამიანი, რომელიც საღამოს სახლში მარტო დარჩა, რადგან ამ საქციელით მან ვიღაც გასწი-

¹ Thanksgiving Day, ჩრდილოამერიკული დღესასწაული, კანადაში ოქტომბრის მეორე ორშაბათს აღინიშნება, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში – ნოემბრის მეოთხე ხუთშაბათს. ამ დღიდან იწყება საღმრთო სეზონი, რომელიც მოიცავს შობას და გრძელდება ახალ წლამდე. მადლიერების დღეს სუფრას ფარშირებული ინდაური უნდა ამშვენებდეს – შ.კ.

² Gorer G. (1948). The american people: A study in national character. Rev. ed.

რა იძულებითი მარტოობისათვის. თუკი ამერიკელი საინტერესო წიგნით ხელში საგახშმოდ მყუდროდ მიუჯდა მაგიდას, ან ადრე მოინდომა დაძინება, კინოსაკენ მარტოს გაუწია გულმა და მოიცვა პალტო, აეკვიატება იმათი უბედური სახეები, ვისთანაც შეეძლო სადამოს გაზიარება. ეს შეიძლება იყოს ეულად დარჩენილი მშობელი, ვინმე ქვრივი, ან გაყრილი ქალი, უცნობი, უცხოელი სტუდენტი და ზედმეტად მოსაწყენი და მომაბეზრებელი ადამიანიც კი. ეს ჩვენებები ყოველი მხრიდან გიტევს და თუკი სადამოს მაინც მარტო ატარებ, ხარ ეგოისტი და სხვა არაფერი. მით უმეტეს, ბავშვობიდან შეჯავრებულ ტაბუს როცა იხსენებ, შენი საქციელი გეჩვენება ცოდვანად, არათუ ეგოისტურად, სასტიკადაც კი.

პატარასვე ასწავლიან ამერიკაში, რომ ადამიანები ერთმანეთს მარტოობას კი არ უფერადებენ, ადამიანური ურთიერთობები ესაა ორმხრივი გაცვლა, ფეშქაში, ურთიერთმიძღვნა, დამოუკიდებლობა, ვინაიდან არის ასპექტი თვითკმარობისა, იდეალურად მიიჩნევა ადამიანი, რომელიც სარგებლობს პოპულარობით, რომელთანაც ურთიერთობას ესწრაფვიან, რომელიც თავის მხრივ ეძებს იმათ, ვისაც ნაკლებად გაუმართლა ამ ცხოვრებაში, მარტოსულს, განზე დარჩენილს. ეს ასიმეტრია ურთიერთობებში უჩვეულოა, წმინდა ამერიკული ცხოვრების ელემენტია, რისი წყალობითაც ამერიკელისათვის ასე მარტივია მარტოობის შელამაზება. ასე რომ, ყველასთვის მოიძებნება პაემანზე გამყოლი. თუნდაც ახალ რაიონში არავინ ცხოვრობს უმეგობროდ, ნაცნობის გარეშე. უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ახალ რაიონში საცხოვრებლად გადასული ახალგაზრდა დედები ფსიქოზის რისკის ქვეშ მეტად იმყოფებიან. მათთვის შეთავაზებული ეფექტური საშუალებაა მსგავსადვე სიუცხოვეში მყოფ ადამიანთა ჯგუფთან მიერთება და ნუგეშის პოვნა. შეგიძლია ტკივილი შეუმსუბუქო და მხარი დაუჭირო იმათ, ვინც ასევე მოშორებულია მოძმეებს.

განსხვავებულ კულტურებზე ინფორმაციის არქონამ შეიძლება არამართებულ მტკიცებულებებს შეუწყოს ხელი, თითქოს ყოველდღიური სიახლოვის არარსებობა საშინელი დანაკლისია. მობილობის მაღალი ხარისხით გამორჩეული დიადი ცვლილებების ეპოქის შედეგია თანამედროვე ადამიანის ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა დამოუკიდებლობა, თვითკმარობა, მისწრაფება თავიდან აირიდოს მარტოობა, პასუხისმგებლობის ქონა სხვების ეულად ყოფნის გამო. ეს ყველაფერი განსაზღვრა ემიგრაციამ, შიდა მიგრაციებმა, ასევე, ქალაქების მზარდმა განვითარებამ. ამ ყველაფრისგან მომავალში შეიძლება თავის გამიჯვნა მოგვინდეს კიდევ. კარგია, თუკი გვეჩვენება იმედი ვიწრო სოციალურ, ფიზიკურ გარემოში მეტი სტაბილურობის, თუკი ექნებათ პატარების მიმართ – რომელთაც მოუნდათ მარტო დარჩენა – მშობლებს მოთმინება. მაგალითად, შეგვეძლო ოთხშაბათობით მარტო ყოფნა დაგვეკანონებინა, როგორც ეს მღუმარების აღთქმის დროს გააკეთეს ეკლესიაში. თუკი მარტო ყოფნას არ გავაიგივებთ ვინმეზე ან ჩვენზე უარის თქმასთან, ეს სიტუაცია ადამიანისთვის სრულიად ბუნებრივი გამოჩნდება, სასურველიც კი. გამომდინარე აქედან, მარტოობისგან ტანჯვა – რომელსაც საზოგადოება გვახვევს თავს – შემიძირდება.

Margaret Mead
Solitude, self-reliance and interrelationship in cultural context
Summary

The publication of the American anthropologist, Margaret Mead deals with the features of the early socialization of the American child. Margaret Mead analyzes the advantage of a typical American character. A typical American is always an independent, self-resident, and outgoing individual. He easily succeeds in successful social mobility, integration in society. This publication by Margaret Mead was published in 1980 in New York in the “The Anatomy of Loneliness”. In 1989, this collection was also translated into Russian. The author tries to explain why loneliness is a taboo subject in American society (and not only). Mead implies that this is caused by the ignorance of other societies and cultural approaches. Margaret Mead characterizes friendship, love for a partner, his loneliness, his self-esteem, and many interesting details of living together.

Маргарет Мид
Одиночество, самодостаточность и взаимозависимость в контексте культуры
Резюме

Публикация американского антрополога Маргарет Мида касается особенностей ранней социализации американского ребенка. Маргарет Мид анализирует преимущество типичного американского характера. Типичный американец – это всегда независимый, самодостаточный, коммуникабельный индивид. Ему легко удаётся успешная социальная мобильность, интеграция в обществе. Данная публикация Маргарет Мида была напечатана в 1980 году в Нью-Йорке в сборнике «Анатомия одиночества». Этот сборник в 1989 году был переведен и на русский язык. Автор пытается объяснить табу на одиночество в американском обществе (и не только). Автор подозревает, что это от незнания других обществ и культурных подходов. Маргарет Мид характеризует дружбу, любовь к партнёру, эгоизм одинокого человека, чувство собственного достоинства и многие интересные детали совместной жизни.

შორენა შავრეშიანი	3
<i>ისტორიულ-მხატვრული პასაჟი აკა მორჩილაძის ტრილოგიის მეორე ციკლიდან „გაქრები მადათოვზე“</i>	
Shorena Shavreshiani	
<i>Historical-artistic passage from the second cycle of Aka Morchiladze's trilogy “Disappearance on Madatov”</i>	
Шорена Шаврешiani	
<i>Историко-художественный отрывок из второго цикла трилогии Ака Морчиладзе «Исчезнешь на Мадатове»</i>	
კობა წურჭუმია	8
<i>„კლოუნის თვალთახედვა“ – ეპოქის ამსახველი რომანი</i>	
Koba Tsurtsumia	
<i>“The Clown” – the novel reflecting epoch</i>	
Коба Цурцумия	
<i>«Глазами Клоуна» – роман отражающий эпоху</i>	
ლივია კოტორჩა	16
<i>კამალ აბდულა: სისხლის კანონიდან სიყვარულის კანონამდე</i>	
Livia Kotorcha	
<i>Kamal Abdulla: from law of blood to law of love</i>	
Ливия Которча	
<i>Камал Абдулла: от закона крови к закону любви</i>	
კახა ღლონტი	26
<i>ქართული ენა-ლაზარე როგორც ქალდეური მარტის თვის მთვარის მოძრაობა და მზის (მთვარე-მზის) უძრავი წელიწადების კალენდარული სისტემა ანუ ქართული წარმართული (ქრისტიანული) სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“</i>	
Kakha Ghlonti	
<i>Georgian language – Lazarus as the lunar moving force of the Caldic March and the solar (lunar-sonar) calendar system of immoveable years, or Georgian pagan (Christian) “Five hundred Choronikon”</i>	
Каха Глonti	
<i>Грузинский язык – Лазарь, как календарная система реального года солнца (луна – солнце) хадейского месяца марта или грузинское языческое (христианское) «Пятьсот коронаций»</i>	
მაია აგაია	32
<i>ნეოლოგიზმების როგორც ინგლისური ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალების შესახებ</i>	
Maia Aghaia	
<i>On neologisms as a means of enriching English language glossary</i>	
Майя Агаия	
<i>О способах обогащения неологизмами словаря английского языка</i>	

ანასტასია დუმბაძე.....	36
<i>კონცეპტ „ენის“ შედარებითი ანალიზი ქართულ, უკრაინულ და რუსულ ლინგვოკულტურაში</i>	
Anastasia Dumbadze	
<i>Comparative analysis of the concept “language” in Georgian, Russian and Ukrainian languages</i>	
Анастасия Думбадзе	
<i>Сравнительный анализ концепта «язык» в грузинской, украинской и русской лингвокультуре</i>	
ლუდმილა ბეჟენარუ.....	41
<i>გურამ ოდიშარია სტერეოტიპების მსხვრევის, ადამიანთმოყვარეობის კონცეფციისა და სოხუმელი ვიჟების შესახებ</i>	
Ludmila Bejenaru	
<i>Guram Odisharia on breaking of stereotypes, concept of human love and crazy men of Sokhumi</i>	
Людмила Беженару	
<i>Гурам Одишария о ломке стереотипов, концепции человеколюбия и сухумских сумасшедших</i>	
ეკატერინე მიხელიძე.....	51
<i>სული კეთილად მეტყველი (ეგ ზიუპერის „პატარა პრინცის“ პედაგოგიური მინიშნებანი)</i>	
Ekaterine Mikhelidze	
<i>The nobly-speaking soul (The didactical side of “The Little Prince” by Antoine de Saint-Exupéry)</i>	
Екатерина Михелидзе	
<i>Душа, изрекающая благо (Педагогические указания относительно «Маленького принца» Экзюпери)</i>	
მედეა იმნაძე.....	61
<i>საზღვაო სამეტყველო სტრატეგიები და ტაქტიკები</i>	
Medea Imnadze	
<i>Marine speech strategies and tactics</i>	
Медая Имнадзе	
<i>Стратегии и тактики морской речи</i>	
სნეჟა ცონევა-მატიუსნი, მარია ანასტასოვა.....	66
<i>ბულგარული ზმნების „ქონა“/„არ ქონა“ სემანტიკური ანალიზი</i>	
Snezha Tsoneva-Mathewson, Maria Anastasova	
<i>Scratching the semantic surface of the Bulgarian imam (have) and nyamam (have not)</i>	
Снежа Цонева-Матюсън, Мария Анастасова	
<i>Семантический анализ болгарских глаголов «иметь» и «не иметь»</i>	

ნინო მესხი	76
<i>მთარგმნელის ფსიქოლოგიური მზაობა და მზარდი ემოციური გრადაციები თარგმანში პელევის ნაწარმოების («Подземное небо») ქართული თარგმანის მიხედვით</i>	
Nino Meskhi	
<i>The psychological readiness and increasing emotional gradations in the Georgian translation of Pelevin's "The Sky Under The Ground"</i>	
Нино Месхи	
<i>Психологический перевод и возрастающие эмоциональные градации в грузинском переводе Пелевина «Подземное Небо»</i>	

ლუდმილა ბეჟენარუ	82
<i>შანხაი როგორც ქალაქური ტექსტი. საკითხის დასმისთვის</i>	
Ludmila Bejenaru	
<i>The city as text revisited: Shanghai</i>	
Людмила Беженару	
<i>Шанхай как городской текст. К постановке проблемы</i>	

ქრისტინე თოფურია	88
<i>ტრაბახი, როგორც ფსიქოლინგვისტური ფენომენი და მისი გამოსატყულება პოლიტიკურ დისკურსში</i>	
Kristine Tophuria	
<i>Bragging as a psycholinguistic phenomenon and its manifestation in political discourse</i>	
Кристине Топуриа	
<i>Хвастовство как психолингвистический феномен и его проявление в политическом дискурсе</i>	

**საერთაშორისო ურთიერთობები – INTERNATIONAL RELATIONS –
МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ**

სურა ჰუსეინოვა	96
<i>ევროკავშირისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის თანამშრომლობის პრობლემები ევროპული უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის ფორმირებაში</i>	
Sura Huseynova	
<i>The issues on cooperation between the European Union and the Republic of Azerbaijan in the formation of new European Security architecture</i>	
Сура Гусейнова	
<i>Проблемы сотрудничества Европейского Союза и Азербайджанской Республики в формировании новой архитектуры европейской безопасности</i>	

სოციოლოგია – SOCIOLOGY – СОЦИОЛОГИЯ

მერი ჭანტურია	105
<i>პიროვნებათა ინტერესებისა და მათი სოციალური აქტიურობის ურთიერთმიმართების საკითხისათვის</i>	
Mary Chanturia	
<i>Person's interests, alms and social activity</i>	
Мери Чантурия	
<i>К вопросу о соотношении интереса личности и его социальной активности</i>	

ლალა ახმედოვა..... 110

კულტურული პოლიტიკის საკითხისათვის

Lala Akhmedova

On the question of cultural policy

Лала Ахмедова

К вопросу о культурной политике

იულიან მოგა..... 116

წმინდა სისულელის ფენომენი რუსულ კინემატოგრაფში: ლუნგინის „კუნძულის“ პარადიგმა

Iulian Moga

The phenomenon of holy foolishness in Russian cinema: the paradigm of Lungin's "Ostrov"

Юлиан Мога

Феномен святой глупости в русском кинематографе: парадигма «Острова» Лунгина

გასტროსოფია – GASTROSOPHY – ГАСТРОСОФИЯ

ანა პავლოვსკაია..... 121

რუსული სამზარეულოს საიდუმლო: თანამედროვე ვითარების ისტორიული ფესვები

Anna Pavlovskaya

The mystery of Russian cuisine: historical roots of present situation

Анна Павловская

Тайна русской кухни: исторические корни современной ситуации

პედაგოგია და ფსიქოლოგია –

PEDAGOGY AND PSYCHOLOGY – ПЕДАГОГИКА И ПСИХОЛОГИЯ

მზია თოფურაძე..... 130

კლასგარეშე მუშაობის როლი უცხოურ ენაზე ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევების ფორმირების პროცესში

Mzia Topuridze

The role of out-of-class activities in the process of formation of speaking skills in a foreign language

Мзия Топуридзе

Роль внеклассной работы иностранного языка в процессе формирования навыков устной речи

გულნარა გორგილაძე..... 138

რეალური, როლური და ვირტუალური ექსკურსია როგორც საგანმანათლებლო აქტივობა

Gulnara Gorgiladze

Real, role-play, and virtual excursion as an educational activity

Гульнара Горгиладзе

Реальные, ролевые и виртуальные экскурсии как общеобразовательная активность

მზია თოფურძე..... 146
უცხო ენაზე კითხვისა და თარგმანის უნარ-ჩვევების მაფორმირებელი აქტივობები

Mzia Topuridze

Activities for the formation of foreign language reading and translation skills

Мзия Топуридзе

Формирующие активности навыков чтения и перевода иностранного языка

შარმაცია – PHARMACY – ФАРМАЦИЯ

ნინო ტაბატაძე, ირმა ცომაია..... 150
სუროს (Hedera) პრეპარატები – ბრონქოსპაზმოლიზური და ამოსახველებელი ბუნებრივი სამკურნალო საშუალებები

Nino Tabatadze, Irma Tsomaia

Ivy (Hedera) preparations – bronchospasmolytic and expectorant natural remedies

Нино Табатадзе, Ирма Цомаия

Препараты плюща – бронхоспазмолитические и отхаркивающие природные средства

თარგმანო – TRANSLATION – ПЕРЕВОД

მარგარეტ მიდი..... 155
მარტოობა, თვითკმარობა და ურთიერთდამოკიდებულება კულტურის კონტექსტში

Margaret Mead

Solitude, self-reliance and interrelationship in cultural context

Маргарет Мид

Одиночество, самостоятельность и взаимозависимость в контексте культуры

ქურნალის ელექტრონული ვერსია:

<http://www.nplg.gov.ge>

E-mail: indiradzagania5@gmail.com

Tel.: (+ 995 32) 2 54 14 49

Mob.: (+995 93) 93 20 91

**ქურნალში გამოქვეყნებულ მასალაზე
პასუხისმგებელია ავტორი.**

**Ответственность за содержание публикации
в журнале несет автор.**

**Authors are solely responsible for the content
of published materials.**



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტეკოვსკაის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com



9771512436007